ელბერდ ბატიაშვილი

ი მ პ ე რ ი ი ს
ი ს ტ ო რ ი უ ლ ი
ბ ე დ ი

მეორე შევსებული გამოცემა

ნაკვეთი I

თბილისი

2021

იმპერიის ისტორიული ბედი

მკითხველს

ეს მონოგრაფია ამავე სათაურით 1977 წლის დისიდენტურის მეორე შევსებული გამოცემაა. მაშინ ჩვენთან განსაკუთრებული პომპეზურობით აღნიშნავდნენ საბჭოთა იმპერიის 60 წლისთავს...

ეს ის დროა, როცა საქართველოსთვის მზე „ჩრდილოეთიდან ამოდიოდა“ და შევარდნაძეც ყოველ წელს დიდის ამბით იღებდა „სსრკ წითელ დროშებს“ თავისი კარიერისა და საქართველოში ჩასახული ქართული სამეწარმეო სულის ჩაკვლისთვის, წითელ მჩვრებად რომ იქცნენ დღეს...

ამასთან ეს ის წელია, როცა საბჭოთა იმპერიას ჯერ კიდევ სული ედგა, მაგრამ იგი, ისე როგორც ნებისმიერი იმპერიაც, დაშლა–დაცემა–ნგრევის გზას ადგა...

მაშინაც და ახლაც ჩვენთვის მთავარია ამ ნგრევაში არ მოვყვეთ. მსოფლიო ისტორიაც ხომ ამას გვასწავლის – **„მკვდარი ერები და მკვდარი ენები“** სწორედ ნგრევის ამ პროცესებმა შვა...

ილია ჭავჭავაძე იყო პირველი, ვინც ამ საბედისწერო საფრთხეზე მიგვითითა: – **იმპერიას ომი უომრად უნდა მოვუგოთ,** – ასეთია მისი გზავნილი. ამ მხრივ ჩვენი იდეალია გიორგი ბრწყინვალე, ხმლის მოუქნევლად რომ მოაშორა ხალხს და ქვეყანას მონღოლთა უღელი...

ილიას **„საერთო ნიადაგის“** თეორია, ამ თეორიის ორ ათეულზე მეტი სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპები აქეთკენ არის მიმართული. მათ ჩვენგან კვლევა და გათვალისწინება სჭირდებათ, ისინი ეროვნულთან ერთად, გლობალურ ხასიათსაც ატარებენ...

ესეც მინდა ვთქვა: თუ მაშინ საბჭოთა იმპერიის ანალიზი ეძღვნებოდა მის 60 წლისთავს, დღეს იგი ეძღვნება მთელი იმპერიის 300 წლისთავს: მისთვის ხომ, უკვე დღეს ასე ზარ-ზეიმით ემზადებიან „რაშა თუ დეი“ და იმპერიის „ჰიბრიდული ომის“ სხვა მესვეურები...

მონოგრაფია გამოვა ორ ნაკვეთად: პირველით გადმოცემული იქნება განვლილი 300 წლის ჩემეული ხედვა, მეორით კი, – გლობალიზმის მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებში იმპერიის მომავლის გააზრება: შეუერთდება იგი ამ ობიექტურ ისტორიულ პროცესს, თუ დაუპირისპირდება და შეებრძოლება...

როგორ იწყებოდა იმპერია...

მსოფლიოში არსებული ყველა იმპერია ქრისტემდე, თუ ქრისტეს შემდეგ, ერთ სქემაში ჯდება: მათ აქვთ დასაწყისი, დრო–ჟამი არსებობისა და მერე ისტორიის არქივს ბარდებიან უცილობლად...

ზოგი მათგანი მის დამაარსებელთან ერთად კვდება, კლასიკური მაგალითი ამისა ალექსანდრე მაკედონელის იმპერიაა. ზოგნიც საუკუნეობით ძლებენ, იცვლიან გარეგნულ ფორმებს, ხშირად თავიანთ თავდაპირველ სახელებსაც, მაგრამ მათი ბოლოც ერთია – ბოლოს ისინიც არსებობას წყვეტენ...

დიახ, იმპერიები იმიტომ იქმნებიან, რომ ბოლოს დაინგრან, გნებავთ ეს რომის „ათასწლოვანი იმპერია“ იყოს და გნებავთ ზემოდნახსენები მაკედონელისა...

1721 წელი. აგვისტო. ნიშტადტის ზავით დამთავრდა ე.წ. „ჩრდილოეთის ომი“. შვეცია იძულებული გახდა რუსეთისთვის დაეთმო ბალტიისპირეთის აღმოსავლეთი ფინეთის უბის ჩათვლით...

შედეგად, პეტრე დიდმა რუსეთი იმპერიად გამოაცხადა, თავი – იმპერატორად, პეტერბურგი კი – დედაქალაქად...

დღესაც კი ძნელად თუ ვინმემ შესძლოს ათ წელიწადში ქვეყნის ახალი დედაქალაქის აშენება. მან ეს შეძლო. „დიდის“ რეგალიით ამიტომაც შევიდა ისტორიაში...

თავიდანვე უცნაურ ბედზე აეწყო ამ იმპერიის საქმე: მისმა დამფუძნებელმა ოფიციალურად „პეტრე ალექსის-ძემ“, მაგრამ ფაქტიურად ერეკლე პირველის ნაბუშარმა (სტალინს ხომ შეუტანეს დოკუმენტი, სადაც ეს დაფიქსირებული იყო, მაგრამ უარი უთხრათ მის გამოქვეყნებაზე), თითქოს ბალტიის ზღვაზე გასვლით, **„ფანჯარა გაჭრა ევროპისაკენ“,** მაგრამ ლენინმა და ბოლშევიკებმა ეს ფანჯარა საიმედოდ ჩაკეტეს ამ ასი წლის წინ და შესაბამისად, დედაქალაქიც ისევ მოსკოვში გადმოიტანეს...

დღესაც ეს „ფანჯარა“ ჩაკეტილია, რასაც ერთი ახსნა აქვს: რუსეთის იმპერიის ამ 300-წლოვან ისტორიას თუ თვალს გავადევნებთ, აქ მიმდინარეობს მუდმივი ბრძოლა ორ პოლიტიკურ ფილოსოფიას – **„სლავოფილობას“** და **„ზაპადნიკობას“** შორის. ბოლშევიზმიც სლავოფილობის გამოვლენაა: დიახ, იმპერიის მხოლოდ ფასადი იცვლებოდა ამ 300 წლის მანძილზე, სახელწოდებებიც, მაგრამ სული კი დიდმპყრობელური იმპერიული რჩებოდა მუდამ...

ივანე ჯავახიშვილი – იმპერიის მთავარი მბრალდებელი...

ჯერ ისევ I მსოფლიო ომი მძვინვარებს. ყველა, ვისაც ღმერთმა ანალიზის უნარი მისცა, ხედავს – რუსეთის დამარცხება გარდუვალია...

ივანე ჯავახიშვილმა პეტერბურგი 1917 წელს დატოვა და საქართველოს მოაშურა. ორი უახლესი მიზანი აქვს – უნივერსიტეტის დაარსება და რუსეთის იმპერიის ანტიქართული პოლიტიკის გაშიშვლება...

გაგიკვირდება კაცს – რამდენი მასალა დაუგროვებია პეტერბურგში ცხოვრების დროს: შრომების მთელი ციკლი გამოვა მათგან XVII საუკუნიდან მოყოლებული – დაგვჭირდება ეს ყოველივე ქართველებს, ამ შემთხვევაშიც ხომ, **„ისტორია ჩვენი დიდი მასწავლებელია“...**

ბ–ნი ივანეს შრომისმოყვარეობა ყველას კარგად მოეხსენება: იმპერია რღვევისა და დაშლა-დაცემის პროცესშია, მას არმია ფაქტიურად აღარ ჰყავს, დეზერტირებად გაივსო თბილისიც და საქართველოც, ერთი სასწაული თუ გადაარჩენს იმპერიის სრულ კოლაფს...

ბატონმა ივანემ 1919 წელს გამოსცა ჩაფიქრებული ციკლის ორი ნაშრომი – **„ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის XVII საუკუნეში“ და „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“,** სადაც ნათლად აჩვენა რუსეთის ვერაგული პოლიტიკის არსი – ისე დაესუსტებინა საქართველო, რომ ადვილად დაეპყრო მერე. თვით კრწანისის ტრაგედიაც ხომ რუსეთის მიერ იყო ინსპირირებული ირანშიც და საქართველოშიც თავისი ავენტურით: აღა-მაჰმად ხანი მან წააქეზა თბილისის ასაღებად და ესეც უტყუარად იკვეთება – ფული და იარაღიც მისცა საქართველოზე ლაშქრობისათვის...

სად იყო რეიგანი, როცა ივანე ჯავახიშვილმა რუსეთის იმპერია **„ბოროტების იმპერიად“** მონათლა: აღნიშნული შრომების არსიც ისაა, რომ – **„რუსეთი საქართველოს ისე უყურებდა როგორც კარგ იარაღს თავის იმპერიულ მისწრაფებებში... ეს აზრი გულახდილად აქვს გამოთქმული გრაფ პანინს გენერალ ტოტლებენისადმი ერთ საიდუმლო წერილში: „უნდა ეცადოთ საქმე ისე მოაწყოთ საქართველოში, რომ ყველაფერი ჩვენით ხდებოდეს, თვით ქართველებს კი ეგონოთ, რომ ყველაფერი მათი სურვილით და ნებით ხდებოდეს“** მოჰყავს ეს და სხვა მსგავსი ციტატები ბ-ნ ივანეს...

მაგრამ მალე მენშევიკებმაც და მითუმეტეს, ბოლშევიკებმაც აუკრძალეს მას ამ ციკლის გაგრძელება ერთი მარტივი, მაგრამ „რკინის ლოგიკით“ – ლენინს ეწყინება! აი, რატომაა, რომ „ქართველი ერის ისტორიის“ ჯავახიშვილის თორმეტტომეულში XIX – XX საუკუნეების ისტორიას ვერ ვნახავთ – **ტყუილს ვერ აკადრებდა ვერც თავის თავს და ვერც ერს და ქვეყანას...**

მაგრამ ესეც პაროდიაა – ლენინს მაშინ მართლაც „არ აწყენინეს“, თუმცა მან, ამ ნახევრად ებრაელმა და ნახევრად ბაშკირმა „მსოფლიო პროლეტარიატის ბელადმა“, მას შემდეგ რაც **„თეთრგვარდიელები“** გაანადგურა, „**წითელ**“ არმიას „დასტური“ მისცა განდგომილი კავკასია საქართველოსთან ერთად, კვლავ ახლადშობილ კომუნისტურ იმპერიასთან დაებრუნებინა...

ეს **„ლენინური დასტური“** სტალინმა საზეიმოდ აცნობა ორჯონიკიძეს ბაქოში და ისიც, ეს მომავალი „რკინის კომისარი“ მზად იყო ლევ ტროცკის მიერ შექმნილი სისხლისმსმელი წითელი არმიით ტროცკისავე **„პერმანენტული რევოლუციის“** თეორია საქმედ ექცია ჩვენს რეგიონში...

ილია და მარქსიზმი:
სამკვდრო–სასიცოცხლო დაპირისპირება...

ბოლშევიზმმა – მარქსიზმის უკიდურესმა რადიკალურმა მიმდინარეობამ გადაარჩინა რუსეთის იმპერია, ბოლშევიზმმა და ლენინის მიერ გერმანიიდან ჩამოტანილმა ფულებმა: ბრესტის სეპარატისტული ზავით რუსეთი გამოვიდა ომიდან, „წითელ არმიად“ შეაკოწიწა ნარჩენები დამარცხებულ არმიიდან და ნელ–ნელა დაიწყო იმპერიის აღდგენა ახალი საბჭოური ფერისცვალებით...

როგორც კი „მესამე დასმა“, საქართველოში „რსდმპ“ ფილილმა და მისმა ბეჭდვითმა ორგანომ – „კვალმა“, დაიწყეს კლასობრივი ბრძოლის მარქსისტული თეორიის ქადაგება, ილიასთვის ნათელი გახდა: რუსეთის იმპერია მიექანებოდა რევოლუციისაკენ და საბოლოო ჯამში, ახალი, კიდევ უფრო ტრაგიკული იმპერიული ფერისცვალებისაკენ, რამეთუ კარგად ახსოვდა „მედასავლეთე“ ჩერნიშევსკის ეს პაროდია – პარადოქსი:

„რაც ბედნიერებაა სხვაგან, უბედურებაა რუსეთში და პირიქით – რაც ბედნიერებაა ჩვენთან, უბედურებაა სხვაგან!“ დიახ, სლავოფილურმა ბოლშევიზმმა საბოლოოდ მოსპო რუსეთში ევროპული განვითარების სამომავლო გზა და ამასთან, საქართველოში ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორიის პერსპექტივაც...

მარქსიზმმა, „კაპიტალმა“ და „კომუნისტური პარტიის მანიფესტმა“ წალეკა არა მარტო რუსეთი და საქართველო, არამედ ევროპა და მსოფლიოც. კარგად აქვს ნაჩვენები ეს მიხეილ (მიხაკო) წერეთელს ნაშრომში – **„ერი და კაცობრიობა“,** განსაკუთრებით კი, ვარლამ ჩერქეზიშვილს („მარქსიზმის დოქტრინები“). ილია თავიდანვე დაუპირისპირდა ამ „დოქტრინებს“ და მათ მიმდევრებს – „მესამედასელებს“...

ამ დაპირისპირებამ და უკომპრომისო ბრძოლამ მიიყვანა იგი წიწამურამდე. ეროვნულობის, ეროვნული კულტურისა და თვითმყოფადობის

ნაცვლად, ერთიანი კომუნისტური მსოფლიო, – აი, რით მუხტავდნენ ხალხს და ქვეყანას მარქსისტები ჩვენთანაც და სხვაგანაც...

„ჰიბრიდული ომი“:

როდის იწყება ერის დაცემა...

ისე როგორც ყველაფერი ამ ჩვენს დალოცვილ დედამიწაზე, ჰიბრიდული ომიც არ ახალია, ძველია. „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკისა არ იყოს, ყველა იმპერია იყენებდა მას: სანამ კართაგენს და იერუსალიმს დაანგრევდა, იმ „პირველმა რომმა“ ეს სწორედ რომ ჰიბრიდული ომით შეამზადა...

ოღონდ ეგაა – შინაარსს არა, მაგრამ დრო-ჟამი ფორმას ცვლის მუდამ: მაშინ ვის, ან, როგორ გაახსენდებოდა „კიბერ-შეტევები“, დღეს რომ **„მესამე რომის“** სპეც-სამსახურების საყვარელი იარაღია... მაგრამ აქაც რუსული გაუგონარი ცინიზმი მუშაობს – რაც გინდა უმტკიცო, როგორც გინდა უმტკიცო, „არაა“ მისი პასუხი, მორჩა და გათავდა. წადი და უჩივლე სადაც გინდა...

„ჰიბრიდულ ომს“ სხვადასხვა მიმართულება აქვს, მაგრამ მიზანი ერთია – ცრუ ინფორმაციით დათესოს ერში განხეთქილების თესლი, პესიმიზმი თავისი წარსულის, აწმყოს და მომავლის მიმართ, რომ ილიასი არ იყოს, „თავ-ბრუ-დახვეული კაცივით“ ვერ გაიგნო გზა-კვალი საით მიდიხარ...

მაგრამ ვერავითარი „ჰიბრიდული ომი“ ვერას დაგაკლებს, შენ თუ შენს სიმაღლეზე ხარ. იმპერიაც ვერ გაგთიშავს, ვერც ისტორიას გაგიყალბებს და ვერ დაგავიწყებს, თუ „ვისი გორისა ხარ“. სტატიაში – „ერი და ისტორია“, ილია წერს:

„ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირქვე დამხობა იქიდან იწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისი წარსულისა... თავისი ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წარწყმედისაცა...

... რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედგა. ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით – რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა..., თუ მაგარ ქვასთან ერთად, უვარგისი და ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა...

არ არის არცერთი მხარე ჩვენის ცხოვრებისა, რომ წარსულის რაიმე ნაშთი ზედ არ შერჩენოდეს, ხოლო ამ ნაშთისა დღეს ჩვენ აღარა გაგვეგება–რა... ამიტომაც ჩვენ ბევრში უთავ-ბოლობა გვეტყობა, აქეთ და იქით ვასკდებით თავ-ბრუ-დახვეულ კაცივით. ეს უქმად წარმავალი გარჯა ჩვენი, უქმად წარხდომილი

მხნეობა ქანცს უწყვეტავს გამრჯელს და მის მაყურებელ ერს ხომ გული უტყდება, თავის-თავზე სასოება და იმედი ეკარგება“...

ამიტომაც მოკიდა ხელი „ჩვენი დიდებული ოქროვანი ხანის“ საძირკველში ჩადებული „მაგარი ქვის“ განახლება – გათავისება – გათანამედროვეობის დიდ საშვილიშვილო საქმეს, დღეს „საერთო ნიადაგის“ თეორიის სახელი რომ ჰქვია, ხოლო მისი წვდომისა და დაუფლების გზად და საშუალებად ეს უნივერსალური ფორმულა – **„რანი ვიყავით, რანი ვართ, რად შეიძლება ვიქმნეთ“** გვიანდერძა...

„წიწამურის საიდუმლო“:

რა მოხდა 1907 წლის 30 აგვისტოს...

ილიას მკვლელობაზე ბევრი რამ არის დაწერილი ტყუილ-მართალი წიწმურთან აღმართულ სვეტზე, სადაც კაცი ერთ მართალს წაიკითხავს და 3 ტყუილს დღეს:

მართალი ისაა, რომ 1936 წლის სტალინურ-ბოლშევიკური რეაბილიტაციის შემდეგ აღმართულ ამ სვეტზე დაფიქსირდა ილიას მკვლელობის დრო და ადგილი...

ტყუილი კი, ამ წარწერაში სამია: ილია რუსეთს არ მოუკლავს – იმდენი ცოდვა ადევს რუსეთის იმპერიას ქართველი ერის წინაშე დღემდე, რომ ზედმეტი საჭირო არაა:

ილიას მიმართ მას, რა თქმა უნდა, რავითარი სიმპატია არ ჰქონდა, მაგრამ რევოლუციის მოძულე კაცის მკვლელობა უბრალოდ არ აწყობდა, თანაც იმ გამძვინვარებული რევოლუციის წლებში. ეს რომ სდომებოდა 1906 და 1907 წლებში ილია როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრი, იქ არ ჰყავდა?!...

არც „ოხრანკის“ აგენტებს მოუკლავთ ჯაში იქნებოდა ეს თუ სხვანი, ათასობით რომ ჰყავდა მას, რაც მან ფეხი შემოადგა კავკასიასა და საქართველოში და ჰყავს ალბათ დღესაც „მეხუთე კოლონად“...

არც „მწერალი“ მოუკლავთ ამ დღეს იქ, როგორც გვამცნობს წარწერა: იქ, იმ ადგილას, სადაც დღეს სვეტი დგას, „მესამე დასის“ მარქსისტებმა თავიანთი დაქირავებული მკვლელების – „ტყის ძმების“ ხელით სიცოცხლეს გამოასალმეს ჩვენი დიდი ეროვნული იდეოლოგი, „საქართველოს მომავლის ლამპარი“, როგორც აკაკიმ თქვა პოეტურად:

„აწ ილია არ მომკვდარა,
მამულისთვის დარჩა ლამპრად!“

„ ბოროტების იმპერია“ და ქართული პოეზია: „აჩრდილის“ ანდერძი და გამოცანა...

მინდა გავიხსენოთ ილიას სიტყვა ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის დაკრძალვისას 1893 წლის 25 აპრილს:

„ღმერთი რომ ერს, ქვეყანას მოწყალების თვალით გადმოხედავს, მოუვლენს ხოლმე კაცს, პოეზიის მადლით ცხებულსა... რაკი ესეა, ეხლა ცხადი უნდა იყოს, რა ძვირფასი განძია ჩვენთვის იგი მტვერი, რომლის წინაშეც ვდგავართ“.

პოეზია ცით გახსნაა აზრისა, სიტყვის პირველადისა და ეს კარგად თქვა და გამოხატა აინშტაინმა: **„მეცნიერებაში პოეზიაც თუ არაა, ის მეცნიერებაც არაა“...**

შეიძლება პირიქითაც ითქვას – **პოეზიაში მეცნიერებაც თუ არაა, ის პოეზიაც არაა...** ჩვენდა საამაყოდ, **ქართული პოეზია იმის მსოფლიო რანგის ერთ-ერთი მაგალითია, თუ რა დიდი პოტენციალის მატარებელია იგი.** ამ მხრივ რუსთაველის გახსენებაც კმარა – მან ხომ პოეზია **„სიბრძნის ერთ დარგს“**, თანაც, **„საღმრთო საღმრთოდ გასაგონს“** შეადარა: დიახ, პოეზია დიდი ძალაა, დიდი მეცნიერება ჩვენი ერისთვის...

რაც ეს ბოლო იმპერია ჩვენს ქვეყანას მოევლინა, ქართულმა პოეზიამ მას უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადა. ფოლკლორშიც აისახა ეს:

ვერ გაიგეთა ქართველნო,
შაგვეხსნა რკინის კარია,
აღარ გვყავს მეფე ერეკლე
ბაგრატიონთა გვარია...

სოლომონ დოდაშვილმა კი ლექსში – „მაისი“ იწინასწარმეტყველა 100 წლის შემდეგ **„გამარჯვების“** 26 მაისი – ესეც თავისებური **„ცით გახსნა აზრისა“:**

„მაისის თვესა იქმნას ძახება,
გამოხატული ქართველთ უფლება...
განვდევნოთ სოფლით ძალით მოსულნი
ჩვენის მამულის მაოხრებელნი,
წარვიდნენ იქით, არ იყვნენ აქა,
ქართველნო, ხართ სადმე, თუ არა?“...

საბჭოთა იმპერიის ფერისცვალებაც აისახა ფოლკლორში არაერთი საუკეთესო ნიმუშით, მარქსიზმი რომ კარიკატურად არის წარმოდგენილი. ფოლკლორად გადაქცეული მიხა ხელაშვილის პოეზია გამოდგება ამის მაგალითად. აი, ამის ერთ-ერთი ნიმუშიც:

„გუშინ ქურდმა და ბაცაცამ,
დღეს ჭკუა უნდა მარიგოს,
ლენინის გადმოწერილი
მარქსის კანონით მამიგოს“...

ანდა, ეს წმინდა ცხოვრებისეული გააზრება სოციალური დემაგოგიისა ჩვენს ფლოკლორში:

„ბოლშევიკის დედაცა და
მენშევიკის მამაცაო,
წუთისოფლის სტუმარი ვარ
ეს ცხოვრება დამაცაო“...

პოეზია და „საერთო ნიადაგის“ თეორია...

ფოლკლორი ილიასთვის ერის დიდი საგანძურია. იგი არ ცნობს არც ცენზურას და არც თვითცენზურას, ამიტომ იშვა და ითქვა ეს დიდი ქართული სიბრძნეც – **„ხმა ღვთისა და ხმა ერისა“**...

ილიამ ხომ, **„ივერიის“** ფურცლებზე გააცოცხლა ქართული ფოლკლორი, მის მეცნიერულ შესწავლასაც მან ჩაუყარა საფუძველი: მართლაც-და, განა **„ჩაკრულო“**, თუ **„შენ ხარ ვენახი“**, **„მრავალჟამიერი“** (ქართულ სუფრაზე მოხვედრილ გაოგნებულ რუსს, რომ **„მალა რჟალი“ ეგონა?!)**, თუ **„შავლეგო“** და სხვანი მრავალნი ეროვნული სულის ანარეკლი არაა?!...

„ივერიის“ თანამშრომლები ერთხმად იხსენებენ – ილიას ხმა არ ჰქონდა, მაგრამ საათობით შეეძლო ესმინა ჩვენი მრავალხმიანი ხალხური სიმღერებისთვის. ესეც ჩვევად ჰქონდა – აიკვიატებდა მათგან რაღაც სიტყვებს, ხშირად ამგვართ – **„ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“**, ანდა, **„ძმაო, რა სჯობსა ძმობასა, ჩვენსა ერთადა ყოფნასა“...**

პოეზია ილიას მძლავრი იარაღი გახდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების გადმოცემისას. „აჩრდილი“ ამ მხრივ მისი „საერთო ნიადაგის“ თეორიის თავისებური პოეტური გადმოცემაა. დავაკვირდეთ ამ მხრივ პოემის ოცდაშვიდივე თავს – ისინი ხომ, „საერთო ნიადაგის“ იდეაზე არის გააზრებული...

უკეთესი მეცნიერება კი, დღეს ჩვენთვის არ არსებობს: კავკასიონზე შემომდგარი აჩრდილი ხომ, საქართველოს ისტორიის მთელი ფილოსოფიაა:

„აღმობრწყინდა მზე დიდებულადა
და გაანათლა ქვეყანა ბნელი,
კავკასის მთების წვერთა მაღალთა
ზედ გადაჰფინა ოქროს ნათელი“

„საქართველოს თანამდევი უკვდავი სული“ თავის სამშობლოსთან ერთად, კავკასიასაც დასტრიალებს მუდამ. „აჩრდილთან“ ერთად, ამის ნიმუში „ქართვლის დედაა“, სადაც ჯერ ალექსანდრე ბატონიშვილის და შემდეგ კი, შამილის აჯანყების ფონზეა ეს დიდი იდეა გადმოცემული:

„ჩემი სამშობლო, საქართველო დღეს მიცოცხლდება!
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,
კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს,
და ეგ ფიქრია მთელი კავკასის თავისუფლება!
დიდია ხალხი, როს ეს გრძნობა წინ წარუძღვება!“

აქვე უპრიანია გავიხსენოთ ამავე პოემიდან თავისუფლების ილიასეული ხოტბა-დიდება, ჰიმნადაც რომ გამოგვადგება დღეს არა მარტო ჩვენ, ქართველებს, არამედ თავისუფლების მოყვარე ყველა ერს:

„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წამებულის წმინდა საფარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა“

კარგი იქნება, თუ დედა-შვილის დიალოგით დაწერილ ამ პიესას გავასცენიერებთ. მსმენელთა აღქმა-გააზრებასაც ამით მეტ ძალას შევძენთ – პოეზიის მიზანი და დანიშნულებაც ხომ ესაა.

დიახ, პოეზია დიდი ძალაა, დიდი მეცნიერებაც და ილიას „აჩრდილი“ დასტურია ამისა: იქ იმპერიის ბევრ მხილებასაც შევხვდებით სხვადასხვა თავში, მაგრამ მისი XXII და XXIII თავები ნამდვილი თავსატეხია მკითხველისთვის:

აქ ავტორის ისეთ ჩანაფიქრს ვხვდებით, რაც დღეს **ილიას ანდერძად** არის აღსაქმელი: დავაკვირდეთ პოემის ამ ადგილს – XXI თავის შემდეგ, სადაც იგი **„ჩვენს დიდებულს ოქროვან ხანას“** მისტირის და ამ გულსაკლავი სიტყვებით ამთავრებს მას:

„ეხლა რაღაა! გაჰქრნენ ის დღენი,
გაჰქრა იგიცა ძალ-გულოვნება.
და საკვირველნი მამათ საქმენი
ეხლანდელ შენს შვილს არც აგონდება“.

და ავტორს პოემის XXI თავის შემდეგ ამ ორ თავში ერთი სიტყვაც არა აქვს დაწერილი – მარტო მრავალი წერტილები დაუსვია მათთვის. რაშია საქმე, რას გვეუბნება იგი ამით? მხოლოდ ერთს – ისინი, ჩვენ, მომავალმა თაობებმა უნდა შევავსოთ, რათა კვლავ დავეუფლოთ იმ დიდებულ ეპოქას, მის **„ძლევაი საკვირველს“** და **„მამათ საკვირველ საქმეებს“...**

ეს მისი ანდერძია, მაგრამ საკითხავიც ესაა – **შევასრულებთ კი, ამ ანდერძს ოდესმე?!...**

„რას სჩადიხართ?! ილია ვარ!“...

ილიას მკვლელობას წიწამურთან რამდენიმე უშუალო მოწმე და მხილველი ჰყავს: ეს უპირველეს ყოვლისა ოლღა გურამიშვილია, რომელიც კონდახით უწყალოდ სცემეს და ცხედართან ერთად უგონო მდგომარეობაში საგურამოში მიასვენეს...

მოურავი ჯაში, რომელიც ილიას დაბარებული ჰყავდა წიწამურთან დასახვედრად 11 საათზე, ის კი, მაშინ მივიდა იქ, როცა მესამედასელთა განაჩენი უკვე აღასრულეს...

მეეტლე ლაბაური, რომელმაც მესამედასელთა „ტყის ძმებს“ ილია ზუსტად იმ ადგილს მიუყვანათ სამიზნედ, როგორც წინა დღეს, 29 აგვისტოს მოილაპარაკეს... მსხვერპლიც და ოლღაც მან მიასვენა საგურამოში ისე, თითქოს თვითონ არაფერ შუაში იყო...

და რა თქმა უნდა, თვითონ მკვლელები, რომლებმაც სასამართლოზე ლაბაურთან ერთად, კარგად გაიხსენეს ილიას ეს საამქვეყნო ბოლო სიტყვები. მათ მე ასეთი პოეტური ჟღერადობით წარმოვადგენ:

„რას სჩადიხართ?! ილია ვარ!“, –
შემოგვძახა უკანასკნელად
ეს ოთხი სიტყვა,
როს წიწამურთან
ბერდენკის ლულას
შეასწრო თვალი...
აბა, შეხედეთ, –
კი არ შეშინდა,
ეტლში არ ჩაძვრა,
არ ჩაიმალა...
მთელი ტანით წამოიმართა
და მიგზავნილ მკვლელებს
მკვახედ შესძახათ, –
„რას სჩადიხართ?! ილია ვარ!„“
„რას სჩადიხართ?! ილია ვარ!“, –
მოგვძახის ახლაც
დაშლილთ დას–დასად:
ძმობა, ერთობა,
სიყვარული და
ერთურთ გატანა,
სად დაგეკარგათ

მტრის გასახარად...
დიახ, ეს ილიაა,
ის მართლის მთქმელი,
მოურიდებელი
და პირდაპირია...

შეიძლება ზოგს მკრეხელობად მოეჩვენოს, მაგრამ წიწამურის ტრაგედიას გოლგოთას გზას და ჯვარცმას ვადარებ:

– სანამ მამალი სამჯერ იყივლებს,
სამჯერ უარმყოფთ იცოდეთ, –
დაუბარა მოსწავლეებს
ანდერძად ქრისტემ...
და ზუსტად ისე,
როგორც რომ ქრისტე,
სამჯერ უარვყავით
ჩვენც ერის მამა:
პირველად წიწამურთან,
შემდეგ საბჭოეთის ჟამს,
და არ ვცნობთ ახლაც
მას ერის მამად,
ჩვენი ცხოვრების
გზის გამკვალავად...

„ისტორია ჭეშმარიტის მეტყველება არს“: „ქმნა მართლისა სამართლისა“...

ვინ იცის როდის, მაგრამ ქართველი კაცი ოდითგან მიხვდა – მხოლოდ სიმართლით გაიკვალავს გზას უკეთესი მომავლისკენ. ეს გიორგი ბრწყინვალის ჟამთაღმწერელმაც დაგვიფიქსირა, როცა ისტორიის ჭეშმარიტი მისია განსაზღვრა და მანამდე რუსთაველმაც ამ დიდი სიბრძნით – **„ქმნა მართლისა სამართლისა, შეიქმნს ხესა ხმელსა ნედლად“...**

„ძნელბედობამ“ – ძველმაც და ახალმაც, ყველაფერს ამას გადაგვაჩვია. ეს კარგად შენიშნა გურამიშვილმაც, როცა თქვა და გაგვაფრთხილა:: **„ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად“.** ჩვენ კი გიყვარდეთ, რამდენს ვამბობთ „კახაბერად“ მას შემდეგ, რაც ახალმა იმპერიამ დაგვიპყრო და დაგვიმონა ეს 200 წელი და მეტი...

ძველ „ძნელბედობებს“ თავი ვანებოთ და ჯერ უახლეს „ძნელბედობას“ მივხედოთ – ამ უკანასკნელ 30 წელს, რომელსაც ჩვენ „გარდამავალი პერიოდი“ დავარქვით, ხალხმა კი სრულიად სამართლიანად – **„გაუგებარი პერიოდი“...**

ყოველდღიურობის პრობლემებში ჩაფლულებს, გვავიწყდება, რომ პოლიტიკას ტაქტიკასთან ერთად, სტრატეგიაც აქვს. ტაქტიკაც სწორედ ამ სტრატეგიას უნდა დაემორჩილოს, მაგრამ როცა ის არა გაქვს, როგორღა დაუმორჩილებ ტაქტიკას მას, ამ სტრატეგიას, – ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების შორს გამიზნულ სტრატეგიულ ხედვას?!... ამიტომაც გვჭირდება **„სტრატეგიული კვლევის სამეცნიერო ცენტრის“** შექმნა...

აი, თუნდაც ეს ე.წ. **„ჰიბრიდული ომი“** ავიღოთ – აქ პასუხი მხოლოდ ის გვაქვს, რომ არაფრად ვაგდებთ მას, პასუხის ღირსადაც არ ვთვლით ვითომ, მაგრამ ის თავის „შავ საქმეს“ აკეთებს. არადა, მის ანტიქართულ არსს და მიზნებს მხილება უნდა, აი, ასეთი, როგორც ილიამ კატკოვის გამოხდომას უპასუხა (**„კატკოვის პასუხად“**), რის შემდეგ მას ჩვენს წინააღმდეგ ხმა აღარ გაუღია...

„რაშა თუ დეიც“ სწორედ აქეთკენ გვიბიძგებს... ისე კაცმა რომ თქვას, **„რაშა თუ დეი“** რომ დაარქვა თავის თავს, რა იმდენად უგუნურები და გონებაჩლუნგები ვგონივართ, რომ ვერ გავერკვეთ: „რაშა თუ დეი“ იგივეა დღეს, რაც იყო გუშინ და გუშინწინ, კატკოვის დროსაც და ეს მთელი, 300 წელი, – ფსიქიკა და გენეტიკური კოდი ხომ არ იცვლება არასოდეს...

ესეც ხომ საოცარი და აუხსნელი პარადოქსია: თურმე რუსეთმა მოგვცა ყველაფერი, როცა „ნებაყოფილობით“ შეგვიერთა და როგორც ერი, **„გადაგვარჩინა“.** თქვენ წარმოიდგინეთ, იქამდე მიდის სიყალბე და თავხედობა, რომ „ნამდვილი ქრისტიანობა“ მათგან ვისწავლეთ, თორემ ქართველები პეტრე იბერივით, ყველა „მწვალებლები“ ვიყავით?!... აკი, წერს ჯავახიშვილიც, როცა თბილისსა და თელავში რუსი მღვდლებიც გამოჩნდნენ რუსულ დელეგაციაში – მაშინვე ჭკუის სწავლება დაუწყეს ქართველ მღვდლებს, – როგორ უნდა აღესრულებინათ **„სწორად“** ქრისტიანული მღვდელმსახურება?!...

დიახ, „ჰიბრიდული ომის“ ყველა ამ სიყალბეებს და ანტიქართულ გამოხდომებს კარგად მოფიქრებული სვლებით ადექვატური პასუხი უნდა გავცეთ. სხვანაირად მუდამ წამგებიან პოზიციაში აღმოვჩნდებით პოლიტიკის **„დიდ საჭადრაკო დაფაზე“...**

ესეც ილიას გზავნილია ჩვენი თაობებისადმი და მასაც გათვალისწინება უნდა ამ ახალ ისტორიულ პირობებში...

ილია „ჩავლილი მატარებელია“, თუ...

აი, როგორ მოგწონთ ჩვენი ნეო-ლიბერალების ეს „სიბრძნე“: – **მოგცლიათ ერთი, რაღა დროს ილიაა, ილია ჩავლილი მატარებელია...**

ამ „სიბრძნემ“ მოგვიტანა ათასი უბედურება სწორედ და „განედლების“ ნაცვლად, კიდევ უფრო გაახმო ჩვენი დიდი ეროვნული ხე ახალ-ახალი ქართული მიწების განქართულებით...

აი, შედეგი ილიას გარეშე სიარულისა: იგი გვეუბნება, რომ რაც არ უნდა მოხდეს, არ ეომოთ რუსეთს – იმპერიას ომი უომრად უნდა მოვუგოთ, როგორც ეს გააკეთა გიორგი ბრწყინვალემ... ჩვენ კი, ნამდვილი გიჟ-ვრაცუოლობით პირველივე დღეები მასთან ომით დავიწყეთ და დავაგვირგვინეთ 2008 წლის აგვისტოში რუსთაველზე **„გამარჯვების ზეიმით“** – მეტი სიგიჟე და პარადოქსი რაღა გინდათ...

„საერთო ნიადაგზე“ დგომა და ერთნებობა – თანადგომით ქვეყნის მართვა!“, – აი, საქართველოს და ქართული სახელმწიფოს „ბალავრის ქვა“... მაგრამ აქაც ხომ, სწორედ პირიქით ვაკეთებთ და დიდი ერთგულებით ვასრულებთ შაჰ-აბასის წყევლას – „ღმერთო, ქართველებს ერთ პირს ნუ მისცემ!“...

„რაც არ უნდა მოგვეძალოს ინდუსტრია, საქართველო მაინც მიწისა და გუთნის ქვეყნად უნდა დარჩეს!“, – აგრარულ-ინდუსტრიული განვითარების ილიას ეკონომიკური სტრატეგია ხომ, დღესაც პრობლემურია. მთა-გორიან ქვეყანაში ერთი სათიბი ქარხნის მშენებლობაც კი არ გაგვხსენებია ეს ოცდაათი წელი... **მეტი სხვა თვითმხილება რაღა გვინდა „საბჭოური საქართველოდან“ ახალ ქართულ სახელმწიფოებრიობაზე გადასვლის გზაზე?!...**

„ჩვენი ხსნა ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმართველობაშია!“ (ილიასგან სიტყვა – **„თვითმოქმედება“** აქ შემთხვევით არ არის ნახსენები) და ამის დასაბუთებას მიუძღვნა სტატიების ციკლი – **„ცხოვრება და კანონი“.** ვნახოთ აქაც, ხალხის რა **„თვითმოქმედება და თვითმართველობა“** გვაქვს, ცენტრალიზმის ბიუროკრატიულ მმართველობას რომ ექვემდებარება ყველაფერი კვლავ...

„ისტორიულად ქართული სოფელი სასოფლო-სათემო მიწათ–მფლობელობით იყო ძლიერი, იგი ფუტკრის სკასავით ერთ ორგანიზმად კრავდა ერს“... სტატიათა ციკლში „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“, აგრეთვე „ივერიის“ ვრცელ ანალიტიკურ წერილში – „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“, ილია სწორედ კერძო საკუთრებაზე მაღლა მას აყენებს, ამ გამოცდილების გათავისება – გათანამედროვეობაში ხედავს ქვეყნის მომავალს...

„ჩვენმა გლეხკაცობამ რაც კარგი რამ არის კერძო საკუთრებასა და სათემო მიწათმფლობელობაში, ერთსაც ჩამოათალა და მეორესაც და ერთად შეადუღა... ამიტომაა იშვიათი ჩვენში უბინაოდ ტანტალი და სულ უცნობია ერთგვარი დანაშაული, რომელსაც „Бродяжничество“ ჰქვია“... ძველ საქართველოში **„ხოდაბუნების“** სამეურნეო სისტემაც ამან არ წარმოშვა?!...

ამ შემთხვევაშიც ილიას გზავნილია, რომ – **„ახალი საქართველო ძველიდგან უნდა აღმოვშობოთ!“.** მხოლოდ ეს შექმნის მკვიდრ საფუძველს ეროვნული ეკონომიკისა და ქვეყნის სტაბილური სოციალური განვითარებისთვის. ჩვენ კი, დღეს შირაქი – „საქართველოს პურის ბეღელი“, ქიზიყის სოფლების სათემო მფლობელობიდან ღმერთმა იცოდეს, როგორ და რანაირად ერთიანად კერძო საკუთრებად დავაქუცმაცეთ. საქმე ხომ იქამდეც მივიყვანეთ, რომ ამერ-იმერის სოფლებს თვით საძოვრებიც კი, დავუკარგეთ – სოფელი საძოვრის გარეშე გაგონილა?!...

დიახ, ღმერთმა და ბუნებამ მოგვცა დიდი სიმდიდრე, რუსთაველისა არ იყოს, – **„ვერვისგან ანაწონები“,** მაგრამ დღეს ყველა ვხედავთ ამას, – ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, **„უქმ და გამოუყენებელ განძად“...** ამიტომაც ეწოდა ამ 30 წელს **„გაუგებარი პერიოდი“...**

გაუგებარია აბა, რა არის, როცა დღემდე **„ნაციონალებს“** და **„ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“** ვუწოდებთ ხალხს, რომელთაც ილიასი არაფერი სწამთ, ეროვნულისაც არაფერი სცხიათ და თვითონაც არ იციან, ვის და რას ემსახურებიან. გავიხსენოთ თუნდაც, 2007 წლის 7–8 ნოემბერი, ილიას დაბადების 170 წელი რა დიდი სისხლიანი ორგიებით **„აღნიშნეს“** ამ ფსევდო-ნაციონალ დემაგოგებმა! დიახ, ისინი მახარაძე – ორჯონიკიძეების და სხვათა და სხვათა ნეო-ბოლშევიზმის მეორე გამოცემაა დღეს...

და აქ მახსენდება „მარქსელებზე“ ილიას ეს სარკაზმი და ხატოვანი თქმა, ჩვენს ე.წ. „ნაციონალებსაც“ რომ ასე ეხმიანება:

„რაზომცა ჰნათობს სინათლე,
ეგრემცა იქვე ბნელია,
რაც უნდა კანი იცვალონ,
გველი მაინცა გველია!“

თითქოს გრძნობდა ილია ნეო-ბოლშევიზმის აღორძინებას და წინასწარ გვაფრთხილებდა, მაგრამ რა გავუგონეთ მას, რომ ეს გაგვეგონა?!...

და ესეც ხომ, გაუგებარი პარადოქსია – ვინ წარმოიდგენდა, რომ ჩვენს ქუჩებში კვლავ დავინახავდით წარწერებს და გავიგონებდით ამ სამარცხვინო ჯუნგლის ტომების მსგავს ველურ ყვირილს – **„მიშა მაგარია!“, „მიშა მაგარია!“,** ეტყობა, კიდევ დარჩა ქართული მიწები აქეთ-იქით დასარიგებელი... არადა, თვითონვე ხომ, დაამტკიცა, რომ **„მეფე შიშველია“** და მაგარი კი არა, ნაგავია, დიდზე დიდი, აუწონავი ნაგავია...

და ესეც სამარცხვინო პარადოქსი დღეს: ლამის დავუჩოქოთ ამ „მიშისტებს“ – თქვენი ჭირიმეთ, გაგვაბედნიერეთ და პარლამენტში შემოდითო... მეტი „გაუგებარი“ რაღა გინდათ ამ 30 წლის „გარდამავალი პერიოდის“ საქართველოში, ახალ რევოლუციას რომ გვიმზადებენ თანაც უახლოეს მომავალში...

ახლა მოდით და ვიკითხოთ – ილია „ჩავლილი მატარებელია“, თუ სწორედ რომ პირიქით, – **ჩამოსადგომი მატარებელი...**

ილია და „უცხო ბაძის სენი“...

კომუნისტურმა იმპერიამ ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში ერთი კიდევ დიდი დაყოვნებითი მოქმედების ბომბი ჩადო – კლასობრივი ბრძოლის მარქსისტული იდეა. ილია სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებრძოლა მას, რადგან მიაჩნდა – ეს ახალი **„უცხო ბაძის სენი“** დაღუპავს ერს. აი, „ევერიაში“ როგორი სარკაზმით შეხვდა „მესამე დასს“:

„...ამბობენ ჩვენში ახალი, მესამე დასი გამოჩნდა ასპარეზზედა. იქნებ გეგონოთ ამით მინდა თავი მოვაწონო მათ, რომ თავიანთის ბედნიერის ხელით კარი გამიღონ მასში შესასვლელად. სრულებითაც არა. მე მინდა უფრო შორს გადავაბოტო. მე შევქმნი მეოთხე დასს და მეთაურადაც გავუხდები...

ოთხი სამზე წინ არის და მეც მინდა, თუ ვიქნები, წინ ვიყო. ახლა ვიღაც მეხუთე დასს შექმნის, მერე მეექვსეს... და წავა ესე, სანამ კაცს სათვალავი შემოაკლდება...

ქართული პროგრესი ესაა და ევროპიულისა კი, რა მოგახსენოთ“.

აქაც ხომ ვხედავთ, როგორ ახდა მისი წინასწარმეტყველება მართლაც რომ ჩვენებური გულუხვობით. „ძველი საქართველოს“ მემკვიდრეობას რომ ეხებოდა სტატიაში – „ზოგიერთი რამ“, წერს მისებური სარკაზმით:

„ზღვა კოვზით არ დაილევაო, აი, თუ არ დაილევა – სადღაა „მამულის“ ყოვლად-მპყრობელი, ვრცელი, ფრთა-გაშლილი მნიშვნელობა?!...

განვიმეორებ, განვთვითეულდით, ცალკ-ცალკე დავიშალენით, დავპატარავდით, თვითეულმა ჩვენგანმა ვეღარ ზიდა ის დიდი აზრი მამულისა, რომელიც გვქონდა...

სადღაა მამული? ხორცის დაუძლურებას სულის დაუძლურებაც ზედ მოსდევს... მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ქონდრის-კაცს თავისი ნეხვდაყრილი მიწა წარმოუდგება, მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში სადაო საჩივარია...

გონებით რომ აღარ ვცხოვრობთ, ქართულ ენას აზრს როგორღა გამოვათქმევინებთ, ან, რად გვინდა აზრი – ენას აზრს ვიღა სთხოვს, ჩვენი გადაგვარება იქამდე მივიდა, რომ კ ა ც ი კაცს აღარ ნიშნავს, თუ ზედ კაცური არ დავამატეთ“...

„ქართული სოფელი და ჩვენი გონება-გახსნილი ქართველი გლეხი ჩვენი ეროვნული იმედების სული და გულია“. ამიტომ თხოულობდა სასოფლო-

სათემო საკუთრების გაფრთხილებას და განმტკიცებას და არა გაუქმებას, რაც ჩვენ გავაკეთეთ...

ილია სიამაყით წერს, რომ რუსეთი კი არა, თვით ევროპისაგან განსხვავებითაც კი, საქართველოს ისტორიამ უმიწაწყლო გლეხი არ იცის...

სწორედ ეს დიდი სიმდიდრე დავკარგეთ ძველ თუ ახალ „ძნელბედობათა“ საუკუნეებში. ჩვენ ძველ **„ხოდაბუნებს“ ქართულ კიბუცებს** ვუწოდებთ და კარგი იქნება, თუ მათ ავაღორძინებთ, მითუმეტეს, რომ მისი პირველი ხსენება დაკავშირებულია პეტრე იბერისა და დავით აღმაშენებელის სახელებთან... ამასთან დაკავშირებით გვინდა „საერთო ნიადაგის“ თეორიის კიდევ ერთი ილიას არგუმენტაცია მოვიყვანოთ:

„ისტორია ბრძოლაა ბუნებასთან, სიღარიბესთან, გონების სიბნელესთან... ყოველგვარ შევიწროებასთან, რომელთაც ადამიანი პირისპირ შეეყრება ხოლმე. ერთ ბიჯსაც ვერ წავდგავთ წინ ამ ბრძოლაში, თუ ყველამ ცალკე გავიწიეთ, ყველამ ცალკე ვიბრძოლეთ. თუ ესეა, ნუთუ ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთ კვალში ჩაყენება სანატრელი არ უნდა იყოს ყველასთვის, რომ ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდეს ერთს დიდებულს დენას შეერთებულის ძალისას?

ამიტომ დიდად სცოდავენ ხალხსაც და ქვეყანასაც ისინი, ვისაც გულში ჩაუდვია, გინდა, თუ არა განხეთქილება უნდა იყოსო, რადგანაც ევროპაში ეგ განხეთქილება სუფევსო. განა ევროპა კი ცოტა დროსა და ღონეს ჰკარგავს, ცოტა სისხლსა ჰღვრის, რომ ეგ განხეთქილება მოსპოს?

მაშ, სადაც ეგ არ არის, რად გვინდა რომ იყოს? ეგ იმას ემსგავსება კაცმა ნაგავი შეიტანოს სახლში მარტო იმისთვის, რომ მერე სთქვას: სახლს დაგვა უნდაო. რად გვინდა ჩვენ აქ ბაძი, ან, რა სასარგებლოა? მაგრამ რა? ტვინთხელობა, რომელიც საკუთარ ტვინს მოკლებული, სხვისით სცხოვრობს და მარტო ბაძით სულდგმულობს, წინათვე ვიცით, კედელი იქნება და რამდენიც გინდათ ცერცვი შეაყარეთ, არ დაიჭერს“...

მემკვიდრეობითობის უნივერსალური კანონის ძალით, ილიასთვის ეროვნულ მემკვიდრეობას ალტერნატივა არა აქვს: – ჩვენ რა, წუთისოფლის ნაბიჭვრები ხომ არ ვართ, სანამ სხვას მივბაძავთ, ჯერ ჩვენს ისტორიაში ჩავიხედოთ, იქნებ აქაც ვნახოთ ჩვენთვის სასიკეთო რამ...

მარკიზ დე კიუსტენი და რუსეთი...

არ არსებობს მსოფლიოში მეტ-ნაკლებად ცნობილი მოღვაწე, რომელსაც თავისი აზრი არ გამოეთქვა რუსეთის იმპერიაზე. ოთხი სიტყვით შეიძლება შეჯამდეს ეს გამონათქვამები – **„რუსეთი პარადოქსების და მონათა ქვეყანაა“.** ეს რუსეთის საფირმო ნიშანია ისტორიულად...

აქ შეიძლება გავიხსენოთ თავისებური პარადოქსის პარადოქსი, რომელიც კარგად ახასიათებს ამ საფირმო ნიშანს:

ნიკოლოზ I მოახსენეს, რომ მარკიზ დე კიუსტენი, ცნობილი და ავტორიტეტული მოღვაწე მაშინდელი საფრანგეთისა, რევოლუციის მოძულეა და კარგი იქნება მოვიწვიოთ რუსეთში, დაე ნახოს ქვეყანა, სადაც მასავით რევოლუცია სძულთ...

კარისკაცთა ეს იდეა განხორციელდა და მარკიზ დე კიუსტენი, როგორც იმპერატორის პირადი სტუმარი, ეწვია რუსეთს. საპატიო სტუმარი მოატარეს მთელი იმპერია პეტერბურგიდან ვლადივასტოკამდე... სამშობლოში დაბრუნებისას ასე გაჩნდა მისი გახმაურებული წიგნი – **„ნიკოლოზ პირველის დროინდელი რუსეთი“...**

იმდენად მძიმე შთაბეჭდილება დატოვა ნანახმა, რომ ასე გადმოსცემს ამ თავისი წიგნის არსს – **„მე რუსეთში წავედი როგორც რევოლუციის მოძულე და დავბრუნდი როგორც რევოლუციის მომხრე და მოსურნე – მე იქ მონების ქვეყანა ვნახე“...**

პეტრე I რეფორმებს რომ ახასიათებს, აქაც ამ ყველაფერს ასეთი პარადოქსით ამთავრებს – მან ვერც ევროპიულად გარდაქმნა რუსეთი და რაც იყო და არის კიდევ უფრო განამტკიცა – მონღოლური სისასტიკე, ცბიერობა და კაცთმოძულეობა...

მარკიზ დე კიუსტენთან დაკავშირებულია ერთი პარადოქსიც, რომელიც ამჯერად „ბრეჟნევის უძრაობის ერაში“ მოხდა: პარიზში ხელახლა გამოიცა კიუსტენის „ნიკოლოზ პირველის დროინდელი რუსეთი“ და „პრავდაში“ დაიბეჭდა მკაცრი საპროტესტო ნოტა (!), რაც პირდაპირი აღიარებაა იმისა, რომ ამ 300 წლის მანძილზე ამ იმპერიაში თვისობრივად არაფერი არ შეცვლილა – **„მონების ქვეყანა მონების და პარადოქსების ქვეყნად დარჩა“...**

ალექსანდრე ბატონიშვილი და ორბელიანები:

„ტყუილა ქრისტიანები“...

ეს თეზა – ფორმულა ეკუთვნის ალექსანდრე ბატონიშვილს და მის დას – ორბელიანების რძალს, თეკლე ბატონიშვილს:

1832 წლის შეთქმულების საიდუმლო თათბირები „ორბელიანთა უბანში“ იმართებოდა და ორივე და-ძმა ვერ პატიობდნენ რუსეთს ერეკლე მეფის და მთლიანად, ბაგრატიონების ასე უღვთოდ მოტყუებას...

ივანე ჯავახიშვილი ხშირად ხაზს უსვავს რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ მთავარ სამხედრო-პოლიტიკურ სტრატეგიას საქართველოსა და მთლიანად რეგიონში:

რაკი რუსეთს მიზანში ჰქონდა ამოღებული სამხრეთის „თბილი ზღვების“ დაპატრონება და ამასთან, პერსპექტივაში ბოსფორი – დარდანელი მცირე აზიის და ავღანეთი – ინდოეთის დალაშქრვაც (ჯერ კიდევ ხომ, პავლე I „კაზაკთა კორპუსი“ გააგზავნა ინდოეთისაკენ ამ გზის დასაზვერად), ამდენად ნაპოლეონის 1812 წლის რუსეთში ლაშქრობამდე, მრავალი სამხედრო პლაცდარმი შექმნა აქ, განსაკუთრებით კახეთში...

ისე, რომ კახელებმა პირველებმა გამოსცადეს თავის თავზე დამპყრობელთა ცხოვრების წესიც და ეს მათი „ტყუილა ქრისტიანობაც“: მაგალითები საკმარისზე მეტია – „არა კაც ჰკლას“ მაგივრად, „ჰკალი“ რამდენიც გინდა, „არა იქურდოს“ ნაცვლად, იქურდე, განსაკუთრებით ხაზინის ხარჯზე რამდენიც გაგეხარდება, „არა იმრუშოს“ ნაცვლად, იმრუშე რამდენიც გინდა...

დიახ, ჯარს, განსაკუთრებით ოფიცრობას ყველაფერთან ერთად, სექსიც უნდა და როდესაც სიღნაღთან ბოდბის წმინდა ნინოს მწვანეში ჩაფლული მონასტერი ნახეს, მაშინვე რუსეთიდან რუსი „მონაზონი“ ქალების მთელი არმია ჩამოიყვანეს... ასე გადააქციეს მონასტერი „ბორდელად“...

ესეც ფაქტია – არც ადგილობრივ ქალებს ერიდებოდნენ და მათზე ძალადობის არაერთი შემთხვევაა დაფიქსირებული 1812–13 წლების კახეთის აჯანყების მასალებში... თვითონ ქიზიყში ეს აჯანყება ხომ, სწორედ ქალებმა დაიწყეს, კაცებიც აიყოლიეს და ესეც ფაქტია – სიღნაღის გარნიზონი მთლიანად ამოწყვიტეს...

მონასტრის „ბორდელიც“ მთლიანად გაწმინდეს, მაგრამ აჯანყების დამარცხების შემდეგ, ყველაფერი ძველი „რუსული ცხოვრების“ წესსა და რიგს დაუბრუნდა კვლავ...

თვით შაჰ–აბასს აჯობეს:

„მუხაჯირობა“ ძველი, „მუხაჯირობა“ ახალი...

საქართველოს და ქართველი ერისთვის შაჰ-აბასზე დიდი მტერი ძნელად წარმოსადგენია. ეს ხომ, სწორედ მას ეკუთვნის ჩვენი დამაქცევარი წყევლაც, თავის ღმერთს რომ შეჰღაღადა: „ღმერთო, ქართველებს ერთ პირს ნუ მისცემ!“, და თვითონვე შესანიშნავად ახორციელებდა კიდეც ამას...

მანვე განახორციელა საქართველოს ისტორიაში პირველი დიდი მასობრივი გასახლება ქართველების ირანში და სამაგიეროდ, ყიზილბაშური

ტომების ჩამოსახლება ქართლ-კახეთში... ასე გაჩნდა პირველი ქართული, ყველაზე უძველესი დიასპორა ფერეიდანში ზუსტად 400 წლის წინ, ჩვენდა საამაყოდ, დღემდე რომ შეინარჩუნეს ქართული ენა, ბევრი სხვა ქართული ტრადიციებიც...

მაგრამ „ბოროტების იმპერია“ რის ბოროტების იმპერიაა, რომ ეს უფრო დიდი ძალით და მასშტაბით არ განეხორციელებინა – შაჰ-აბასის რეკორდი მან რამდენჯერმე „გააუმჯობესა“: ჯერ ხომ, როგორც კი საქართველო „ნებაყოფილობით“ შეუერთდა, ასეთივე „ნებაყოფილობით“ სამშობლოდან ერთიანად გასახლდნენ ბაგრატიონთა მთელი დინასტია, ეს პირველი „მუხაჯირობაა“ კავკასიაში... მერე პასკევიჩმა მთელი მესხეთი განაქართულა – იქიდან მაჰმადიანი მესხები გაასახლა და იქ უცხო ეთნოსი ჩაასახლა, – ეს მეორე გასახლება – მუხაჯირობაა...

აქეთ – XX საუკუნეში ხომ, შაჰ-აბასს არც დაესიზმრებოდა, განქართულების ისეთი ოპერაციები ჩატარდა: ჯერ გენერალმა დენიკინმა წაგვართვა სოჭი და ჯიქეთი, მერე რომ ბოლშევიკებს უფეშქაშა, ხრუშჩოვმა მთლად გასახლება მოინდომა ქართველების და ახლა პუტინის რუსეთმა სოჭსა და ჯიქეთს აფხაზეთი და სოხუმიც ზედ მიაყოლა და ესეც არ იკმარა (რა ქნას, ტერიტორიები აკლია და...) და ახლა თბილისთან ახლო მოგვიჩოჩდა სამაჩაბლო – ახალგორით...

ესეც საკითხავია დღეს – ნუთუ ამ ახალ XXI საუკუნეშიც უნდა გაგრძელდეს „განქართულების“ პროცესი?!... მაგრამ მადლობა ღმერთს, დღეს სულ სხვა ვითარებაა და არა მგონია იმპერიამ კვლავ შესძლოს თავის ნებაზე პარპაში ამერ-იმერით... სტრასბურგის სასამართლოს ახლანდელი გადაწყვეტილებაც ამის დიდ იმედს გვაძლევს...

– ისინი სლავები აღარ არიან...

ასპირანტობის დროს კიევში მომიწია ცხოვრება, ძალიან კარგად მიმიღეს, რომ იტყვიან ძმურად. კიევის უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში ცალკე ოთახი გამომიყვეს...

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ კიევში თბილისზე უფრო მეტი ნაციონალური მუხტი დამხვდებოდა, აშკარად ანტირუსულ განწყობილებაში გადაზრდილი. მაშინ სპორტი და განსაკუთრებით ფეხბურთი ეროვნული სიამაყის საგანი იყო და ვერ ვიტანდით ფეხბურთის მოსკოველი ფუნქციონერების დაუფარავ სურვილს, გინდა თუ არა, მოსკოვის რომელიმე გუნდი უნდა გამხდარიყო ჩემპიონი....

უნდა გენახათ რა ამბავი იყო კიევში, როცა მათი გუნდი მოსკოვში მოსკოვის გუნდს ეთამაშებოდა – ტელევიზორი მაშინ ასე მასობრივად არ იყო გავრცელებული და ე.წ. „წითელ კუთხეებში“ ხდებოდა მაყურებელთა თავშეყრა. არ დავიჯერებდი, მე რომ არ მენახა – ერთი რუსიც ვერ გაბედავდა იქ შემოსვლას, პირდაპირ თავში ურტყავდნენ...

სიმართლე გითხრათ, არ მომწონდა ასეთი რამ და ერთხელ საჯაროდაც გაკვირვებით ვთქვი **„უკრაინის ისტორიის კათედრაზე“,** სადაც ვიყავი მივლინებული:

– ორივე სლავი ხალხი ხართ და რატომ ასეთი დაპირისპირება და შეუწყნარებლობა, ჩვენთან, საქართველოში უფრო ნაკლებად ნახავთ ამას – მეთქი.

პასუხად ისეთი რამ მივიღე, რაზეც ადრე მაინცდამაინც არ მიფიქრია, მითუმეტეს მეც ისტორიკოსი ვარ და სლავების ისტორიის კურსიც მქონდა გავლილი:

– **ეგენი სლავები აღარ არიან,** – თითქმის ერთხმად გამომიცხადეს, – რამდენჯერ მივწერეთ, რომ „კიევის რუსეთის ისტორიას“ ნუ ითვისებენ, იქ ნუ ეძებენ თავიანთ წინაპრებს – იქით ვოლგისა და ურალისკენ, ყაზანისა და ასტრახანის სახანოებისკენ ეძებონ... „კრემლიც“ ყაზანიდან არ გადმოიღეს, ისე როგორც ათასი სხვა ტოპონიმები „ურალი“, „სიბირი“ – მონღოლურად „მძინარეს“ ნიშნავს, იქიდანაა ეს საშინელი, შიშისმომგვრელი „ურას“ ძახილიც...

– ასე არიან თავიანთი დღე და მოსწრება: იღებენ და იღებენ ყველასგან ყველაფერს... რა, „ლეტოპისი“ თქვენგან არ გადმოიღეს – „ქართლის ცხოვრების ჟამთაღმწერლებისგან“, თქვენმა კირიონმა ხომ ეს ფაქტებით დაუმტკიცათ, ქრისტიანობა ჩვენგან მიიღეს და სასაცილო არ არის, ავტოკეფალიას რომ არ გვანებებენ?!... ეს **„ორთავიანი არწივი“** ბიზანტიისაგან არ მიითვისეს, **„მონომახის ქუდიც“... „რუსულ აბანოს“** რომ უძახიან, ფინელებისაგან გადმოიღეს... ამ ახალ ომში გერმანია რომ გაძარცვეს, ეშელონი ეშელონზე მოდიოდა ნაძარცვით, ანდა, ეს „პობედა“ და „ვოლგა“ იქიდან არ მოიპარეს – მიითვისეს... ყველაფერს ევროპიდან ითვისებენ თავიანთ დღე და მოსწრება და მაინც ევროპას მტრობენ...

– არა, სლავები აღარ არიან, „ოქროს ურდოს“ მონღოლებივით მძარცველები, მიმთვისებლები და მპარავები არიან... ჰოდა, ჩვენ და ჩვენს ისტორიას თავი გაანებონ, „სოფიის ტაძარს“, „კიევ-პეჩორის მონასტერს“, – მეტი ბრიყვობა და ნაგლობა გაგონილა?!... აქ ტყუილა ნუ მოძვრებიან, ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ეკლესია და ჩვენი ისტორიაც ჩვენთვის გვინდა, თავი გაგვანებონ...

მართლაც, მიკვირდა მუდამ რამხელა განსხვავებაა რუსეთის, მისი ქალაქების ბაზრობებსა და კიევის ბაზრებს შორის – იქ მარტო „კაპუსტა“ და „კარტოშკა“, აქ, როგორც ჩვენთან – სიუხვე და სიმდიდრე... ექსკურსიებს ვაწყობდით და აქაც გავოცდი – უკრაინელი გლეხი სრულიად განსხვავებულია...

– აბა, შეხედე, მიხსნიდნენ, 300 წელი მონღოლთა მონობაში იყვნენ და ნახეთ შედეგი ამისა: იქ რუსეთში მათი მონღოლური ჩავარდნილი თვალები და ღაწვები, აპრეხილი ცხვირი, თხელი წვერ-ულვაში, სათითაოდ რომ დაითვლი, ცბიერი გამოხედვა... და ჩვენი გლეხის ტიპაჟი...

მართლაც რომ ვაკვირდებოდი იქაურ სოფლებს, ასეც იყო, ბევრგან ჩემი რუსული არ ესმოდათ, მხოლოდ უკრაინულად მეტყველებდნენ...

ვარშავასა და პოლონეთშიც რომ მოვხვდი, იქაც რუსებს სლავებად აღარ თვლიდნენ – ჩვენს სისხლში აქვთ ხელები გასვრილი, ვარშავაც ზარბაზნებით რამდენჯერ დაგვინგრიეს მეთვრამეტე საუკუნიდან მოყოლებული, – ვინ მოთვლისო...

იმპერია – უნიკუმი:

„გინესის წიგნშია“ შესატანი...

კრემლი რომ ცოდვით სავსეა, ეს ვინ არ იცის რუსეთშიც და მის გარეთაც. ამაში იგი იმპერიათა ჩემპიონია – მას კონკურენციას ვერავინ გაუწევს, გარდა „ოქროს ურდოს“ ყაენების, ერთმანეთს რომ დაუზოგავად ჟლეტდნენ...

მაგრამ ცოდვებსაც გააჩნია – ეს 300 წელი გიყვარდეთ, ცოდვების უწყვეტი ჯაჭვია; ცოდვები, ცოდვები, ცოდვები – გაუთავებელი ცოდვები ძველიც და ახლანდელებიც...

უმთავრესი იარაღი ამ ცოდვათა ჩადენისა, საწამლავია. ჯერ კიდევ ივანე მრისხანისა და გოდუნოვის დროს სპეციალური სამსახური შეიქმნა მონღოლთა გამოცდილებით ნაირ-ნაირი საწამლავების დამზადებისა, ნავალნის **„ნოვიჩოკის“** საწამლავამდე რომ განვითარდა დღეს...

სტატისტიკასაც თუ გადავხედავთ ამ მხრივაც იმდენი ფაქტია, აქაც „გინესის წიგნშია“ შესატანი ჩვენი იუბილარი იმპერია. დავიწყოთ თავიდან – XVIII საუკუნიდან:

იმპერიის დამფუძნებელი პეტრე I მოწამლეს, ვაჟიშვილი – ალექსი, ღალატისთვის თვითონვე ჩასვა ციხეში და ისიც იქ მოწამლეს, მემკვიდრე – მეუღლე და ქალიშვილებიც მალევე მოწამლეს, მათი მემკვიდრე პეტრე II მოწამლეს, ანა იოანეს–ასული, შედარებით დიდხანს – 10 წელი დარჩა ტახტზე, მაგრამ მასაც, როცა სადილს მიირთმევდა, საწამლავით მოუღეს ბოლო...

და აი, აქ იწყება მსოფლიო საოცრება, რომელიც ასევე „გინესის წიგნშია“ უთუოდ შესატანი: 1740 წელს იმპერატორად გამოაცხადეს მისი 2 თვის ბავშვი ივანე VI, მაგრამ მალე პეტრე I ქალიშვილმა ელისაბმედმა მოაწყო ტახტის მორიგი გადატრიალება, თავი იმპერატორად გამოაცხადა, ბავშვი კი ციხეში

ჩასვა?!... იგი 25 წლის შემდეგ კი, რომანოვების გერმანელმა რძალმა – ეკატერინე II მოახრჩო, მის გზას გაუყენა თავისი ქმარიც და რუსეთის ისტორიაში პეტრე I მსგავსად, **„დიდის“ რეგალიით აღიჭურვა ეს „უძღები ქალი“...**

XIX საუკუნეც არანაკლები ცოდვიანი აღმოჩნდა, – პავლე I თავის საწოლ ოთახში მოახრჩვეს, სამ ალექსანდრეს და ორ ნიკოლოზსაც ბუნებრივი სიკვდილი არ ეღირსათ, არცერთს... ნიკოლოზ II რომანოვებს შორის ყველაზე უიღბლო აღმოჩნდა: 1918 წელს კურდღელივით დასდევდა ლენინი და ბოლოს ეკატერინებურგში სვერდლოვის დივიზიამ მიაგნო მასაც და მის ოჯახსაც, ლენინს რომ აცნობა, წამითაც არ დაყოვნებულა, ისე გასცა დახვრეტის ბრძანება...

რომანოვების იმპერია რომ ბოლშევიკურმა შეცვალა, აბა, აქ დატრიალდა ცოდვათა კარუსელი: 5-წლიან სამოქალაქო ომსაც რომ თავი გავანებოთ მილიონობით მსხვერპლით, – ე.წ. **„კლასობრივი მტრების დახვრეტებით“** ამ ახალ ფერნაცვალებ იმპერიასთან სხვა ვერცერთი იმპერია სიახლოვესაც ვერ მივა...

როცა სტალინი მოწამლეს, ხრუშჩოვმა ასეთი განკარგულება გასცა: ყველა არქივი უნდა შეესწავლათ, რომ სტალინის ხელმოწერით რეპრესიების მსხვერპლთა რიცხვი მიეცათ მისთვის XX ყრილობისთვის რუსეთისა და რუსი ხალხის მიმართ მისი ცოდვების დასამძიმებლად – მავზოლეუმიდან სტალინის „გამოსახლებისთვის“ დასჭირდებოდა საბჭოთა იმპერიის ამ ახალ საჭეთმპყრობელს...

მაგრამ აქაც პარადოქსი და სასწაული თუ გინდათ საბჭოთა იმპერიისა, ესაა – სტალინი ყველაზე ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა, ასეთი ხელმოწერები ვერ ნახეს – იაგოდას, ეჟოვის, ბერიასი კი, რამდენიც გინდათ... ხრუშჩოვი იძულებული გახდა ამის გარეშეც 1956 წელს სტალინი პირსისხლიან მტარვალად წარედგინა იმპერიის შიგნითაც და გარეთაც...

მეორე პარადოქსი ისიც გახლავთ, რომ ამ ძებნა-ძიებაში ლენინის იმდენი ხელმოწერები აღმოჩნდა, ესეც „გინესის წიგნში“ არის შესატანი: ათასობით და მილიონებით „თეთრგვარდიელები“, მაგრამ მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ოქტომბრის გადატრიალებამდე 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ არჩეული **„რუსეთის დამფუძნებელი კრების“** დეპუტატები კონტრევოლუციონერებად მონათლეს და იმქვეყნად გაისტუმრეს. აქ ლენინმა თვით ჰიტლერსაც კი გადაასწრო – ჰიტლერი დეპუტატებს არ ხვრეტდა...

„რაშა თუ დეის“ სურვილის შემთხვევაში, ეს და ძველი, თუ ახლანდელი სხვა მასალები შეუძლია თამამად გადააგზავნოს ლონდონში ამ 300 წლოვანი იუბილეს დასამშვენებლად და პირობას ვაძლევთ, აქაც პირველობას ვერავინ შეეცილება მასაც და მის იუბილარ **„ბოროტების იმპერიასაც“...**

თბილისი რუსების აშენებული ქალაქია?!...

„რაშა თუ დეი“, „ეხო კავკაზა“ და „ჰიბრიდული ომის“ სხვა რუპორები წელებზე ფეხს იდგავენ, რომ მსმენელები დაარწმუნონ ევროპაშიც და აქაც – დღეს ქართველი ერი რომ კიდევ არსებობს დედამიწაზე, ეს რუსეთის დამსახურებაა, ეს მათი დედაქალაქიც უძველეს ქალაქად რომ უნდათ მოაჩვენონ ტურისტებს, იგი რუსეთმა აუშენათ და 200 წლისაა, მანამდე იგი „ერთი პატარა სოფელი იყო“, ისიც აღა მაჰმად-ხანმა გადაწვა და მიწასთან გაასწორა...

– აი, თბილისის ცენტრს **„ვორონცოვი“** რატომ ჰქვია, ანდა, **„გოლოვინი“,** რკინიგზა რომ გავუყვანეთ, მთელ მის შემოგარენს – „ნახალოვკა“, სხვა ტოპონიმებიც – „სოლოლაკი“, „კირიჩნი“, „ზემელი“, „ავლაბარი“, „არამიანცი“... რუსებმა და სომხებმა ააშენეს თბილისი, საერთოდ, იგი სომხური ქალაქი უფროა, ვიდრე, ქართული...

ასე ზარ-ზეიმით ამცნობს ანდრეი ბაბიცკი და მისთანები თბილისის გაყალბებულ ისტორიას და გაგიკვირდებათ, მოწმედ ვინ მოყავთ – **რუსთაველი:**

– ასე რომ ადიდებენ მას და მის პოემას, მისივე სიტყვებით – „სპარსულით ნათარგმანებს“, რატომ ერთხელაც არ ახსენებს რუსთაველი თბილისს, თუ იგი მართლაც ქალაქი იყო?!...

ერთი სიტყვით, მთელ ჩვენს ქვეყანას ხომ გვედავებიან აფხაზეთიდან სამაჩაბლომდე, ახლა დედაქალაქიც მათ აგვიშენეს და ტყუილა ვიჩემებთ თურმე, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ქალაქია **„აბრეშუმის დიდი გზით“** აზიას რომ ევროპასთან აკავშირებდა...

ესეც პარადოქსია იუბილარი იმპერიისა: დღეს სსრ კავშირის ძველი დიდების აღსადგენად შექმნეს **„ევრ-აზიური კავშირი“** და ძველ, განდგომილ ე.წ. **„მოკავშირე რესპუბლიკებს“** ყველას გვეპატიჟებიან იქ. ამდენად, კრემლის იდეოლოგები ასეთ დილემას გვიყენებენ – ევროკავშირის ნაცვლად, **„ევრ-აზიური კავშირი“...**

ზოგიერთმა ვერ გაუძლო ცდუნებას, ზეწოლას და შიშს, მაგრამ ცხადზე ცხადია, **„ევრ-აზიური კავშირიც“** ისტორიას ჩაბარდება აუცილებლად, როგორც **„სსრკ – მძლე კავშირი ძმური“...**

XX-დან XXI – საუკუნისკენ:

ინერციის ძალა ისტორიასაც აქვს...

წიწამურის შემდეგ თანდათან საწუთისოფლო ასპარეზი დატოვეს XIX საუკუნის ქართველთა თაობებმა: XX საუკუნის მესამედასურმა საქართველომ მარქსიზმი გაბატონებულ იდეოლოგიად აქცია.

ილიას **„საერთო ნიადაგის“** თეორიიდან კვალიც კი აღარ დარჩა. თვითონ იგი **„თავად-აზნაურული რეაქციის ბურჯად და ქართველი ხალხის უბოროტეს მტრად“** გამოცხადდა, სანამ 1936 წლის 4 სექტემბერს ბოლშევიკური იმპერიის საჭეთმპყრობელმა „პრავდაში“ მისი საქებ-სადიდებელი სტატია არ დაბეჭდა...

მაგრამ ილია აღსდგა მხოლოდ ვითარცა **„მწერალი“** და არა **„ეროვნული იდეოლოგი“.** ასეა დაფიქსირებული ეს ფაქტი დღემდე წიწამურის სვეტზეც. **ინერციით** XX საუკუნის თაობებმაც ასე მიიღეს და იწამეს, თითქოს ასეთი იდეოლოგია არცა გვქონდეს და არც ილია გვყავდეს...

ისტორია კი მიდის – ვინ გააჩერებს მის სვლას და XX საუკუნემ, სანამ XXI საუკუნეს გადასცემდა ესტაფეტას, გააგრძელა თავისი სისხლიან-ცრემლიანი გზა ჩვენთანაც და მსოფლიოშიც. ამით იგი ჯერჯერობით გამორჩეულია ყველა აქამდე განვლილთა შორის: ხუმრობა საქმე ხომ არაა ორი მსოფლიო ომი ერთმანეთზე უარესი სისხლისმღვრელნი...

ესეც გამორჩეულად მოჩანს ამ საუკუნის განვლილი ისტორიიდან: თუ მანამდე დედამიწაზე იმპერიების ფორმირების ნამდვილი ბუმი იდგა, XX საუკუნემ ეს იმპერიები ისტორიის არქივს ჩააბარა ერთის გარდა: ბოლშევიზმმა რუსეთის იმპერია ერთხანს კი გადაარჩინა, მაგრამ აქაც,– **ინერციის ძალა ისტორიასაც აქვს და ისიც მოუსავლეთში გაისტუმრა...**

სსრ კავშირის გაქრობა პუტინმა **„დიდ გეოპოლიტიკურ კატასტროფად“** მონათლა, მაგრამ საბედნიეროდ, პუტინის ნება-სურვილზე არ მიდის ისტორია...

– **ყველამ თავისი მკვდარი იტიროსო,** ნათქვამია და ჩვენც ჯერ ჩვენი ქვეყანა ვიკითხოთ – რა გზას დავადგეთ, რომ ამ დიდი გეოპოლიტიკური ნანგრევების ქვეშ არ მოვყვეთ, როგორც ეს XX საუკუნის დასაწყისში I მსოფლიო ომის შემდეგ დაგვემართა. ეს გზა ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობაა, გალაკტიონმა გენიოსურად რომ თქვა ამ ორი სტრიქონით:

„წიწამურთან რომ მოკლეს ილია,
მაშინ ეპოქა დამთავრდა დიდი“.

ამ **„დიდი ეპოქის“** აღდგენა – გაგრძელების პრობლემა დგას დღეს: ეს XX საუკუნის საქართველოს მთავარი ანდერძი და გზავნილია XXI საუკუნის თაობებისთვის. მაგრამ აქაც წინა საუკუნის **ინერციის ძალაა დასაძლევი:** აქეთკენ

უნდა იქნას მიმართულნი პეტრე იბერის სიტყვებით რომ ვთქვათ, **„ჩვენი სახედველნი მიწის და ცისა“...**

ბოლოს და ბოლოს, ეს XX საუკუნე და მისი მემკვიდრეობა ხომ უნდა მოვიშოროთ თავიდან – ინერცია აქაც დასაძლევია...

დიქტატორის აღსარება:

სტალინი სტალინის შესახებ...

1951 წლის აგვისტო, – ლიკანი და სტალინი ერთი დიდი ფსიქოლოგიური ნოველის თემაა. თვითონ სტალინი ხომ, დიდზე დიდი ფსიქოლოგი იყო. **„სწორედ რომ რუსულ ფსიქიკაზე“** ააგო მან თავისი პოლიტიკური კარიერა ოქტომბრის სამხედრო გადატრიალებამდე და მის შემდეგაც, როცა იგი ჯერ **„ეროვნებათა სახალხო კომისარი“** გახდა და მერე კი, მთლად ბოლშევიკთა **„უსტაბაში“,** როგორც თვითონ ხუმრობდა, როცა მამის ოცნებას იხსენებდა, კეკეს რომ ეჩხუბებოდა მუდმივად – **„წიგნის კაცი“** კი არა, სოსო **„მეჩექმეთა უსტაბაში“** უნდა გახდესო...

„სტალინოლოგიის“ ფუძემდებელი ტაკერი **წერს: „სტალინის აღზევების, ბოლშევიზმის ლიდერად და ქვეყნის დიქტატორული მმართველობის მიზეზები უნდა ვეძიოთ რუსეთის, როგორც ავტორიტარული მმართველობის ტრადიციული ქვეყნის და მისდამი რუსი ხალხის უსიტყვო მორჩილების ფსიქიკაში“.**

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ამ ანალიზს, მაგრამ ამასთან, ესეც სათქმელია: სტალინის ფენომენის სრულყოფილი აღქმისა და გააზრებისთვის, აუცილებელია თვითონ მისი პიროვნებად ჩამოყალიბების ოჯახური გარემოს, ეროვნული ისტორიისა და კულტურის გათვალისწინებაც, რაც ნაკლებად შეიმჩნევა „სტალინოლოგიის“ ზღვა მასალაში...

ეს ცალკე დიდი თემაა კვლევისათვის, მაგრამ აქ გვინდა ერთი მაგალითი მოვიყვანოთ, რომელიც ბევრისთვის შეიძლება ნაკლებად ცნობილია დღეს:

ეს კარგად ჩანს რუსულ ენაზე დაწერილ მის ერთადერთ ლექსში – **„მორჩილი“ („Послушник“).** აი, მოვუსმინოთ რას სწერს სტალინი სტალინის შესახებ. მკითხველი კი მინდა გავაფრთხილო, რომ ეს ლექსის ჩემი თავისუფალი თარგმანია მაქსიმალურად მიახლოებული ორიგინალთან. ვისაც გაუჩნდება სურვილი თავად ნახოს ორიგინალი, მივუთითებ წყაროს: http://www.klaipeda1945.org/wp-content/uploads/2020/05/001.05.2020-Stalin-stihi-o-Pobeda.jpg

მორჩილი

„ვილაპარაკოთ მე და შენ:
ვიცი, ცოდვიანი ვარ მე!
მაგრამ ვიღაცა მმართავდა,
მსდევდა მე ბავშვობიდანვე.

არ მასვენებდა დღე და ღამ,
და მეც როგორც მონა მისი,
იმის ბრძანების მორჩილი
ერთგულად ვმსახურობდი მას.

ვინ იყო ის მბრძანებელი?
ან, რა უნდოდა ჩემგან მას?
რას მთხოვდა, როს წარმავლინა,
ღატაკ ქვეყანასა შინა?

და მეც, როგორც ზღაპრადაა,
მომცა უზომო ძალა მან,
ძალაც და ძლიერი ნებაც
ამა ქვეყნის სამართავად.

45-ის გაზაფხულს
მან ბოლოს ჩამჩურჩულა მე:
შენ იყავ კარგი მორჩილი
და სასრულიც მოვა მალე!“

„სასრული“ მართლაც მალე მოვიდა – ამ ლექსიდან 2 წლის და ცოტა მეტი ხნის შემდეგ: ლექსს თარიღად უზის 1949 წელი – აშკარაა, რომ მან ლექსი თავისი დაბადების 70 წლისთავზე დაწერა...

სტალინზე ლიტერატურა უამრავია, ალბათ XX საუკუნის პოლიტიკური მოღვაწეებიდან ის უპირველესი, თუ არა ერთ-ერთი პირველთაგანია ამ მხრივ – საგინებელი გნებავთ, თუ სადიდებელი, ათასობით შეხვდება კაცი სტალინზე ლიტერატურას...

ეს გასაგებიცაა – ის ხომ, თავისი ეპოქის ცენტრში ტრიალებდა ჯერ როგორც მოქმედი კაცი და სიკვდილის შემდეგაც დღემდე თავის განუმეორებელ კვალს აჩნევს მიმდინარე პროცესებს. მარტო რუსეთის გახსენება რად ღირს, მისგან დანატოვარი ატომურ-რაკეტული იარაღით შიშის ზარს რომ სცემს ირგვლივ დღეს ყველას...

შხამით აღსავსე ფიალა...

ბ-ნი ვალერიანი იხსენებს ერთ საუბარს სტალინთან: – ზოგს ჰგონია, თავიდანვე მთელი ძალაუფლების პატრონი ვიყავი, არადა, ლენინი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როცა ტროცკიმ გადაიბირა – ჩემი ჩაძირვა უნდოდათ... მთელი 20–30-იანი წლები ბეწვის ხიდზე ვიარე, მოგზავნილმა ტროცკისტმა ჩემს კაბინეტშიც კი მესროლა, რა არ გამოვიარე...

– ომამდე ოპოზიციამ ათასჯერ სცადა ჩემი თავიდან მოშორება, ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი... მთელი ებრაული კასტა დამესია... ორჯონიკიძეც კი გადაიბირეს, ცოლს თავი მოაკვლევინეს, ცოლიძმა ჩაითრიეს შეთქმულებაში... ჯოჯოხეთი გამოვიარე, ღმერთი მშველოდა ალბათ, ეს „მორჩილიც“ ამიტომ დავწერე – ჩემი განვლილი ცხოვრების კარნახით...

„სტალინოლოგიაშიც“ შეხვდება კაცი მსგავს მასალებს ბევრს, როგორ **„უმართლებდა“** სტალინს, ვთქვათ, როგორ გადაარჩინა ჩიბუხმა, როცა ესროლეს (სროლის მომენტში ჩიბუხი დაუვარდა ძირს), სხვა ათას მომენტსაც ნახავთ მასზე...

მაგრამ ერთი რამ შეიმჩნევა მათში: ადრეც ვთქვით – ისინი, ვინც კარგად არ იცნობს მის სამშობლო–ქვეყანას, ვერც სრულად აღიქვამს მის ფენომენს. დიახ, საქართველო და ქართველი ერი, ჩვენი ისტორია და ცხოვრების წესი თუ არ იცი, ამ ფენომენსაც ვერ გაიგებ ბოლომდე... აქ მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს, რომელიც ალბათ, ნაკლებად ცნობილია სხვა ავტორებისთვის, განსაკუთრებით უცხოელებისთვის:

სანამ „მორჩილს“ დაწერდა, 16 წლის სოსელომ „ივერიაში“ დაბეჭდა ერთი უსახელო ლექსი, რომელსაც პირობითად შეიძლება დავარქვათ „**შხამით აღსავსე ფიალა**“ – საკვირველია ამ ასაკში ასეთი ცინიზმი:

„ამ ქვეყნად იგი, ვით ლანდი,
კარი-კარ დაწრიალებდა,
ხელთ ეპყრა მუხის ფანდური,
ხმა-ტკბილად აწკრიალებდა.

მის საოცნებო ჰანგებში,
ვითარცა სხივი მზიური,
ისმოდა თვითონ სიმართლე
და სიყვარული ციური...

მაგრამ დიდების მაგიერ,
სად ჩანგმა გაიწკრიალა,
განდეგილს ბრბომ იქ დაუდგა
შხამით აღსავსე ფიალა.

და უთხრეს: „შესვი წყეულო,
ეგ არის შენი ხვედრიო,
შენი არ გვინდა სიმართლე,
არც ეგ ციური ხმებიო!“...

ეს ლექსი ზუსტად იმეორებს „მორჩილის“ არსს, – გაგიკვირდება კაცს, თუ მართლაც, „ვიღაცა არ მართავდა“ მას ბავშვობიდანვე და მერეც, როცა „წარავლინა ღატაკ ქვეყანასა შინა“ და თანაც, მისცა „უზომო ძალაც“, საიდან ამდენი გამარჯვებანი?!...

კვლავ მინდა გავიხსენო 1951 წლის აგვისტოს ლიკანი, **„რომანოვების სასახლე“** და მტკვარგაღმა **„პეტრეს ციხე“**: ლიკანში ფაქტიურად გამოიკვეთა ის, რასაც საბჭოთა იმპერიის დასასრული შეიძლება დაერქვას... ამასთან, აქ მაშინ ბევრი რამ ისეთი მოხდა და ითქვა, დღეს და სამომავლოდაც რომ გამოგვადგება ქართველებს. კანდიდ ჩარკვიანის, აკაკი მგელაძის, ვალერიან დათუკიშვილის მემუარებში გაფანტულია მაშინდელი საქართველოს ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა და ფაქტი, ილიას თემატიკა იქნება ეს, თუ პარიზიდან ქართული განძის დაბრუნების, ან, თბილისის ზღვის, მეტრომშენებლობის, შირაქის გასარწყულების, ანდა, რუსთავის და ქუთაისის „ინდუსტრიულ ცენტრებად“ გადაქცევის გეგმები...

„საუბრები ლიკანში“ ესეც ცალკე დიდი თემაა, მისი დამუშავებისთვის მასალა საკმარისზე მეტია და მას ცალკე მონოგრაფია შეიძლება მიეძღვნას. აქ კი, ვფიქრობ, მკითხველს უთუოდ დააინტერესებს საბჭოთა იმპერიის ბოლო პერიოდის ეს პრობლემა:

სტალინი და ჩერქეზიშვილი:
კარლ რენერი და „ეროვნული სოციალიზმი“...

სოციალიზმს საქართველოში ორი დიდი ფანატი და როგორც იტყვიან, გიჟი ჰყავდა – **სტალინი და ჩერქეზიშვილი**: პირველი (1879–1953), რუსული სოციალიზმის მიმდევარი იყო, მეორე კი (1846–1925), – ევროპულის...

მათ შორის დისკუსია 1906–07 წლებში წარიმართა და მოკლედ რომ ვთქვათ, ეს შეეხებოდა ამ პრობლემას: რომელია უფრო რეალური და პოზიტიური – **სახელმწიფოებრივი, თუ არასახელმწიფოებრივი სოციალიზმი...**

ეს დისკუსია მერეც გაგრძელდა, სტალინმა ამას ცალკე მონოგრაფიაც მიუძღვნა – **„ანარქიზმი, თუ სოციალიზმი?“**, რომელიც მან სწორედ ლიკანში ყოფნის დროს ხელახლა გამოსცა...

ვარლამ ჩერქეზიშვილმა კი მთელი თეორია შექმნა ამ პრობლემაზე, რამაც ევროპაში დიდი გამოხმაურება და მხარდაჭერაც ჰპოვა... ისტორიაში კი, იგი დამკვიდრდა, როგორც**„ანარქო-სინდივალიზმის თეორია“**. „სინდიკატი“ ფრანგულიდან თარგმნით „ერთიანს“, „საერთოს“ ნიშნავს და გარკვეულწილად ეხმიანება და ბევრ რამეშიც ემთხვევა კიდეც ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორიას...

სტალინი და ბოლშევიკები დაადგნენ **„სახელმწიფოებრივი სოციალიზმის“** გზას და ნებით, თუ უნებლიედ ამ გზაზე დააყენეს აღმოსავლეთ ევროპისა დ ჩინეთის, კორეის, ვიეტნამის, კუბის დიქტატორული რეჟიმებიც, **„მსოფლიო სოციალისტურ სისტემად“** რომ მონათლა კომუნისტურმა იდეოლოგიამ...

ეს II მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა საბჭოთა იმპერიის სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერით, მაგრამ ჩერქეზიშვილის **„ანარქო-სინდიკალიზმის“** თეორიამ და მისმა **„არასახელმწიფოებრივი სოციალიზმის“** იდეამ ბუნებრივი განვითარებით გაცილებით მეტ შედეგებს მიაღწია, რამეთუ ბუნებრივი ყოველთვის სჯობს ხელოვნურს და მასზე უფრო სიცოცხლისუნარიანია...

იმ ძველ დისკუსიაში სტალინი **„არასახელმწიფოებრივი სოციალიზმის“** ანარქისტულ იდეას დაცინვით **„პაწია თემთა სოციალიზმს“** უწოდებს, რომლის პერსპექტივას „ნულთან“ ათანაბრებს, მარქსისტულ-ბოლშევიკურს კი, მის პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფოს – **„საუკუნეების სიცოცხლეს“** უწინასწარმეტყველებს...

მაგრამ მოხდა პირიქით – მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სწორედ **„არასახელმწიფოებრივი სოციალიზმის“** პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა იდეებმა განსაკუთრებული პოპულარობა და წარმატებები მოიპოვეს დასავლეთ ევროპაში და ბევრგან სხვაგანაც, **„სახელმწიფო სოციალიზმი“** კი, ყველგან ბიუროკრატიზმისა და მექრთამეობის ჭაობში ჩაეფლო და ჩაიხრჩო...

ლიკანში ჩასახული **„მეგრელთა საქმე“** ერთი პატარა ლოკალური მომენტია მექრთამეობის იმ დიდი უკურნებელი სენიდან, რომელიც მთელ საბჭოთა იმპერიას კიბოსავით მოედო მაშინ. უბრალოდ, მგელაძემ ლიკანში სათანადო ფაქტებით მოამარაგა სტალინი **„ბერია-ბარამიას კლანის პარპაშით“**, რაზეც ჩარკვიანი თვალს ხუჭავდა... სწორედ ამას შეეწირა კანდიდ ჩარკვიანის კარიერაც და სტალინის ახალი ფავორიტი კი, **„მექრთამეობის ამოძირკვის“** მისიით აღზევდა, თუმცა სტალინის სიკვდილის შემდეგ, აკაკი მგელაძეც სიკვდილს თვითონ ბერიას დახვრეტამ გადაარჩინა. ეს ყველაფერი ფართოდ არის გადმოცემული მათ მემუარებში, თანაც ურთიერთბრალდებებით უხვად შემკული...

ჩერქეზიშვილის შემდეგ **„არასახელმწიფოებრივი სოციალიზმის“** იდეა – თეორია კარლ რენერმა გააგრძელა და განავითარა. მან მეორენაირად **„ეროვნული**

სოციალიზმის“ სახელდებაც მიიღო და თეორიულთან ერთად, პრაქტიკულადაც ფართო ასპარეზი ჰპოვა, განსაკუთრებით ომისშემდგომი პერიოდის ევროპის სოციალ-დემოკრატიულ და სოციალისტურ პარტიებში: იტალია, საფრანგეთი, გერმანია, დანია, შვეცია, ავსტრია, ნორვეგია, მერე კი, ახლადდაფუძნებულ ისრაელში... იგი სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროგრამაც გახდა...

ამ პროცესებს რომ აკვირდებოდა სტალინი, მიხვდა: ომში კი გაიმარჯვა, მაგრამ ჩერქეზიშვილთან დისკუსიაში კი, დამარცხდა. ჩერქეზიშვილიც ხომ, იმას წინასწარმეტყველებდა, რომ სახელმწიფო სოციალიზმი ბოლოს ბიუროკრატიზმსა და მექრთამეობაში ჩაიხრჩობოდა...

ბ-ნი ვალერიანი იხსენებს: – სტალინი **„ანარქიზმის ლაშქრობას, მის სახელმწიფოს კვდომის და მისი თვითმართველურ ასოციაციებად გარდაქმნას“** უტოპიას და დონ-კიხოტობას უწოდებდა: – ჩვენთანაც 20-იან წლებში მთელ რუსეთში დარბოდნენ ანარქისტული დროშებით და „ჩასტუშკებით“, ტროცკი და ტროცკისტებიც აქეზებდნენ და იყენებდნენ მათ ჩვენს წინააღმდეგ სახელმწიფოს დასამხობად, მაგრამ ცხვირში ძმარი ვადინეთ ყველას...

– ისე, ჩერქეზიშვილი ჭკვიანი კაცი იყო, სახელმწიფო სოციალიზმის ნაკლს კარგად ხედავდა... მეც ვხედავ ამას და შანთით ამოვწვავ და ამოვკვეთავ მექრთამეობას, რომელმაც ცეკაში დ პოლიტბიუროშიც კი გაიდგა ფესვი...

– მგელაძე რათ მინდა, მე თვითონ ვხედავ ყველაფერს – შვილებს და შვილიშვილებს უშენებენ სრა-სასახლეებს და უზრუნველ ცხოვრებას სამომავლოდ... რვა შვილიშვილი მყავს, რა, არ შემიძლია იგივე გავაკეთო, გული მიკვდება იაშას და მის შვილებს რომ ვიხსენებ – რა, მათ არ ეკუთვნით?...

– XIX ყრილობას ვამზადებ და იქ ყველას და ყველაფერს თავის ადგილს მივუჩენ... აი, როცა სახელმწიფო აღარ იქნება, მაშინ ანარქისტებმა იფიქრონ, როგორ მოუარონ ხალხსაც, ქვეყანასაც და მათ პრობლემებსაც...

„გაბურჟუებული ბოლშევიკები“ – ასე მონათლა სტალინმა ლიკანში საბჭოთა იმპერიის ეს უკურნებელი სენი და ზუსტად წელიწადნახევარში ამან სასიკვდილო დარტყმა მიყენა მას და მერე მთელ მის საბჭოთა იმპერიასაც...

ილია და რუსეთი:

„რუსეთი ერთი ისეთი სახელმწიფოა“...

„რაშა თუ დეის“ დემაგოგია იქამდე მივიდა, რომ ილია რუსოფილად გამოიყვანა – მარადიულად რუსეთთან ყოფნის მოსურნედ...

არადა, მარკიზ დე კიუსტინი მოგონებაა იმასთან, რაც ილიამ „მგზავრის წერილებში“ რუსი „იამშჩიკისა“ და „რუსი აფიცრის“ სარკასტული სახე

დაგვიხატა და როგორც იტყვიან, ამით რუსეთის იმპერიაც „აბურთავა“... ახლა მოდით-და, „ივერიის“ პუბლიცისტიკა ვნახოთ:

1881 წელი. „ივერია“. მარტის თვის ნომერი (მაშინ „ივერია“ ყოველთვიური ჟურნალის ფორმით გამოდიოდა). „შინაური მიმოხილვის“ სტატია რუსეთზე:

„რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, სადაც სხვადასხვა ტომისა და ერის ერნი სცხოვრობენ და მერე ისე, რომ თავიანთ მამა-პაპეულ მიწა-წყალზედ შეჯგუფებულნი არიან და არა შიგადაშიგ გაფანტულნი. ამიტომაც ერთს უდიდესს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ის, რომ როგორ უნდა მოთავსდნენ ისინი სახელმწიფოსთან... ყველა თვალხილული კაცისთვის მოსალოდნელია, რომ დღესა, თუ ხვალე ეს ფრიად რთული და მძიმე საგანი მთელის თავისის სიგრძით და სიგანით წინ აეყუდება რუსეთს“.

ცხადზე ცხადია, თუ საით მიჰყავს ანალიზი ილიას ამ **„ფრიად რთული და მძიმე საგნის წინ აყუდებით“:** „ეზოპეს ენით“ იგი რუსეთის მიერ ძალით შეკოწიწებული იმპერიის დაშლა-დაცემას წინასწარმეტყველებს...

არადა, ესეც პარადოქსია: სწორედ იმავე ხანებში რუსეთს იგივე უწინასწარმეტყველა თვით „მარქსიზმის კლასიკოსმა“ ენგელსმაც: **„რუსეთი მფლობელია უზარმაზარი ნაქურდალი საკუთრებისა, რომლის უკან დაბრუნება მოუწევს მას განკითხვის ჟამს“...**

ჩვენი კეთილი რჩევაა „რაშა თუ დეის“ მიმართ: ჩვენ ჯანდაბას – ნუ დაგვიჯერებს, მაგრამ ენგელსს მაინც დაუჯეროს...

ილია – „მსოფლიო პრეზიდენტად გამოდგებოდა“: ეროვნულიდან გლობალურისკენ...

ესეც კარგი თქმაა ჩვენს ფოლკლორში დამკვიდრებული – შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო: ილიას პოლიტიკურ მემკვიდრეობაში (რომელიც დღემდე ბოლომდე არაა შესწავლილი), ეროვნულთან ერთად, ზოგად-კაცობრიულ ტკივილებზეც ბევრს შეხვდება კაცი. ამ მხრივ „ივერიის“ საპროგრამო წერილების მისი ციკლი – „საპოლიტიკო მიმოხილვა“ რომ დამუშავდეს, მაშინვე დავრწმუნდებით ამაში. აქედან გაჩნდა არტურ ლაისტის „მსოფლიო პრეზიდენტობის“ შეფასებაც, სტალინმაც რომ გაიმეორა მერე ლიკანში...

„რაშა თუ დეიმ“ და „ეხო კავკაზამ“ ხომ ერთდროულად ილია ჯერ ფაშისტად – სომეხთა გენოციდის წამქეზებლად გამოიყვანა, მერე ეს დაავიწყდათ და ახლა, იმპერიის ამ საიუბილეო 300 წლისთავზე, ის „რუსოფილად“

გამოგვიცხადა... ეხლა მოდით-და ვნახოთ, რა იყო სინამდვილეში „ჩვენი თავის ჩვენად ყუდნების“ ავტორი...

ამ ნახსენები „საპოლიტიკო მიმოხილვიდან“ ამჯერად შევჩერდეთ ილიას სტატიებზე – „მეცხრამეტე საუკუნე“, „ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი“, „ებრაელთა საკითხზედ“, „ომის საფრთხის წინ“, „ოსმალეთის სომეხთა გაწირვა“..., ყველგან აქ ეპოქის მტკივნეული პრობლემებია გაანალიზებული...

მაგრამ ჯერ მათ საყვარელ თემაზე – **„მცირე იმპერიის“** მორიგ ანტიქართულ თემაზე შევჩერდეთ:

„ჰიბრიდული ომის“ მესვეურთა საპასუხოდ: „იმპერია“ მთლად სალანძღავი სიტყვა არაა...

„მცირე იმპერია“ ქართველოფობთა საყვარელი თემა გახდა დღეს: – აი, უყურეთ, ქართველებს რომ ვითომ თავი მოაქვთ დიდი ტოლერანტობით, მათმა სათაყვანებელმა მეფე დავით აღმაშენებელმა კავკასიაში „მცირე იმპერია“ შექმნა კავკასიელ ხალხთა დასამონებლად შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე...

მარტო ჩვენი „მხილება“ რა თქმა უნდა არ კმარა და „ეხო კავკაზამ“ ახლა რუსეთის დამსახურებაც ხომ, უნდა უჩვენოს კავკასიელებს – აი, ქართველთა ამ მონობა-მძლავრობისაგან რუსეთმა გიხსნათ (რა თქმა უნდა ამ მიზნით დაარსა მათმა იმპერიამ **„ვლადიკავკაზიც“!)...**

ეხლა გვინდა ცოტა ლინგვისტიკურ-ისტორიული ექსკურსია ჩავუტაროთ ამ „მცირე იმპერიის“ ქართველოფობებს და იმათაც, ვისაც ამ ლათაიების სჯერა:

დიახ, თქვენდა გასაკვირად ვიტყვით, რომ **„იმპერია“** მთლად საგინებელი სიტყვა არაა. თქვენგან – **„ბოროტების იმპერიისაგან“** განსხვავებით, ბევრმა იმპერიამ პოზიტიური როლიც ითამაშა მსოფლიო ისტორიაში, თუნდაც რომის იმპერიამ და მისმა სამართალმა, ევროპას და ევროპულ სამართალს რომ დაუდო საფუძველი. ასევე ეს „მცირე იმპერიაც“ დღეს გლობალიზმის მისაბაძ მაგალითად შეიძლება გამოდგეს, იმ აზრით და გააზრებით, რომ ის, რაც დავით აღმაშენებელმა მაშინ კავკასიაში კავკასიელ ხალხთა ერთობით შესძლო, ეს შეიძლება ახლო, თუ შორეულ მომავალში მთელ მსოფლიოშიც განხორციელდეს: – გლობალიზმიც ხომ, სწორედ აქეთკენ მიისწრაფვის **„დავითის გზისკენ“**...

ჩვენ ამ თქვენს „მცირე იმპერიაზე“ გვინდა „გაგანათლოთ“, თუ ამის სურვილი გაქვთ, თუ არადა, იმათ გასაგონად, ვინც თქვენს ანტიქართულ გამოხდომებს ყოველდღე უსმენს:

დიახ, დავით აღმაშენებელმა და მისმა მემკვიდრეებმა შექმნეს ჩვენთვის საამაყო, ეგ თქვენგან ამოჩემებული „მცირე იმპერია“, რომლის დახასიათებასაც

ასე ხატოვნად და რაც მთავარია, მართლად გადმოგვცემს ილია უტყუარი ისტორიული წყაროებით, მათ შორის უცხოური – სომხურით და არაბულით...

სტატიაში – „დავით აღმაშენებელი“ ილია წერს:

„... დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ თავის დიდბუნებოვან კაცობითაც. იგი, თავდადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და მართლმადიდებელის სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისა და სარწმუნოებისაც. ამისთანა შემწყნარებელი სხვისა..., იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არა ჰზოგავდა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან!“

დიახაც, რომ საკვირველი და საოცარი მაგალითი არის და ილია ამის დასამტკიცებლად უცხოელ ავტორებსაც იმოწმებს:

„სომეხი მათე ედესელი ამბობს:

„დავით იყო წმინდა კეთილმსახური, სავსე ქველმოქმედებით და მართლმსაჯული. დავითის გარშემო იკრიბებოდა დანარჩენი სომეხთა ნათესავნი, რომელთათვის მან დააფუძნა საქართველოში ქალაქი გორი, სადაც მრავალი ეკლესია და მონასტერი ააშენა. მიაგო ჩვენს ნათესავთ ყოველგვარი ნუგეშის ცემა და შვება“.

ვარდან დიდი სწერს:

„დავითს არავითარი სიძულვილი არა ჰქონდა სომხურის წირვა-ლოცვისა და ეკლესიისა. იგი ხშირად იდრეკდა თავს ჩვენს ხელქვეშ და ითხოვდა ჩვენს ლოცვა-კურთხევას“.

ეხლა ილიას ქრისტიანი ავტორების გარდა, მოჰყავს მაჰმადიანი მოღვაწის ალ–აინის არანაკლები აღფრთოვანებული სიტყვები დავით მეფის მისამართით:

„მაჰმადიანი მწერალი ალ–აინი აი, რასა სწერს:

„დავითი თავის შვილის დემეტრეთურთ ყოველდღე დადიოდა მეჩეთში, ისმენდა სამეფო ლოცვას და თვით ყურანის კითხვას... მან ააშენა ტფილისში უცხო ტომთა პოეტთათვის ქარვასლები, რომელთაც ულუფას უნიშნავდა... დავითი უფრო მეტ პატივს – სცემდა მუსლიმებს, ვიდრე მთავარნი მუსლიმანთა“.

ეხლა ვეკითხებით „ჰიბრიდული ომის“ გამყალბებელ ქართველოფობებს – სადაა აქ **„დამონება“,** თუ თქვენ თვითონ მონები არა ხართ „ჰიბრიდული ომის“ იმპერიული პოლიტიკისა...

„ქვათა ღაღადის“ ბაბიცკისეული სიყალბე
და სინამდვილე...

„მცირე იმპერიის“ შემდეგ, ახლა „ქვათა ღაღადს“ მივუბრუნდეთ, ილიას ბაბიცკისეულ „მხილებას“ სომხების გენოციდის წაქეზებაში: მიზანი აქაც ცხადზე ცხადია – ორი მეზობელი ხალხების გადამტერება...

თავიდანვე უნდა ითქვას ილიასეული კრიტიკის ერთი თავისებურება: ის უცბად წვდება პრობლემის არსს და მკითხველს მიანიშნებს, თუ სინამდვილეში რასთან გვაქვს საქმე. ამ შემთხვევაშიც ილია ასე სვავს საკითხს:

XIX საუკუნემდე ჩვენში არ არსებობდა სომეხით ქართველის ძულება და ქართველით სომეხის ძულებაო და ამით მიანიშნებს მკითხველს, რომ ეს „ძულება“ ამ ორი ერის ცხოვრებაში ამ ახალმა იმპერიამ დათესა და გააღვივა...

ხოლო პირველსავე გვერდებზე ამ ზოგად-კაცობრიულ პრობლემაზეც ამახვილებს მკითხველის ყურადღებას:

„ერი, როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა, ყოველი პატიოსანისა და ჭკუათმყოფელი ადამიანისაგან უნდა პატივცემული იყოს. მისი ასე თუ ისე გაუპატიურება, ავადხსენება – დიდად სათაკილო საქმეა... და იმისთანა სიბრიყვეა, რომელიც გონებაგახსნილს ადამიანს არ ეპატიება, არ შეენდობა. ეს ჩვენ კარგად ვიცით და ღმერთმა გვაშოროს იქ მთელი ერი ვიგულისხმოთ, სადაც მარტო ერთგვარი გუნდია ცოდვილი“.

სადაა აქ სომეხი ერის გინება და მითუმეტეს, გენოციდისკენ მოწოდება, თუ **„ლუარსაბის ლოგიკით“** არა ხართ დაავადებულნი ყველა ერთიანად...

მთელი ამ 100–გვერდიანი ილიას პოლემიკური მემკვიდრეობის შედეგრი სწორედ ამ „ერთგვარი გუნდის“ მხილებას ეძღვნება და არა სომეხი ერის ღირსების შელახვას, მის **„გაუპატიურებას და ავად ხსენებას“**. ეს ვერ გაუგია, უფრო სწორედ კი, არ უნდა გაიგოს ბაბიცკიმ და მისთანებმა, რომლებიც თვითონაც ილიას „ამ ერთგვარი გუნდის“ წევრები არიან დღეს:

„რუს და სომეხ ცრუ-მეცნიერთა ერთგვარი გუნდი“ – აი, როგორ აკონკრეტებს ორ ათეულზე მეტი მაშინდელი ანტიქართველი მოღვაწეებით ამ „გუნდს“ ილია!... დღევანდელი „ჰიბრიდული ომის“ წინააღმდეგ ჩვენი ბრძოლაც ზოგადიდან ასეთ კონკრეტულ გვარებსა და პიროვნებებზე უნდა დავიყვანოთ მათი ანტიქართული ბუნების მხილებაზე, პუტინი იქნება ეს, ლავროვი თუ ბაბიცკი... მოვუსმინოთ კვლავ ილიას:

„ვის მოუვა ფიქრად, რომ ბოროტის მხილებას კრიჭა შეუკრას ვისიმე წყენის შიშით, თუ არა დოყლაპია ლიბერალსა... ჭეშმარიტი ლიბერალობა ის არის, რომ ჭეშმარიტება არავის წააწყმედინო, არავის გააქელვინო...

მთელ ქართველ ერს თავლაფს ასხამენ და საფლავს უთხრიან... და ხმა არ ამოვიღოთ?!... თქვენი წკიპურტიც გვწყინს და ჩვენს პანღურს კი ნუ იწყენთო. რა ნაბიჭვრები ჩვენა ვართ ამ წუთისოფლისა, რომ ამას გვეუბნებიან, ამით გვითათბირებენ... გული იმოდენად კიდევ შეგვრჩენია, იმოდენად კიდევ გვერჩის, რომ ჩვენს ვინაობას ვუპატრონოთ და ქართველობის სახელი სალანძღავ-სათრევად არ დავანებოთ არავის“. – კარგი იქნება აქაც უსმინოთ ილიას, მის ანდერძს და შეგონებებს...

აქ ბაბიცკებს და მათ ამყოლებს ესეც გვინდა შევახსენოთ: „ქვათა ღაღადის“ გარდა ილიას პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში არის ერთი მეტად მნიშვნელოვანი სტატია იგივე თემაზე: **„ოსმალეთის სომეხთა გაწირვა“** – წაიკითხონ ის და ნახავენ ვინ არიან ამ ე.წ. „სომეხთა გენოციდის“ ნამდვილი დამნაშავენი. საქმე რომ გაუადვილოთ, მოვიყვანთ რამოდენიმე ამონარიდს 1895 წლის 19 დეკემბრის „ივერიიდან“:

„ყველა იძახის, რომ სომეხთა საქმე მიწყნარდა. ... ცალკე ხომ ამას იძახიან, ცალკე ისიც ისმის, რომ სომხებს მაინც სდევნიან და ჟლეტენ. დღე არ გავა, რომ დეპეშა არ მოვიდეს, აი, აქ, თუ იქ ამდენი სომეხი დააწიოკეს, აიკლეს, ამდენი ამოხოცეს... არც მეორე მხარე რჩება უამისოდ, რომ სომეხთაც არ შესწამოს ამასთანავე მოქმედება წინააღმდეგ ოსმალთა...“

ილია რის ილიაა, რომ მოვლენათა ნამდვილი მიზეზები სიღრმისეულად არ იკვლიოს და არ გაამზეუროს:

„ჩვენ სრულებით არა გვწამს, რომ რომელიმე სახელმწიფო აქ მარტო სომხების ბედის გასწორებას ეტანებოდეს და მარტო ამისთვის იღწვოდეს... ჩვენის ფიქრით, ასეთის ბუკითა და ნაღარით ატეხილი სომეხთა საქმე თვითეულის ცალკე სახელმწიფოს ხარბის სურვილისაა – მე ჩემი ვირგუნოო... ყველას თავისი ანგარიში აქვს და სომეხთა საქმე მარტო მიზეზია დავთრების არევ-დარევისა“.

და აი, კიდევ უფრო სიღრმისეული ანალიზი ოსმალეთის იმპერიაში დატრიალებული სომეხთა ტრაგედიისა:

„განა აქედან აშკარად არა სჩანს, რომ სახელმწიფოებს სომეხთა საქმე ისე არ ამძიმებთ, როგორც სხვა რაღაცა გულში დამალული?... ეს მაშინ, როდესაც სისხლი ადამიანისა ორ–ტოტად იღვრება და ამას შველა უნდა“...

ცენზურის გამო, ილია აქ რუსეთს არ ასახელებს კონკრეტულად, მაგრამ ცხადია, მრავლობითში ნათქვამი – **„სახელმწიფოები“** რუსეთსაც გულისხმობს... ეს აშკარად გამოჩნდა I მსოფლიო ომის დროს: 1915–16 წლებში, როცა ანატოლიაში რუსეთის არმიები შეიჭრნენ, იქაური სომხები შეიარაღეს და **„მეხუთე კოლონად“** გაიხადეს ანატოლიის დაპყრობისათვის ბრძოლაში...

მაგრამ როგორც იტყვიან, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ – ანატოლია კი არა, იმპერია გაუხდათ გადასარჩენი, რუსეთის ჯარიც გამოვიდა ანატოლიიდან და უპატრონოდ მიატოვეს გუშინდელი „ერთმორწმუნე“ მოკავშირენი...

აქაც ახდა ილიას ოცი წლის წინანდელი წინასწარმეტყველება – საშინელი ტრაგედია „ოსმალოს სომხების“ და ახლა უფრო გაცილებით მეტი „ორ-ტოტა სისხლი“ დაიღვარა სომეხი ერისა, ვიდრე მაშინ... ილიას ჰუმანიზმი აქაც ნათლად და გამოკვეთილად ჩანს – მართლაც რომ „მსოფლიოს პრეზიდენტად გამოდგებოდა...

ილიასი არ იყოს, „ლიბერალობა“ ის კი არაა გაუჩუმდე შენი მისამართით წამოსულ ლანძღვა-გინებას და სიცრუეს, „ჭეშმარიტი ლიბერალობა“ და მამულიშვილობაც სწორედ ამის მხილება და სააშკარაოზე გამოტანაა...

„ქვათა ღაღადიც“ სწორედ ამის ნიმუშია ჩვენთვისაც და ჩვენი მეზობელი და მეგობარი ერისთვისაც. ოღონდ, კარგი წაკითხვა უნდა ამას...

კვლავ საუბრები ლიკანში:

საბჭოთა იმპერიის დასასრულის დასაწყისი...

ლიკანში სტალინთან შეხვედრების ყველა მონაწილე ერთხმად იხსენებს – აქ იგი განსაკუთრებით გულახდილი იყო. **„სხვა სტალინი“** – ასეთია საერთო აზრი... კანდიდ ჩარკვიანი მემუარებში – **„განცდილი და ნააზრევი“,** მთელ თავს უძღვნის, ხოლო აკაკი მგელაძის მონოგრაფიის ნახევარი ამას ეძღვნება...

ვალერიან დათუკიშვილი, თსუ მაშინდელი პარტკომი, იმასაც აღნიშნავს, რომ ხანდისხან ვფიქრობდი – ეს კაცი ხომ არ მცდის, აქედან ციმბირში არ ამოვყო თავიო... განსაკუთრებით „პეტრეს ციხესთან“ გასეირნებისას ხდებოდა ასე, სტალინმა იქ გამოთქვა სწორედ საბჭოთა კავშირის დაშლის წინასწარმეტყველება:

– დაიმახსოვრე, შენ ახალგაზრდა კაცი ხარ, მოესწრები: ჩემს შემდეგ საბჭოთა კავშირი დაიშლება და მეც ისევ **„ჯუღაშვილი“** გავხდები...

– ეს ჩემი „დიდი რუსი ხალხი“ საფლავიდან ამომიღებს და გადამაგდებს... ჩემს სახელს თუ ვინმე შეინახავს, ეს ქართველი ხალხია, რომელსაც სამწუხაროდ, მე ბევრი ვერაფერი გავუკეთე...

– ჩემს შემდეგ გაფრთხილდით, ქართველოფობობა იმძლავრებს – არ მაპატიებენ ქართველობას და ქართულ აქცენტს, წინასწარ ვგრძნობ ამას, მე წინათგრძნობა არასოდეს მღალატობს – კარგად დაიმახსოვრე...

ბატონი ვალერიანი ხშირად გვესწრებოდა „თსუ ილიალოგთა კლუბის“ სხდომებზე და აი, ერთხელ სახეგაბრწყინვებული შემოდის ჩვენთან, თან გაზეთ „პრავდას“ მოაფრიალებს:

– აი, რომ არ გჯერათ, გენიოსი რომ იყო სტალინი, – თან გაზეთის იმ გვერდს გვიჩვენებს, სადაც სტალინის საგინებელ სტატიაში გვარი **„დჟუგაშვილი“** საგანგებოდ ჰქონდა გახაზული... მერე, როცა რუსეთმა ათასი უბედურება, ომი და სისხლისღვრა დაგვატეხა თავს, ხშირად ხალხში წარმოშობილ ამ ფოლკლორსაც იშველიებდა თავის არგუმენტად:

რამ დაგაბრმავათ ქართველნო,
რამ დაგიყრუათ ყურები,
რომ ყოფილიყო სტალინი,
ამას გვიზამდა რუსეთი?!...
გამოახილეთ თვალები,
გამაიფხიკეთ ყურები...

– ჩტობ „კაცო“ ბოლშე ნე ბილო ზდეს!“...

ეს სუსლოვის „ფრთიანი“ ფრაზაა, სტალინისა და ბერიას შემდეგ რომ დამკვიდრდა კრემლში... მან და ხრუშჩოვმა დაუდეს სათავე დიდ შეთქმულებას, რაც თვით ქართველების ციმბირში გასახლებასაც ისახავდა მიზნად, ზოგიერთს დაუჯერებელი რამ და ფანტაზია რომ ჰგონია დღეს... ეს იდეა განსაკუთრებით მომძლავრდა 9 მარტის **„ანტისაბჭოთა და ანტირუსული აჯანყების“** შემდეგ, როგორც თვითონ უწოდებდნენ მას...

ხრუშჩოვის შემდეგ აფხაზური და ოსური სეპარატიზმის გაღვივებაც სუსლოვს უკავშირდება – მასთან იკრიბებოდნენ ამ სეპარატიზმის ლიდერები მოსკოვში... ამით მომზადდა სწორედ, ჯერ 90-იანი წლების სეპარატისტული გამოსვლები, მერე კი, 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს დიდი ომიც. მინდა პოეზიითაც გამოვეხმაურო ამ ომს 2009 წლის ჩემი პოეტური კრებულიდან – **„ფიქრები ღმერთსა და ადამიანზე, დედამიწასა და საქართველოზე“**:

მგელი და კრავი...

სწორედ რომ კაცს
მგელი და კრავი
გაახსენდება,
როცა უსმენს
„ქართული აგრესიის“
პუტინის არაკს:
წყალი თურმე

ჩვენ ავუმღვრიეთ
საწყალ რუსეთს...
ჩვენ ვამცრობთ,
ვეომებით თურმე
ამხელა რუსეთს...
მეტი ცინიზმი გაგონილა
პუტინების და ლავროვებისა?!...

ა მ ბ ო ბ ე ნ ...

ამბობენ, –
პუტინი სტალინს ბაძავს,
სურს სტალინის რუსეთი
დიდად აქციოს კვლავაც,
აქეთ-იქით რომ
შიშის ზარს დასცემს
ყველა ქვეყანას...

კაცმა რომ თქვას,
რა გასაკვირია
მისი ეს ბაძი,
„ბაძი“ ხომ რუსეთის
თანამგზავრია:

– რიურიკები და ვარიაგები,
მერე „ოქროს ურდო“, –
მონღოლთა ყაენები,
ყაზანი – ასტრახანი,
მოხეტიალე „ალაჩუხები“,
და მოხეტიალე „ბასკაკები“...
მერე ეს ბიზანტიური
ორთავიანი არწივი...
აქეთ საჩვენოში კი, –
ფრანგულ-რუსული რომანტიზმი
და გერმანულ-რუსული მარქსიზმი...

ჰოდა, რა გასაკვირია
პუტინის ბაძი,
ოდითგან რუსეთი
ბაძის დიდოსტატია...

ტურიზმი ტანკებით...

დღეს მსოფლიოში ტურიზმის ბუმია,
მთელმა მსოფლიომ ფეხი აიდგა...
ცა ქუდად არ მიგვაჩნია
და დედამიწა ქალამნად...
სად არ დავდივართ,
რით არ დავდივართ, –
თვითმფრინავებით,
მანქანებით,
ველოსიპედებით...
თქვენ წარმოიდგინეთ, –
როგორც ადამ და ევას დროს,
ტურისტად ფეხითაც დავდივართ...

გაგიჟდა რუსი, მთლად გადაირია,
– რაღა დროს ევა და ადამია,
ან, ფეხით აქეთ – იქით ტანტალია...
ჩვენ საზღვარგარეთ
ტანკებით დავდივართ...

ისტორიასაც უყვარს იუმორი...

ისტორიასაც უყვარს იუმორი და შვენის კიდეც... რუსეთის იმპერიასაც ასეთი ბევრი უნახავს, ამასთან მისთვის შესაფერიც. ვთქვათ, ეკატერინე „დიდმა“ ერთ-ერთი გასეირნებისას მინდორში რომ ლამაზი ყვავილი ნახა, მისმა მაშინდელმა ფავორიტმა პოტიომკინმა ბრძანება გასცა პატრული გაემწესებინათ ამ ყვავილის დასაცავად... გავიდა საუკუნე და აქ პატრულს ერთგულად ამწესებდნენ ისევ, ოღონდ არ იცოდნენ რატომ და რისთვის?!...

ანდა, ნიკოლოზ პირველს მოსკოვი-პეტერბურგის რკინიგზის პროექტი რომ შეუტანეს, თან სახაზავიც დაუდეს ამ ორ ქალაქს შორის, რომ პირადად მას გაევლო პროექტზე ხაზი. ხაზი კი, გაავლო, მაგრამ სახაზავს თითი კარგად ვერ დაადო და ხაზიც შესაბამისად გამრუდდა – რკალის ფორმა მიიღო ამ თითის გამო... ეს რკინიგზაც ამ დეფექტით აშენდა?!...

ეს რომანოვებთან, ახლა საბჭოეთის ჟამსაც რამდენიც გინდათ. მათგან უმრავლესობა სტალინის იუმორს და ცინიზმს უკავშირდება: როცა ლენინს შიზოფრენია მოეძალა, ის მოსკოვთან სოფელ გორკაში იზოლაციაში მოაქციეს. ერთხელაც სტალინმა რომ მოინახულა, სწორედ მაშინ გაუმძლავრდა დეპრესია, ღობეზე შეხტა და მის საპატივსაცემად, მამალივით დაიწყო ყიყლიყოს ძახილი, სტალინმა კი, დაცვა სასტიკად გააფრთხილა:

– ჩააგონეთ ამ სულელს, რომ მამალი კი არა, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადია...

ცნობილია, რომ ჩერჩილსაც უყვარდა იუმორი და სტალინთან ერთ-ერთ სატელეფონო საუბარს ასე გადმოგვცემენ: სტალინი მუდმივად პასუხობს მას „არა“-ს, ბოლოს კი უპასუხა – „დიახ“!... და ყურმილი დადო... როცა შეეკითხნენ – ეს „დიახ“, რასთან დაკავშირებით უთხრა, უპასუხა: შემეკითხა, კარგად თუ ისმის ჩემი ხმაო...

თეირანის 1943 წლის შეხვედრაზეც ბევრ იუმორს იხსენებს ჩერჩილის დაცვის წევრი მერაბ კვიტაშვილი: „როდესაც სტალინთან შეხვედრის შემდეგ ჩერჩილი ჩვენს ოთახში გამოვიდა, მე მას სტალინის დაცვის წევრი წერეთელი წარვუდგინე და ვუთხარი, რომ ისიც ქართველი იყო – ჩერჩილმა გაიღიმა და გვითხრა: ჩანს, ჩვენ აქ **ქართველებით ვართ გარშემორტყმულნი,** ჰარი ჰოპკინსმა, რომელიც იქვე იდგა, გაიცინა და თქვა: ქართველები (ანუ, ჯორჯიელები) **ამერიკაშიც არიანო.** ის რასაკვირველია, ჯორჯიის შტატს გულისხმობდა...

... სწორედ მაშინ ჩერჩილმა გაიხსენა ჩემი „მემორანდუმი“, I მსოფლიო ომის დროინდელი: **„მაშ თქვენ ძველი სამეფოს აღდგენა გსურთ? ის არ გეყოფათ ქართველებს, რომ ქართველი მთელი რუსეთის იმპერიას განაგებს?!...**

... სუფრაზე ბევრი სადღეგრძელო დაილია. ერთ-ერთი მათგანის დროს ჩერჩილმა თქვა, რომ სტალინი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი პიროვნებათაგანია, რომ იგი სავსებით იმსახურებს **„დიადი სტალინის“** სახელს. სტალინმა უპასუხა, რომ „დიადის სახელი“ მას კი არა, რუს ხალხს ერგება, რომ **ამ ხალხის მართვა ძნელი არაა“...**

თუ რა იგულისხმა სტალინმა ამ ბოლო სიტყვებში, რომელსაც იგი ხშირად იმეორებდა ომისშემდგომ საჯარო გამოსვლებშიც, 1951 წელს ლიკანში კარგად ახსნა თავისი სიცოცხლის დაისის ჟამს, მაგრამ ახლა უკვე სტალინური ცინიზმით უხვად შემკული თავისი მომავალი ბედის მიმართ...

ეს იუმორიც სტალინს ეკუთვნის, თეირანში მასთან მისულ შაჰის აუდენციის დროს დაცვას ქართულად რომ ჩაულაპარაკა – ნეტავ, ეხლა სააკაძე წამოაყენა და დაანახვა როგორ მოფოფხავს შაჰი ჩემი ჩექმებისკენ...

ერთი იუმორიც სტალინთან დაკავშირებით: გრიგოლ რობაქიძე მას – **„გაქვავებული პრეისტორიული ხვლიკის თავს“** ადარებს... მაგრამ ესეცაა, ამ „ხვლიკის თავმა“ ჰიტლერიც გადაყლაპა და საყოველთაო აღიარებით, II მსოფლიო ომში ყველაზე დიდი სტრატეგიც გახდა. ჰენრი კისინჯერი მონოგრაფიაში – „დიპლომატია“, ამას სპეციალურ თავს უთმობს („სტალინური ბაზარი“)...

„ათასი წელი, ვითარცა დღეი ერთი“:
„საერთო ნიადაგის“ თეორიის ისტორიული ფესვები...

„დრო-ჟამი“ ჩვენი ენის, „ქართული ცხოვრების“ და ქართული პოეზიის საყვარელი თემაა. რამდენს გვეუბნება თუნდაც, პოემის დასასრულის ეს ფილოსოფიური გააზრება და შეძახილი რუსთაველისა:

„გარდახდეს, განვლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე ჟამისა!
ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა“...

აქ უპრიანია „მრავალჟამიერი“ გავიხსენოთ კვლავ, ანდა, ეს საოცარი პოეტური წვდომაც – **„ცხოვრება იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა, თუ ფუჭი მისი სიცოცხლე არარას არგებს მამულსა“...**

ქართველ მოღვაწეთაგან, თუ ვინმეზე ითქმის **„მამულის რგებით“** ჩვენი სახელის საკაცობრიო არენაზე გატანის თვალსაზრისით, ერთ-ერთი პირველი პეტრე იბერია (410–491). პალესტინაში მცხოვრები ყველა ჯიშის და რწმენის ხალხი პატივს სცემდა და ეთაყვანებოდა მას და როცა გარდაიცვალა, სამივე ბიოგრაფი ერთხმად აფიქსირებს – „სამი დღე და ღამე არ წყდებოდა ხალხის ნაკადი, რომ ხელით შეხებოდნენ წმინდანის სხეულს“... ის ხომ, ყველა ხალხს, მათ რელიგიას და კულტურას თანაბრად სცემდა პატივს პალესტინაში და მის ფარგლებს გარეთაც... ამიტომ აღიარა სამმა ეკლესიამ წმინდანად გარდაცვალებისთანავე, თვით რომის პაპიც რომ ქებით იხსენიებდა მას...

„მსოფლიო მეოხი და ქართველი ერის სიქადული“ – ასე შეაფასა მისი ღვაწლი იოანე პეტრიწმა. მაგრამ ქვეყნად ყოველ ჟამს არიან მოშურნენი, რამეთუ – **„შური არს მწუხარებაი სხვისა კეთილსა ზედა“** და რუსეთმაც სანამ ფიზიკურად დაგვიპყრობდა და დაგვიმონებდა, სულიერადაც გაგვაიარაღა: რას ჰქვია უკვე V საუკუნეში ქართველებს ასეთი დიდი წმინდანი ჰყავთო და „მონოფიზიტობის“ ყალბი ბრალდებით პეტრე იბერი „მწვალებლად“, მისი ხსენება კი, „უპატიებელ“ ცოდვად გამოგვიცხადა...

წიგნში – **„იბერიის როლი რუსეთის კულტურულ ცხოვრებაში“** ეპისკოპოსმა კირიონმა პირველ წყაროებზე დაყრდნობით ნათლად აჩვენა ეს გაუგონარი უსამართლობა, რაშიც რუსულ ეკლესიას სომხურიც მიეხმარა (ის კი „დაავიწყდათ“, რომ თუ მონოფიზიტი იყო, მაშინ სომხურ ეკლესიას როგორ გამორჩებოდა „მსოფლიო მეოხი“ თვითონ აეყვანა წმინდანის რანგში?!).

მერე, როცა ეპისკოპოსი კირიონი, ავტოკეფალია აღდგენილი ქართული ეკლესიის პირველი პატრიარქი გახდა, 1918 წლის 27 ივნისს სიცოცხლეს გამოასალმეს, თანაც ვითომცდა „თავი მოიკლა“ მარტყოფში სალოცავად წასულმა?!... მოტივი ამ მკვლელობისა ცხადზე ცხადია, მაგრამ რუსეთის შიშით, აქაც სრული სიჩუმე...

ჩვენთვის პეტრე იბერის მემკვიდრეობა ორი ფაქტორით არის დღეს მნიშვნელოვანი: ჯერ კიდევ 1895 წელს გერმანელმა მეცნიერმა რიჩარდ რააბემ გამოთქვა აზრი, რომ ევროპული რენესანსის საფუძველი „ფსევდო–დიონისეს არეოპაგიტიკა“ კი არა, პეტრე იბერის ნეოპლატონური ფილოსოფიაა. მას შემდეგ ამაზე კიდევ 22 ჰიპოთეზა წარმოიშვა, მათ შორის ჰონიგმანი – ნუცუბიძის ერთობლივიც სათანადო არგუმენტაციით – ეს ყველაფერი წარსადგენია „იუნესკოში“: **„არეოპაგიტიკის“ ნაცვლად, „იბერიკა“ – ეს უნდა გახდეს ჩვენი მთავარი მოთხოვნა დღეს...**

მაგრამ ამჯერად ჩვენთვის მთავარია **„ერთიანი მსოფლიოს საერთო ნიადაგის“** ის დიდი პალესტინური იდეა, რომლითაც იგი ასაბუთებდა მსოფლიო ხალხთა ერთობას, ფაქტიურად, თანამედროვე გლობალიზმს...

ჩვენ ამ თემას ცალკე მონოგრაფიაც მიუძღვენით, საიდანაც მინდა ერთი პოეტური გააზრებაც შემოგთავაზოთ:

პეტრე იბერს

„არ დამივიწყოთ!“, –
ანდერძად გვითხარ
წუთისოფელთან
განშორების ჟამს
მეუდაბნოემ პალესტინიდან…

„მეოხი კაცთა
სჯულის ყოველთა“, –
ასეთად დარჩა
სახელი შენი...
მაგრამ დრო–ჟამმა
უღვთოდ წაშალა
შრომებიც შენი,
ეპისტოლენიც...
სხვას მიაწერეს,
სხვისი გახადეს,
უღვთოდ გაგძარცვეს...

„გონების განწმენდა“,
„მშვიდობისმყოფლობა“,
„ღვთის მოშიშობა“,
„კაცთა ერთობა“ და
„თანადგომა“
ადამის ძეთა...
გვიანდერძე ეს ხუთი მცნება

კაცობრიობის გადასარჩენად,
ბოროტებაზე გასამარჯვებლად...

და როს ვუყურებ
ნიაღვრებს სისხლის,
და სულზე ხორცის
ზეობას ირგვლივ,
სასოწარკვეთილს
კვლავ მახსენდები:

მხოლოდ შენ რჩები
ბოროტის ძლევის,
კაცთ ამაღლების
იმედი ჩემი,
ცით მოვლენილი
სვეტი ნათელი
პეტრე იბერი...

პეტრე იბერი და რუსთაველი:
ეროვნული და რელიგიური შემწყნარებლობის იდეები...

ცხრა იმპერია მაინც გამოვიცვალეთ, მაგრამ არავის არ უწარმოებია ასე ინტენსიურად **„განქართულების“** პროცესი, როგორც რუსეთს. ჯერ ხომ ავტოკეფალია წაგვართვა, მერე წესად აქცია ქართველების **„გამოზრდა“** რუსულ სასულიერო აკადემიებში: „ტყუილა ქრისტიანები“ ფიზიკურთან ერთად, სულიერადაც ლამობდნენ ქართველი ერის დაპყრობას და გადაშენებას. ივანე ჯავახიშვილი საგანგებოდ უსვავს ხაზს ამას...

პეტრე იბერი ხომ **„მწვალებლად“** გამოაცხადეს, ეხლა რუსთაველსაც მისდგნენ – ერეტიკოსი იყო, ქრისტიანობის მგმობელი და ქართველ სასულიერო პირებსაც იყენებდნენ, რომ ისიც „მწვალებლად“ გამოეცხადებინათ... სწორედ ამის საპირწონედ შექმნა ილიამ სპეციალური კომისია პოემის ტექსტის დასადგენად, ამით ჩაუყარა საფუძველი **„რუსთველოლოგიას“**:

„ჩვენ, ქართველებს სამართლიანად მოგვაქვს თავი მით, რომ ეგ დიდებული პოემა შექმნილია... ჩვენი ერის დიდებულობის დროსა, ჩვენის კაცისგან და ჩვენს ენაზედ... იგი სახელოვანი ნაშთია ჩვენის სულისა და გულის მოძრაობისა. მას დიდი და პატარა, სრა-სასახლე და ქოხი ერთნაირად შეჰხაროდა უწინ და შეჰხარის დღესაც როგორც დიდს რასმე საუნჯესა საშვილიშვილოდ საპატიოსა და ამ რვა საუკუნის განმავლობაში არ დაჭკნობილსა, არ გაბათილებულსა, არ დავიწყებულსა“.

ამავე სტატიაში („აკაკი წერეთელი“ და „ვეფხისტყაოსანი“), იგი ხაზს უსვავს, რომ პოემის გმირები რუსთაველმა წარმოგვიდგინა როგორც „ზოგად-კაცნი“ და ზოგად-კაცობრიული ღირებულებების მატარებელნი და არა როგორც „ქართლელი“, „იმერელი“, ან, „ზღვისპირელი“. პოემა სწორედ ამიტომაა მსოფლიო დონის ქმნილება, ზოგად-კაცობრიული მნიშვნელობის მატარებელი...

რაც შეეხება ამ **„რვა საუკუნეს“**, ილიასეული დათარიღება ეფუძნება იმას, რომ მთელი XII საუკუნე წარმოადგენს „ჩვენი ერის დიდებულობის დროს“ და ამ **„ოქროვან ხანას“** ასახავს პოემაც: პოემის დასაწყისში ხომ, რუსთაველი თამარის ქებით იწყებს **(„თამარს ვაქებდეთ მეფესა“...),** ხოლო დასასრულის სამი სტროფი **„ქართველთა ღმრთის დავითის“** მეფობას ეძღვნება (ზოგიერთი მკვლევარი რომ რატომღაც დავით სოსლანის ხოტბად მიიჩნევს, თითქოსდა „ქართველთა ღმერთი იყოს). მას **„მზეს“** ადარებს, **„აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად, ორგულთა მათით დამწველად, ერთგულთა გასახარებლად“...**

პეტრე იბერით იწყება ტოლერანტიზმის დიდი საკაცობრიო იდეები, გრძელდება მერე „ათონელთა სკოლით“ და ათონელ მამათა შემდეგ, რუსთაველით. რუსთაველი პეტრე იბერის პოეტური გამეორებაა... შეიძლება რუსთაველი დავით აღმაშენებელის ეპოქაში არ ცხოვრობდა, მაგრამ ცხადზე ცხადია, რომ იგი მისი და მისი შემდგომი ეპოქის შვილია. ეს პოემის ტექსტიდანაც აშკარად ჩანს **(„ყოვლთა სწორად წყალობასა, ვითა თოვლსა მოათოვდეს, ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდნენ, ავის მქნელნი დააშინეს...**), იდეალური სახელმწიფოს რუსთაველური გააზრებიდან. **„ქაჯეთის ციხის“** აღებაც ხომ, დიდგორის **„ძლევაი საკვირველის“** და თბილისის 400 წლიანი ტყეობიდან განთავისუფლების სიმბოლიკაა...

ილიას ეს **„რვა საუკუნე“** არ იქნა გათვალისწინებული საბჭოთა იმპერიის დროს, ისე როგორც სხვა ბევრი რამ მისი მემკვიდრეობიდან... სულ მალე შესრულდება 900 წელი დიდგორის ბრძოლიდან და თბილისის განთავისუფლებიდან და კარგი იქნება, თუ ამ თარიღებთან ერთად, აღინიშნება პოემის 900 წელიც. ეს მეტ ხიბლს შემატებს **„ჩვენი ერის დიდებულობის დროს“...**

პეტრე იბერი და „იბერიკა“:
„იუნესკოს“ მსოფლიო კულტურის საგანძურში...

გვინდა გამოვიდეთ ასეთი ინიციატივითაც: ვფიქრობთ, ეს დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენი ქვეყნის ცნობადობის ამაღლებას:

ყველა ფაქტიური მასალა არსებობს იმისათვის, რომ პეტრე იბერი და მისი მემკვიდრეობა წარდგენილი იქნას **„იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საგანძურში“**. ის კარგახანია იმსახურებს ამას, რომ არა რუსეთის იმპერიის

გაშმაგებული წინააღმდეგობისა, ასე ტრაგიკულად რომ შეეწირა კირიონ მეორე. ეჭვი არაა, რომ იგი ყოფილი რუსი ეგზარქოსის რუსულ-ქართული გარემოცვის ერთობლივი შეთქმულების მსხვერპლი გახდა, მაგრამ ვერავინ გაბედა ემხილათ მკვლელები და შემკვეთები მარტყოფის მკვლელობისა, **„მეორე წიწამურად“** რომ მოინათლა მაშინვე...

ესეცაა – იუნესკო ხომ თვითონ, თავისი ინიციატივით არ აღადგენს ისტორიულ სამართლიანობას. ცხადია, ამას ჩვენს გარდა არავინ გააკეთებს... ამიტომ გვაქვს წინადადება, რომ საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის და „საქართველოს მეცნიერთა საბჭოს“ ინიციატივით მომზადდეს სათანადო დოკუმენტაცია, რომელიც კულტურის სამინისტროს მეშვეობით და ხელშეწყობით წარედგინება იუნესკოს ხელმძღვანელობას.

დარწმუნებული ვართ, რომ ამას აუცილებლად ექნება პოზიტიური გამოხმაურება და შედეგი.

1907 წელი – „ჰააგის პეტიცია“:

ვარლამ ჩერქეზიშვილმა ევროპა და საქართველო გააერთიანა...

როდესაც ილია 1907 წლის პირველ ნახევარში, როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრი, პეტერბურგის სხდომებზე რუს ლიბერალებთან და „კადეტთა“ პარტიასთან ერთად („კონსტიტუციური დემოკრატები“), მის მიერვე მომზადებული სიკვდილით დასჯის აკრძალვის კანონპროექტის კანონად ქცევას ცდილობდა, ვარლამ ჩერქეზიშვილი თავის ევროპელ მეგობრებთან ერთად საქართველოში მოგზაურობდა ჰააგის საერთაშორისო სამართლის კონფერენციისთვის **„საქართველოს პეტიციის“** წარსადგენად. ასე გაინაწილეს ფუნქციები ორმა დიდმა ქართველმა მოღვაწემ და მოაზროვნემ საქართველოს და ქართველი ერის საშველად...

ილია ამ კონფერენციას ვეღარ მოესწრო – პეტერბურგიდან დაბრუნებულს, წიწამურთან ქართველმა მარქსისტმა – ინტერნაციონალისტებმა მოუსწრაფეს სიცოცხლე... ჰააგის კონფერენციაზე კი, პირველად გაჟღერდა პროტესტი არამარტო „საქართველოს რუსეთთან ნებაყოფილობითი შეერთების“ ცრუ თეზისის მიმართ, როგორც ეს დაკანონებული იყო მაშინაც და მერეც საბჭოთა იმპერიაში, არამედ რუსეთის მიერ საქართველოს **„დაპყრობა და დამონება“...**

ჩერქეზიშვილის მიერ ჩამოყვანილი **„ინგლისურ-ქართულმა კომიტეტმა“** მთელი საქართველო მოიარა. მისი წევრები აღშფოთებული უყურებდნენ რუსი ჯარისკაცების მიერ გადამწვარ და გაძარცულ გურიის სოფლებს, ჩაიწერეს გურული გლეხების მონაყოლები რუსების გაუგონარ სიმხეცეებზე...

ჰააგის საერთაშორისო სამართლის კონფერენციაზე პეტიციის ოფიციალური წარდგენისთვის აუცილებელი იყო ხელმოწერებიც და როგორც ვარლამ ჩერქეზიშვილი წერს (ჟ.„პრომეთე“, №3, 1918 წ.), „ძლიერ მეეჭვებოდა, რომ მაშინდელი სასტიკი რეაქციის პირობებში, ეს ხელმოწერები შეგროვდებოდა, მაგრამ ყველა გაოცებული დავრჩით, როცა „პეტიციაზე“ 2000 ხელმოწერა შეგროვდა... კომიტეტის ერთ-ერთი წევრი, ნევინსონი აღტაცებული ამბობდა – ასეთი გმირი და მამაცი ხალხი ყოველმხრივ იმსახურებს ევროპის მხარდაჭერას:

– თვით ევროპის მმართველ წრეებს ეშინიათ და უფრთხიან რუსეთთან დაპირისპირებას და ეს მართლაც საოცარი ფაქტია, რომ საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, ეს გმირი ხალხი მზადაა სიმართლისა და თავისი ღირსებისათვის საბრძოლველად – ქართველი ერი ყველანაირად იმსახურებს ჩვენს მხარდაჭერას... ნევინსონის და ჩერქეზიშვილის ძალისხმევით, ყველაფერმა ამან ფართო გამოხმაურება ჰპოვა ევროპაში...

„პეტიციამ“ მთელი ევროპა მოიარა, იგი ამერიკაშიც გადაიგზავნა და იქაურ პრესაშიც გავრცელდა... რუსეთმა ვეღარ გაბედა რეპრესიები. თვითონ ნიკოლოზ მეორეც კი მზად იყო გარკვეული რეაგირება გაეკეთებინა „გეორგევსკის ტრაქტატზე“ და ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაზეც, მაგრამ მალე თვითონ და მთელი რომანოვების საგვარეულოს გაუხდა საშველად საქმე...

რაც შეეხება ილიას კანონპროექტს სიკვდილით დასჯის აკრძალვის თაობაზე, რუსმა ლიბერალებმა და „კადეტებმა“ ვერ შეძლეს მისი კანონად ქცევა: მალე „დუმა“ საერთოდ დაითხოვეს და გააუქმეს, ხოლო „კადეტები“, რომლებიც ცდილობდნენ რუსეთი ინგლისის მსგავს კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფოდ გარდაექმნათ (ამიტომ უჭერდა ილიაც მათ მხარს), აიკრძალა...

რუსეთში სტოლიპინის მძვინვარე რეაქცია გაბატონდა, რომელსაც მოსწრებულად **„სტოლიპინის გალსტუკები“** ეწოდა სახრჩობელების სიმრავლის გამო... ესეც კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია, რუსეთში რომ რაიმე პროგრესული რეფორმების ჩატარება გამორიცხულია...

ესეც ხომ, ცნობილი ფაქტია: როცა ილიას მკვლელობის ყველა მონაწილე დაიჭირეს (გარდა ბერბიჭაშვილისა, რომელიც **„მესამედასელებმა“** მოასწრეს და ირანში გააპარეს), ყველას ჩამოხრჩობა მიუსაჯეს. ილიას ქვრივმა შეწყალების თხოვნა შეიტანა – ჩემი ქმარი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი იყო (ილიას ნოველაც კი – **„სახრჩობელაზედ“**, დაურთო თან), და სიკვდილით ნუ დასჯით – ჩამოხრჩობა გადასახლებით შეუცვალეთო... მაგრამ განაჩენი ძალაში დატოვეს და 1909 წელს ყველა ჩამოახრჩეს...

„შაყის კვრა“ – მონღოლთა სახსოვარია...

მაშ, ასე – დავით აღმაშენებელი ხომ, **„იმპერიალისტად“**, – კავკასიელ ხალხთა დამმონებლად წარმოგვიდგინეს, ხოლო ილია – **„ფაშისტად“**, სომეხი ერის „გენოციდის“ მქადაგებლად, ეხლა ვნახოთ ჰუმანიზმის ჩვენი მქადაგებლები როგორ უყურებენ დანაშაულს და სასჯელს:

რაც კაცობრიობა არსებობს, კაცის დანაშაული და სასჯელიც მისი მუდმივი თანამგზავრია. სიკეთე – ბოროტების და ცოდვა – მადლის ფილოსოფიაც ხომ ესაა, განზოგადოებული სახით რომ დაგვიხატა ილიამ მეწისქვილე სოსიას სახით „ოთარაანთ ქვრივის“ ბოლო თავში – **„წყევა-კრულვიანი საკითხავი“...**

მაგრამ სულ სხვაა იმპერიების კოლექტიური ცოდვა, მათგან კი ამ ბოლო, „მესამე რომის“ იმპერიისა, ის ხომ ამ მხრივ, მსოფლიო ჩემპიონია... ის ამასთან, მისი წინამორბედი თათარ-მონღოლთა „ოქროს ურდოს“ ნაშიერია, ბავშვების „არ იხილოს კალო“ რომ მოაწყვეს აქ, ჩვენთან... მაგრამ მის ცოდვებს ხომ „გაუმჯობესება“ უნდოდა და არც ეს დააკლეს ამ 300 წლის მანძილზე:

აი, ვთქვათ „შაყის კვრის“ წესით სიკვდილის დასჯა – სიკვდილმისჯილს მონღოლები ჯერ ზედა კიდურებს აჭრიდნენ და მერე თავს... აქ იფიქრეს, იფიქრეს და მოიფიქრეს – კი მაგრამ, ქვედა კიდურებმა რაღა დააშავაო და აქედან დაიწყეს ეს „საქმე“... 1832 წლის შეთქმულების მოთავეებს ხომ, პირველად ამ **„შაყის კვრით“** დუპირეს დასჯა, მაგრამ რაკი აღმოჩნდა, რომ მასში პეტერბურგში ინგლისის ელჩი და თბილისში საფრანგეთის კონსული გრაფი ლეტელიე იყვნენ გარეულნი, ევროპაში გახმაურებას მოერიდნენ...

შეთქმულთა მოთავეების „შაყის კვრით“ დასჯის მოტივი იმპერატორისთვის ერთადერთი იყო: არცერთ ქართველს მსგავსი რამ რომ აღარ მოუვიდეს თავში არასოდეს (ვერაფერს ვიტყვით, სწორი გათვლაა!)...

დიახ, ცოდვა კაცისაც და კაცობრიობისაც დაუთვლელია, ჩვენი დალოცვილი ფოლკლორიც ხომ გვასწავლის – უცოდველები მარტო სასაფლაოზე არიან, ანდა, გვახსოვს ალბათ, ქვებშემართული ებრაელები უსახელო ქალის ჩაქოლვას ლამობდნენ და ქრისტემ რომ შესძახათ – პირველი ქვა იმან ესროლოს, ვინც უცოდველიაო, და ყველამ ქვები ძირს დაყარა... ცოდვა მერე და მერე შავი ჭირივით ისე განევრცო, რომ დღეს დედამიწა ლამის მთლად სოდომად გადაიქცეს...

ამიტომ თხოულობდა ილია და მასთან ერთად „ფედერალისტები“, რომ გლობალურ პრობლემებს გლობალური ძალისხმევა სჭირდება. მიხეილ წერეთელის **„ერი და კაცობრიობა“** ამ დიდი იდეით არის გაჟღენთილი, ისე როგორც ვარლამ ჩერქეზიშვილის „ივერიაში“ გამოქვეყნებული სტატიების ციკლი – **„წერილები ლონდონიდან“...**

ილია და „ფედერალისტები“:
ნუთუ აკაკის „ღამურას“ ბედი გველის?!...

მას შემდეგ რაც „მესამე დასი“ გაჩნდა XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე, ქვეყანა ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაიყო. კარგად აქვს აღწერილი ეს პროცესი მის თვითმხილველს გრიგოლ რობაქიძეს:

„გასული, XIX საუკუნის მიწურულში ახალი თაობა სოციალიზმს ეტანებოდა, მარქსისტული ჯიშისას საკუთრივ. ხმა მომესმა მიხაკო წერეთელიც მარქსელიაო... ვიეთნი იმასაც ამბობდნენ – მიხაკომ „კაპიტალი“ თარგმნაო“...

მაგრამ „მოგონებათა ბარდულში“ თვითონვე უარყოფს ამ ხმებს, მიხეილ (მიხაკო) წერეთელი სულ სხვა **„ჯიშის“** სოციალიზმის მომხრე და მქადაგებელი გახდა – **„ეროვნული სოციალიზმის“:** მისი მემკვიდრეობა ამის თეორიული დასაბუთებაა.

სწორედ ამ თეორიის საფუძველზე დაფუძნდა 1904 წელს ჟენევაში „საქართველოს სოციალ-ფედერაციული პარტია“ (სსფპ). მას სამი დიდი იდეოლოგი და ლიდერი ჰყავდა – მიხეილ წერეთელი, არჩილ ჯორჯაძე და ვარლამ ჩერქეზიშვილი:

„მაოცებს ვარლამის მივლინება მსოფლიო ისტორიაში. იგი ერთადერთია, როგორც ანარქიზმისა და ნაციონალიზმის შემზავებელი... მაშინ მეეჭვებოდა ეს გონებით, გული კი სხვას მეუბნებოდა... მართლაც თუ მოიშლებოდა სახელმწიფო წყობილება, – საერთოდ ანარქიზმის მიზანი ესაა, – მაშინ რუსეთიც, რომელიც პრეისტორიული მამუტივით თავს აწვა საქართველოს, დაემხობოდა...

... ბავშვობიდანვე სამშობლოს გარეთ მყოფს, გადავიწყებული ჰქონდა ქართული – იცოდა რუსული, ინგლისური, ფრანგული. სიკვდილის ჟამს რუსულიც დავიწყებოდა, ინგლისურიც და ფრანგულიც – თურმე ქართულად იწყო ლუღლუღი.

აი, ვინ იყო ქართველნო, ვარლამ ჩერქეზიშვილი!“

გრიგოლ რობაქიძის ეს პათეტიკური შეძახილი გვავალდებულებს დღევანდელ თაობებს უფრო ღრმად და სერიოზულად მოვკიდოთ ხელი მის და საერთოდ, „ფედერალისტების“ მემკვიდრეობის გამოყენებით პოლიტოლოგიურ შესწავლას. ჩვენ ამ თემას უფრო დეტალურად შევეხებით მონოგრაფიის II ნაკვეთში, აქ კი, ვიტყვით:

ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორიასთან ყველაზე ახლოს სწორედ „ფედერალისტები“ იყვნენ. არჩილ ჯორჯაძემ ახალი ინტერპრეტაცია მისცა მას ამ სახელდებით – **„საერთო მოქმედების ნიადაგი“**, რაც ამ თეორიის გამოყენებით მნიშვნელობას უსვავს ხაზს. როცა კი საქართველოში ჩამოდიოდა, ვარლამ

ჩერქეზიშვილი და მისი ფრანგი მეუღლე – ფრიდა, ილიას და ოლღას სასურველი სტუმრები იყვნენ მუდამ...

ილიას მიაჩნდა, რომ „სსფპ“ პოლიტიკური პროგრამა ძალიან ახლოს იდგა მის პოლიტიკურ მსოფლმხედველობასთან და როცა მას 1906 წელს შესთავაზეს ამ პარტიის თავჯდომარეობა, იგი მზად იყო ეკისრა ეს ფუნქცია, მაგრამ წიწამურმა ყველაფერი ჩაშალა...

ეროვნული სული და თვითმყოფადობა XX საუკუნის მესამედასურ საქართველოშიც არ მომკვდარა. ვაჟას „ვერ მოჰკლეს“!, – გამართლდა და აკაკის **„ღამურას“** იდეაც, მადლობა ღმერთს, ჩვენი ერის ცხოვრების წესად ვერ იქცა...

მაგრამ დღეს ესეც სათქმელია – XXI საუკუნის გლობალიზმის ეპოქა კიდევ უფრო რთული გამოწვევების წინაშე გვაყენებს, გამოწვევებისა, რომელიც „ღამურას“ იმ ძველ იდეას კიდევ უფრო აქტუალურს ხდის...

ამოცანაც ის არის, რომ ამ გამოწვევებსაც ჩვენმა და მომავალმა თაობებმა ღირსეულად ვუპასუხოთ... ამის მაგალითს ისევ ილია გვაძლევს:

აქაურმა ექიმებმა რომ ვერაფერი გაუგეს ასაკში შესულის ავადმყოფობას, დავით სარაჯიშვილმა დააფინანსა ილიას ევროპელ ექიმებთან წასვლის და მკურნალობის ყველა ხარჯი. მეგზურობა არტურ ლაისტს დაევალა და იგი – ეს **„ჩვენი აბო“,** როგორც დაარქვა მას ილიამ, იხსენებს როგორ მიმართა ილიამ ბოლოს მას:

– ევროპას რა ჯობია, ვენაცვალე მას, ჩვენი დიდი სამომავლო იმედია, მაგრამ საქართველო მომენატრა, აღარ შემიძლია, დავბრუნდეთ უკან... საქართველოს საზღვარი რომ გადმოვლახეთ, უცბად დაიჩოქა, მიწას ემთხვია და მობოდიშებით მითხრა – ყმაწვილობაშიც მქონდა ეს ნოსტალგიური გრძნობა, მაგრამ სიბერეში ნამეტანი მომეძალა...

დიახ, ბატონებო, ეროვნული გრძნობა უკვდავია, ეს ქართველებს არ გვესწავლება – არაერთი ფაქტია, როცა ნოსტალგიით დაავადებული ქართველი გადაჰყვა მას...

– ამას რუსიც სხვა ჰგონია...

ქართველი გლეხის ეს შეძახილი შეიძლება გამოადგეთ იმ ხალხებს, სადაც დღეს რუსები დგანან, ანდა, აპირებენ სადმე კიდევ ჯარის შეყვანას, როგორც ეს ყარაბაღში მოხდა ახლახანს:

რუსული ჯარის პირველი ნაწილები რომ შემოვიდნენ, საქართველოს სხვადასხვა ლოკაციებში განლაგდნენ, მათ შორის საგარეჯოსთან, სოფელ

მანავთან. იქაურ თავად ჩოლოყაშვილს თურმე დაუფიცია – სანამ რუსები აქედან არ წავლენ, სახლიდან ფეხს არ გამოვადგამო...

მას ადგილ-მამულის მოურავად და პატრონ-მომვლელად ერთი მანაველი გლეხ-კაცი ჰყოლია, იქვე, სახლთან ახლო ვენახების დასახედად რამდენჯერაც მივა, ეს თავადი შეეხმიანება თურმე: – მოურავო, რუსები ისევ აქ არიან, თუ წავიდნენ?...

კარგად ახსოვდა – სულ რაღაც ხუთიოდე წლის წინ აღა-მაჰმად-ხანის ჯარი ხომ, მალევე წავიდა საქართველოდან და სხვა დრო-ჟამსაც მტრის ჯარი იშვიათად თუ დიდხანს დარჩებოდა აქ, „ლეკიანობის“ არსიც ხომ ეს იყო მაშინდელ საქართველოში – ყაჩაღობის შემდეგ, სწრაფადვე გარბოდნენ... ეს, რა თქმა უნდა, ჩოლოყაშვილის მეხსიერებაში მკვიდრად იყო დაფიქსირებული...

ამ ყოველდღიური კითხვებით თავმობეზრებულმა მანაველმა კაცმა, ბოლოს ვეღარ მოითმინა და მორიგ კითხვაზე ჩაულაპარაკებია:

– გიჟია ეს ჩემალალა, ამას რუსიც სხვა ჰგონია!...

ორი საუკუნე და მეტი გავიდა და ეს ლაკონური შეძახილი კვლავ აქტუალურია – ისევ არ აპირებს ჩვენი მიწა-წყლიდან წასვლას რუსის ჯარი დღეს...

საბჭოთა კავშირიდან ევროკავშირისაკენ: ჟამი ნგრევისა და ჟამი შენებისა...

„ახლად შენება საქართველოის“ – ეს „ქართლის ცხოვრების“ ერთი მეტად სიმბოლური და აზრტევადი თეზაა: ყოველი ახალი **„მოოხრების“** შემდეგ, დგებოდა ეს ჟამი „ახლად შენებისა“...

კაცი „ქართლის ცხოვრებაში“ კიდევ ბევრ საინტერესო თეზა – სიმბოლიკას ნახავს, განსაკუთრებით „ოქროვანის ხანის“ საქართველოს ისტორიიდან, მაგრამ ეს „ახლად შენება“ მაინც ზუსტად გამოხატავს წარსულსაც, აწმყოსაც და მომავალსაც...

მკითხველს მინდა შევახსენო: გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, 1940 წელს ივანე ჯავახიშვილის მიერ გამოცემული შრომა – **„ახალი ქართლის ცხოვრება“:** აქ ბატონი ივანე პერიოდიზაციის თვალსაზრისით „ქართლის ცხოვრებას“ და მაშასადამე, საქართველოს ისტორიასაც სამ დიდ პერიოდად ჰყოფს – ძველი, ახალი და უახლესი... ეს ძველი „ქართლის ცხოვრება“ კი, გიორგი ბრწყინვალის მეფობით შეწყდა...

„ისტორიის გაწყვეტის“ ეს დიდი ნაკლი კარგად შეიგნო და გაიაზრა ვახტანგ VI „სჯულმდებელმა“ და მიზნად დაისახა მისი შევსება: ასე შეიქმნა

„სწავლულ კაცთა დასი“ ვახუშტი ბატონიშვილის მეთაურობით ამ **„ახალი ქართლის ცხოვრების“** დასაწერად, რომელიც გიორგი ბრწყინვალიდან ერეკლე მეფის პერიოდამდე მოდის...

ივანე ჯავახიშვილი ქების სიტყვებს არ იშურებს ვახტანგ VI და ამ „დასის“ მიმართ და აქვე იმ იდეასაც აყენებს, რომ საჭიროა „ქართლის ცხოვრების“ შემდგომი გაგრძელება და მისი მეცნიერული კვლევა. ეს ბუნებრივია მოიცავს რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის მთელ კოლონიურ პერიოდს. მან თვითონ დაიწყო კიდეც ეს, მაგრამ ადრეც ავღნიშნეთ – ხელისუფლებამ მისი გაგრძელების საშუალება არ მისცა და საერთოდ, შემთხვევითობას რომ არ გადაერჩინა **„ბურჟუაზიის შავი პროფესორი“,** უნივერსიტეტიდან გაძევებული დახვრეტას ვერ გადაურჩებოდა (ამ თემას II ნაკვეთში შევეხებით) ...

თუმცა ბ-ნ ივანეს დარჩა გარკვეული მონახაზი ამ „უახლესი ქართლის ცხოვრების“ გეგმა-პროსპექტის სახით: ეს გახლავთ მისი შრომა – **„ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“.** ილიას დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით გამოცემული ამ მონოგრაფიის შესავალშივე იგი ხაზს უსვამს, რომ შრომა ჩაფიქრებულია, როგორც ილიას მემკვიდრეობის მეცნიერული კვლევა გარკვეული ციკლის სახით. მაგრამ შერყეული ჯანმრთელობის გამო, 20–30-იანი წლების დევნა-შევიწროებამ რომ დაუტოვა, ეს აღარ დასცალდა. დღეს, როცა მადლობა ღმერთს კოლონიური ყოფის ეს ახალი „ძნელბედობა“ დამთავრდა, დადგა დრო „უახლოესი ქართლის ცხოვრების“ ეს მისი იდეა საქმედ იქცეს...

ჩვენ ამას პირობითად შეგვიძლია ვუწოდოთ სვლა **„საბჭოთა კავშირიდან ევროკავშირისაკენ“**: საქართველოს უახლეს და აგრეთვე, სამომავლო ისტორიაში ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ შევძლებთ ამ სვლას, რას დაუდებთ მას თეორიულ საფუძვლად...

თუ გვინდა, რომ ეს მორიგი **„ახლად შენება საქართველოის“** იყოს წარმატებული ჩვენი ერისა და ქვეყნისათვის, მას ილიას მემკვიდრეობა უნდა დაედვას საფუძვლად, მისი „საერთო ნიადაგის“ თეორია – მას ხომ ზეწოდებად **„ევროპელი კაცი“** ერქვა... მხოლოდ ამ შემთხვევაში განხორციელდება ის დიდი მიზანი, რომელიც მან პოეტურადაც დაგვიტოვა შთამომავლობას:

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია
აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია!“...

ამასთან დაკავშირებით, მინდა გავიხსენოთ ერთი ისტორიული ფაქტიც: ნატო გაბუნიამ ამ ლექსის სასიმღერო ვარიანტიც შექმნა – **„ორთავ თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია“...** ძალიან ბევრი მოგონებაა იმის თაობაზე, რომ ნატოს გასაოცარი ტკბილი ხმით დაირაზე თეატრში, ან, უბრალოდ, სუფრაზე ამ სიმღერის შესრულებისას, ილიასთვის ცრემლები შეუნიშნავთ ხშირად...

ესეც თქვენი „უხეში ილია“...

ზნეობა და მორალი:
საით მიდის კაცთა მოდგმა გლობალიზმის ჟამს...

„რაშა თუ დეი“ რის „რაშა თუ დეი“ არის, თუ ირგვლივ ჭკუა არ გვასწავლოს ყველას, ჭკუაც და ზნეობაც. ჩვენ კიდევ ჯანდაბას, რუსეთისა და მისი „ევრაზიური კავშირის“ გარეშე მომავალი ხომ არა გვაქვს, მაგრამ ეს ამერიკა – ევროპაც რომ უფსკრულისაკენ მიექანება?!, უზნეობაში რომ იხრჩობიან, მათაც ხომ „შველა“ უნდათ, ჭკუის სწავლება...

დიახ, მსოფლიოს და კაცობრიობას ამ მხრივაც მიხედვა უნდა, თორემ ხვალ და ზეგ გვიან იქნება... ეს „რაშა თუ დეის“ საყვარელი თემაა და ჩვენც მეტი რა გზა გვაქვს, უნდა ავყვეთ მას, თუ „უფსკრულში გადაჩეხვა“ არ გვინდა „ნატოსა“ და „ევროკავშირის“ ამყოლთ...

დიახ, ამ ახალ საუკუნესა და ახალ ათასწლეულში ბევრი საფიქრალი და სატკივარი გასჩენია „რაშა თუ დეის“ და ამან ილიას ანალიზი გამახსენა მისი საპროგრამო წერილიდან – „საქართველოს მოამბეზედ“:

„ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალებზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოვლისფერისა. წესი, ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მაგათი გამომეტყველია, ყველაფერი იცვლება...

რა აახლებს, რა სცვლის... რას მიჰყავს წინ ცხოვრება? ცოდნასა, მეცნიერებასა... მეცნიერება და ხელოვნება... სხვადასხვა გზით იკისრებენ ახალის ვითარების ახსნასა, ცნობაში მოყვანასა... დროებაზედ უფლობა მარტო გენიოსის საქმეა. ის თავის თამამს სვლაში შემოიბღერტავს ხოლმე დროების მტვერსა, გულ-უშიშრად მიდის წინ,... წინ მიუძღვის ხალხსა და თავისი ჭკუის სხივებით უნათებს გზასა“.

მაშ ასე – „რაშა თუ დეის“, „ეხო კავკაზას“ და სხვებს კიდევ მრავალთ იმპერიის დღევანდელი **„ჰიბრიდული ომის“ მთავარსარდლებიდან,** გადაუწყვეტიათ თავიანთი „ჭკუის სხივებით გაგვინათონ გზა“, მაგრამ საით – საკითხავი ესეც ხომ არის?!...

თუ საით, ამაზე ადრეც ვილაპარაკეთ, აქაც კიდევ ვიტყვით – მათთვის ეს სამომავლო გზა **„ევრაზიური კავშირის“** გზაა... მაგრამ ჩვენც ხომ გვაქვს უფლება ჩვენი ჭკუა-გონებით და რაც მთავარია, **იმპერიასთან თანაცხოვრების დიდი გამოცდილებით,** ჩვენი საკუთარი მომავლის გზაზე ვიფიქროთ? ილიას სიტყვები რომ გავიმეოროთ – **„შემოვიბღერტოთ დროების მტვერი“**, რომ ჭკუა-გონებამ კარგად განჭვრიტოს ეს **„ჩვენი მომავლის გზა“...**

ბოდიშის მოხდით უნდა გამოვუცხადოთ, რომ ეს გზა „რაშა თუ დეის“ გზა არაა: სწორედ რომ პირიქით – ყველაფერი იმას გვეუბნება და იმაზე გვითითებს, რომ ეს გზა **„ტაძრისკენ“** არ მიდის, მაგრამ რა არის მისკენ მიმავალი გზა?...

აი, ამას კი დიდი ფიქრი უნდა, დიდი გააზრება სწორი სტრატეგიული არჩევანის გასაკეთებლად. აქ რა თქმა უნდა, „რაშა თუ დეი“ არ გამოგვადგება, – რაც შეიძლება შორს უნდა დავიჭიროთ თავი მისგან...

ყველაზე სასაცილო და პარადოქსი მთელი ამ ისტორიიდან ისაა, რომ ზნეობასა და მორალზე ლექციებს გვიკითხავს ის, ვისაც ყველაზე დიდი პრობლემები სწორედ ზნეობასა და მორალთან აქვს ახლაც და ისტორიულადაც...

კაცი – კაცობრიობა:
რას გვიქადის ახალი საუკუნე და ახალი ათასწლეული...

კვლავ მინდა მივუბრუნდე პეტრე იბერს, მის **„გონების განწმენდას“** და კონსტანტინეპოლურ–პალესტინურ „ხილვებს“: შალვა ნუცუბიძე მის კონსტანტინეპოლიდან გაპარვას სასახლის ლამაზმანების სასიყვარულო ინტრიგებსაც უკავშირებს, მაგრამ ასეც რომ იყოს, მთელი შემდგომი ცხოვრების შეწირვას ღვთისმსახურობისადმი მარტო ამით ვერ ავხსნით – ეს უფრო ამ „ხილვების“ შედეგი უნდა იყოს. თვითონაც ხომ იცოდა მშობლებისგან, რომ „ღვთის ნებით ღვთის სამსახურში“ უნდა გაევლო წუთისოფელი...

რწმენას რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კაცის ცხოვრებაში, ამას დიდი მტკიცება არ უნდა: ადამიანზე მაღლა მდგომი ზეციური ძალის რწმენა ჩვენი მუდმივი თანამგზავრია და აქ მინდა ამასთან დაკავშირებით მოვიყვანო ჰაიდეგერის კალამპურის ერთი ჩემეული პოეტური გააზრებაც:

ყველა, ვინც მეცნიერების ფიალიდან
პირველ წვეთებს დააგემოვნებს,
იმ წუთიდანვე
ათეისტი ხდება ის...
მეცნიერების ფიალის
ფსკერზე მისულს კი,
ღმერთი ელოდება იქ...

პეტრე იბერიც იმის მაგალითია, რომ ჯერ ოჯახურმა გადმოცემამ, მერე კი, ხილვებმა, მეუდაბნოეს ცხოვრებამ და სამყაროს შემოქმედზე ფიქრებმა ეს რწმენა განუმტკიცა და მთელი მისი შემდგომი ცხოვრების არსად აქცია...

დღეს, როცა 1500 წლის შემდეგ სულ სხვა განზომილებებსა და ღირებულებებში გვიხდება ცხოვრება, ფსიქიკური თვალსაზრისით მაინც იგივე პრობლემის წინაშე ვდგავართ: რა არის საწყისი და არსი კაცის და კაცობრიობის

ცხოვრებისა, რა გველოდება წინ, საით მივდივართ და რისკენ ვისწრაფვით კაციც და კაცობრიობაც?!...

განგებამ ისე ინება, რომ პეტრე იბერს „ორი რომის“ მიჯნაზე მოუწია ცხოვრება და მოღვაწეობა, ჩვენს თაობებს – „მესამე რომის“ აღსასრულის ჟამს. მაგრამ ეს ჩვენ მიგვაჩნია „აღსასრულად“, აბა, ახლა „რაშა თუ დეის“ ვკითხოთ, რა დიდი ოპტიმიზმით უყურებს ამ მათი „ევრაზიური კავშირის“ მომავალს. ამაზე იტყოდა ალბათ, რუსთაველიც – „ჩემი სჯობსო, უცილობლობს ვითა ჯორი“...

ერთი კი, ეჭვს გარეშეა – XXI საუკუნე და მითუმეტეს, შემდეგნიც იმპერიების სასაფლაოა. ამაზე ხომ თვითონ XX საუკუნეც გვითითებს: რამდენი იმპერია მოისტუმრა მან ჩვენს თვალწინ, ღირს გასახსენებლად – ჯერ ოსმალეთის, მერე ავსტრია – უნგრეთის, გერმანიის, იტალიის, ინგლისის, სადაც **„მზე არასოდეს ჩადიოდა“** და მისი ეს **„მზე მაინც ჩავიდა“,** რასაც ასე მისტიროდა ჩერჩილი – რაღა ჩემს დროს მოხდა **„ისტორიის და ღვთის ნების გამოვლენაო“...**

მაშ, ეს **„მესამე რომი“** რაღა გამონაკლისია, რა, მას არ ეხება ეს „ისტორიის და ღვთის ნების გამოვლენა“?!... ამ „სამი რომის თეორიის“ ავტორთა გულის გასახარად კი, შეგვიძლია ვთქვათ: ჩვენც დღეს ამ თეორიის მომხრენი ვართ, ოღონდ მისი დასკვნითი ნაწილის – **„მეოთხე რომი აღარ იქნება!“...** ასე ამტკიცებდნენ თავიდანვე რუსეთის იმპერიის იდეოლოგები...

მსოფლიო ისტორიასაც თუ თვალს გავადევნებთ, ღვთის ნებას მართლაც აქეთკენ მიჰყავს კაციც და კაცობრიობაც. ეს კი, რა თქმა უნდა, არ მოეწონება „რაშა თუ დეის“, მაგრამ რა ვქნათ, მის მოწონება – არ მოწონებაზე ვერ ვივლით, ჯობია მან და კრემლიდან მისმა პატრონებმა ამ ნებაზე თვითონ იარონ...

„ქაჯეთის ციხის“ სიმბოლიკა:

„ბოროტსა სძლია კეთილმან“...

რაც კი პირველი სახელმწიფოები და დამწერლობა გაჩნდა, ისტორიამ ბევრი დოკუმენტი შემოგვინახა იმაზე, თუ როგორ უნდა მოეწყოს კაცი-კაცობრიობის ცხოვრება: **ბუდამ, არისტოტელემ, პლატონმა, კონფუციმ, მოსემ, ქრისტემ, მუჰამედმა...** ზნეობის მთელი კოდექსებიც დაგვიტოვეს **„ათი მცნების“** მსგავსნი...

არც ქართველი კაცი გაქცევია ამას და ჩვენამდე მოღწეულთაგან კვლავ გავიხსენოთ პეტრე იბერი და მისი პალესტინური ქადაგებანი... **აქეთ საჩვენოსკენ – დოდაშვილი, ილია, „ფედერალისტები“ და მათი „ევროპის შეერთებული შტატების“, თუ „მსოფლიოს შეერთებული შტატების“ იდეები...**

მაგრამ ყველა ვხედავთ – საფიქრალი კიდევ რამდენი დარჩა, რომ ეს ყველაფერი საქმედ იქცეს და ბოროტება ძლეულ იქნეს. მიხეილ წერეთელმა იმაზე ააგო თავისი **„ერი და კაცობრიობა“,** თუ როგორ მივაღწიოთ ამას – ჩვენი ეპოქის **„ქაჯეთის ციხის აღებას“...**

„ბოროტების იმპერია“ კი, თავს დაგვტრიალებს ისევ და რუსთაველისეული „ქაჯეთის ციხის“ სიმბოლიკა კვლავ ცოცხალია ჩვენთვის. მის დასაძლევად ერთიანი ძალისხმევა სჭირდება ყველა იმათი, ვისაც მშვიდობიანი, სტაბილური და დემოკრატიული მსოფლიო უნდა...

„ერი და კაცობრიობის“ XI თავში – **„ერის ღირსება და უპირატესობა“,** მიხეილ წერეთელი, მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი წერს:

„ერის უფლებათა აღიარება არ უნდა იყოს დაფუძნებული არაფერზედ, გარდა სამართლისა... თუ სამართალი ამ დანიშნულებას ვერ ასრულებს, იგი არ არის მართალი სამართალი...

მომავალი ვინ იცის, რას გვიქადის,... მაგრამ სამართალმა მაინც არასოდეს უნდა დაჰკარგოს არსი და უნდა მიუახლოვდეს იდეალს“...

და აქ იგი ამ „იდეალის“ ნიმუშად მკითხველს წარუდგენს **„ქართველი გენიოსის“** იმ ფორმულირებას, რომელიც არასოდეს დაკარგავს თავის ძალას:

„ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმნს ხმელსა ნედლად“ – ვინც უარყოფს ამას, იგი მართალის სამართლის პატივის მცემელიც არ არის“ – ასკვნის მიხეილ წერეთელი...

ჩვენც მონოგრაფიის მეორე ნაკვეთს ამ **„მართალი სამართლის“** ზეობაზე დავაფუძნებთ: იმპერიების შემდგომი მსოფლიო განვითარებაში მას ალტერნატივა არა აქვს და კაცი – კაცობრიობის მომავალიც იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად გავითავისებთ და საქმედ ვაქცევთ ამ რუსთაველისეულ – წერეთლისეულ **„მართალ სამართალს“...**

დასკვნის მაგიერ

ფეხბედნიერად გვაქვს დაცდილი ათასწლეულთა შემობრძანება ქართველებს: პირველი ათასწლეულით ქრისტიანობას ვეზიარეთ, მეორე ათასწლეულით – „ოქროვან ხანას“ და ეს მესამე თასწლეულიც იმედია, არ დაარღვევს ამ ტრადიციას...

მაშ, ასე: **იმპერია–არა! იმპერია კი არა, სახელმწიფოც – არა, თავისი ცენტრალიზმით და ბიუროკრატიზმით, გვეუბნება „ანარქო-სინდიკალიზმი“...**

მაშ, რას ვთავაზობთ კაცობრიობას ამ ახალ საუკუნესა და ახალ ათასწლეულში?!...

კვლავ ილია მინდა გავიხსენო, მისი სტატია **„მეცხრამეტე საუკუნე“:** ჩამოთვლის ათას სიკეთეებს, რაც ამ საუკუნემ კაცობრიობას მისცა და ბოლოს ეს კითხვაც მისი, ილიასეული მოკვეთით თქმული:

„ხოლო საკითხავი ეს არის: დღეს უფრო ბედნიერია კაცი, თუ არა?“, და ეს პასუხიც მისი: „არა გვგონია“.

ახლა დაბოლოებაც ამ სტატიისა, – მიმავალმა საუკუნემ რომ უანდერძა მომავალ საუკუნეს: ის, რასაც ილია თხოულობდა XX საუკუნისგან მაშინ:

„ზნეობის აღმატება!“, – თუ როგორ აღასრულა ეს ანდერძი XX სუკუნემ, ყველამ ვნახეთ, და ნუთუ მის გზას გაჰყვება ეს ახალიც?!...

ელბერდ ბატიაშვილი

იმპერიის ისტორიული ბედი

მეორე შევსებული გამოცემა

ნაკვეთი II

თბილისი

2021

1977 წლის პირველი დისიდენტური გამოცემა ასე მთავრდება:

„იმპერია ადრე, თუ გვიან თავის ისტორიულ ბედს ეწევა, მაგრამ ჩვენთვის მთავარია, როგორ შევხვდებით საქართველოს დამოუკიდებლობას და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობას. აქ ჩვენი გზამკვლევი ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობაა“.

მას შემდეგ 44 წელი გავიდა და დღესაც იგივე დილემა დგას: სამწუხაროდ, ისევ ამ „გზამკვლევის“ გარეშე გვიწევს ქართული სახელმწიფოს მშენებლობა...

<u>ილიას გარეშე სვლა კი ამ მშენებლობის საბოლოო წარმატება შეუძლებელია...</u> ჩვენ ამ თემაზე ბევრი ვისაუბრეთ ნაშრომის პირველ ნაკვეთში... აქ კი გვინდა იმ საგარეო-პოლიტიკურ ფაქტორებზე შევჩერდეთ, რომლებიც არანაკლებ მნიშვნელოვანია დღეს ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში.

ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ამ ფაქტორებს ხშირად გადამწყვეტი როლიც უთამაშია ქართული სახელმწიფოს ისტორიულ განვითარებაში. ამით აიხსნება, რომ საქართველოს და ქართველი ერის ბუნებრივ-ისტორიული განვითარება არაერთხელ გაუკუღმართებულა იმპერიათა ზეწოლებით და გარკვეულ ეპოქებში მთლად შეწყვეტილა კიდეც, როგორც ეს ამ ბოლო ორ საუკუნეშიც მოხდა...

ამიტომაა, რომ „ქართველი ერის ისტორიის“ II ტომს, ივანე ჯავახიშვილი ასეთი სიმბოლური დასათაურებით იწყებს – <u>„საქართველოს საისტორიო გეოგრაფია“,</u> რითაც ხაზს უსვავს გეოგრაფიული ფაქტორების დიდ მნიშვნელობას ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებაში. ამით იგი ამ შემთხვევაში, ისე როგორც საერთოდაც, აგრძელებს და ისტორიული ფაქტებით განამტკიცებს ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობას.

„ბედნიერი ერის“ სინდრომი...

როცა სახელმწიფო ვიყავით, ჩვენი წინაპრები საგარეო პოლიტიკას პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდნენ, კავკასია იქნებოდა ეს, თუ შორეული რეგიონები. რუსთაველის პოემის გმირების ასპარეზიც ხომ, არაბეთი – შუა აზია – ინდოეთის სამყაროა...

„მრავალგანზომილებიანი ქართული პოლიტიკა“ – შეიძლება ასე დაერქვას ამას. ამ ორმა საუკუნემ ეს ფუნქცია წაგვართვა – ის მთლიანად იმპერიის მონოპოლია გახდა. ამიტომ თხოულობდა ილია – ზოგი ჭირი მარგებელია და გამოგვეყენებინა იმპერია პალესტინაში, ღაზასა თუ ათონში გაფანტული ქართული ეკლესია-მონასტრების შესანარჩუნებლად. იქ ხომ, პეტრე იბერიდან მოყოლებული, 40-ზე მეტი ქართული ეკლესია-მონასტერი არსებობდა...

რუსეთს ცხადია ეს სრულიად არ ანაღვლებდა, მაგრამ არც ჩვენ გამოვიღეთ ხელი ამ საკმაოდ მდიდარი მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად – თითო-ოროლა კაცი თუ ჩადიოდა პალესტინაში, ღაზა-სინას მთასა თუ ათონში. ამიტომაა, რომ დღეს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში შესვლა და იქ პეტრე იბერისგან აშენებული ქართული ეკლესიის სიძველეთა მონახულებას ნებართვები სჭირდება ბერძენ-სომეხთაგან.

ამიტომ ვამბობთ, რომ ამ სფეროშიც ილიას „ბედნიერი ერის“ სინდრომი დღესაც ცოცხალია – თავს არ ვიწუხებთ ჩვენი სიძველეების დასაცავად, ამიტომაც საბერძნეთში ვიზიტად მყოფმა პუტინმა ათონის **„ივერთა მონასტერში“** ყოფნისას ათონი **„რუსული კულტურის ძეგლად“**(!) გამოაცხადა. ქართველები? ქართველები ყველა „მწვალებლები“ და კავკასიელ ხალხთა დამპყრობლები არიან „რაშა თუ დეის“ გადმოსახედიდან...

„ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!...
მტრის არ მცნობი,
მოყვრის მგმობი,
გარეთ მხდალი, შინ ძლიერი
არ რის მქონე,
არ რის მცოდნე...
ჩვენისთანა ბედნიერი
კიდევ არის სადმე ერი?!“...

ილიას **„ბედნიერი ერის“** ეს ფიქრები აღეძვრება კაცს, როცა ამ დღეებში კვლავ გვესმის „მიშა მაგარიას“ შეძახილები... ამიტომ მოთქვამდა ილიაც „ივერიის“ საახალწლო მილოცვის წერილში – **„რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“:**

„არ ვიცით – რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ – რანი ვართ, ვერ გამოგვისახია – რანი ვიქნებით... ახალო წელიწადო, თუ რამ შეგიძლიან თვალი აგვიხილე, რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც აღარა სთქვას: „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“.

კარგი იქნება საუკუნის შემდეგ მაინც, ყურად ვიღოთ ილია მართალის ეს ღაღადი...

„საერთო ნიადაგის“ თეორია და გლობალური, რეგიონალური და ეროვნული განვითარება...

პირველ ნაკვეთში უკვე ითქვა: „საერთო ნიადაგის“ თეორია ატარებს არა მარტო ეროვნულ, არამედ რეგიონალურ და გლობალურ ხასიათსაც. ამდენად, ამ თეორიის იდეები და პრინციპები საშუალებას გვაძლევენ ეროვნულთან ერთად

და მასთან ორგანულ მთლიანობაში გავიაზროთ რეგიონალური და გლობალური განვითარების პრობლემებიც...

ოდითგანვე შემჩნეულია – წინასწარმეტყველება ძალზე უმადური საქმეა: თუ ისტორიას გადავხედავთ მსოფლიოსაც და ჩვენსასაც, რაც კი, რამ წინასწარმეტყველება გამოთქმულა, იქიდან ერთი პროცენტიც არ აღსრულებულა...

პირიქით კი ბევრი გვინახავს – მოვლენები სწორედ რომ საპირისპირო მიმართულებით განვითარებულა. ისტორიულ სიღრმეებში რომ არ წავიდეთ, აი, გუშინდელი და გუშინწინდელნი გავიხსენოთ: რაც მარქსმა და ენგელსმა, „კაპიტალმა“ და „კომუნისტური პარტიის მანიფესტმა“ გვიწინასწარმეტყველა, იქიდან ერთიც არ აღსრულებულა, დღეს სულ სხვა მსოფლიო გვაქვს, ვიდრე მათ და მათ მიმდევრებს – წარმოედგინათ...

მაგრამ ისტორია ამასაც გვასწავლის – არის ბედნიერი გამონაკლისებიც, როცა წინასწარმეტყველება აღსრულებულა. ეს ილია მართალსაც ეხება: რაც მან თქვა, რანაირი ანალიზი და წინასწარმეტყველებაც ჩვენს თაობებს გადმოგვცა, რეალობად იქცა. ეს ეროვნულთან ერთად გლობალურ მოვლენებსაც, მათ შორის, ჩვენს რეგიონს – კავკასიასაც ეხება. ისტორიულადაც საქართველოს ბედი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მასთან, **„კავკასიის საერთო სახლის“** ვითარებასთან. „ქართლის ცხოვრება“ სავსეა ამის ამსახველი მოვლენებით, მათ გათვალისწინება სჭირდება ჩვენგან...

„კავკასია – დედამიწის შუბლი“, – ასე განსაზღვრეს ძველმა ბერძნებმა მისი ადგილი და როლი გლობალური გააზრებით და განზომილებით. პრომეთე – ამირანის სიმბოლიკაც ხომ, ამის გამოხატულებაა... გეოგრაფიულ ფაქტორებზე ილია სტატიაში **„ცხოვრება და კანონი“,** ამას საგანგებოდ უსვავს ხაზს: „ქართვლის დედა“, ისე როგორც „აჩრდილი“ ამ იდეის პოეტური გადმოცემაა და ესეც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ახალი საქართველოს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში...

ეს ჩვენ წინაპრებსაც კარგად ჰქონდათ გააზრებული და „კონაღობის“ კავკასიური პოლიტიკა, კავკასიის ხალხებთან კეთილმეზობლური ურთიერთობა მათთვის სტრატეგიული მიმართულება იყო მუდამ. ე.წ. „აფხაზეთის პრობლემაც“ იმან წარმოშვა და ასაზრდოვა, რომ იმპერიამ მოახერხა ამ პოლიტიკის ნაცვლად, რიგი კავკასიელი ხალხები ჩვენს წინააღმდეგ აემხედრებინათ „გათიშე და იბატონეს“ თავისი ჩვეული პოლიტიკით...

ილიამ და „ფედერალისტებმა“ მაშინ ამ პოლიტიკას „საერთო ნიადაგის“ თეორია დაუპრისპირეს: **„მშვიდობიანი და სტაბილური კავკასია“** – ეს უნდა გახდეს ჩვენი საგარეო-პოლიტიკური სტრატეგია დღესაც...

გავიმეორებთ, **„კონაღობის“** ძველ ჩვენს კავკასიურ პოლიტიკას აღორძინება უნდა. ეს ხომ ჩვენს პოეზიაშიცაა გაჟღერებული:

„მე პატარა ქართველი ვარ,
კავკასიის მთების შვილი
და განცხრომით სხვაგან ყოფნას,
მირჩევნია აქ სიკვდილი“

დიახ, ჩვენს ცნობიერებაში **„ქართველი“** და **„კავკასიელი“** ერთიანობაში მოიაზრება, რუსებიც ხომ, ასე მოგვიხსენიებენ – **„კავკაზსკი ჩელოვეკ“**... დღეს მსოფლიოს დემოკრატიულ პროცესებში ჩვენ რეგიონში ლიდერის პოზიციებზე ვართ და ახლა მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული როგორ გამოვიყენებთ ამ შანსს: გავხდებით სერიოზული მოთამაშე ამ ჩვენს რეგიონში, როგორც ლიდერი ქვეყანა და ამასთან, გლობალურ მასშტაბშიც შეგვეძლება ჩვენი სიტყვა ვთქვათ, თუ არა?... ესეც კვეხნაში არ ჩაგვეთვლება თუ ვიტყვით: ჩვენს ერს გააჩნია იმის ინტელექტუალური პოტენციალი, რომ ამ კითხვას დადებითი პასუხი გავცეთ...

„რაცა ღმერთსა არა სწადდეს“.
„მართალი სამართალი“...

მაგრამ სკნელი – ქვესკნელი – ზესკნელის ბედი მაინც იმის გამგებლობაშია, **„რომელმა შექმნა სამყარო“...** ამ „გამგებელმა“ მაინცდამაინც კეთილად ვერ მოგვასტუმრებინა ვერც XX საუკუნე და ვერც „მესამე რომის“ იმპერია და დღეს ამ ახალი საუკუნის იმედადღა ვართ: არავინ იცის დედამიწის რომელ ბრუნვაზე მოგვაშორებს მის კლანჭებს, კვლავ ჩვენსკენ რომ აქვს მომარჯვებული დღეს...

მის გადამკიდეს, ისევ რუსთაველი გვახსენდება ჩვენდა ნუგეშად – **„ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა, მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა“...** და ეს ახალი საუკუნეც რუსთაველით გვეიმედება, რამეთუ **„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“:** მიხეილ წერეთელსაც ხომ თავისი „მართალი სამართალი“ მისგან გამოჰყავს...

ილიას პუბლიცისტიკასა, თუ მხატვრულ ლიტერატურაშიც ხშირად უყვარდა რუსთაველის მოშველიება და აქ მახსენდება „აჩრდილის“ მისი ეპიგრამა:

„რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჭკნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“...

ამ „ტურფასა საბაღნაროს“ დღევანდელ სტუმრებს, ისე როგორც მაშინდელებს, როცა ეს უკვდავი პოემა იწერებოდა, კვლავ სამყაროს შემოქმედის იმედი გვაქვს... ოღონდ ეგაა, მას რომ ჩავწვდეთ, პეტრე იბერისეული „გონების განწმენდა“ გვმართებს, **„საღმრთოი ნისლის იქით განჭვრეტა“** რომ შევძლოთ... პეტრე იბერსა და რუსთაველზე ამ ფიქრებმა შვა ეს ჩემეული გააზრებაც, რომელსაც სათაურად მივეცი – გამითავისებს ვინც დროს და სივრცეს...

ყველა პრობლემა გადავწყვიტე ამქვეყნიური,
ჩავწვდი ყოველგვარ საიდუმლოს ამა ქვეყნისას, –
სიკეთისას და ბოროტებისას,
სიყვარულისას, სიძულვილისას, –
მხოლოდ ვერ ჩავწვდი დროსა და სივრცეს...
სასრულობა – უსასრულობის ფიქრს გადამკიდე,
რამდენი გონი დაბინდულა, თუ დათვლის ვინმე,
ამ უსასრულოდ გაწელილ რიგებს...
მიჩვენეთ კაცი, ღმერთად შევიცნო,
გამითავისებს ვინც დროს და სივრცეს...
მაგრამ რას ვეძებ,
ანდა, ვის ვეძებ, –
ღმერთია თვითონ
დროცა და სივრცეც...

ვერავინ იტყვის რას გვიმზადებს ეს ახალი საუკუნე და მითუმეტეს, ახალი ათასწლეული, მაგრამ ამის თქმა კი შეგვიძლია და ვალდებულნიც ვართ ვთქვათ: ჩვენზე რაც არის დამოკიდებული ამ წუთისოფლად, არაფერი უნდა დავზოგოთ, რათა აღსრულდეს „განაზრახი და საწადელი“ ჩვენდამი დავით აღმაშენებელის გზავნილისა...

ძველ ქართულში „განაზრახი“ ერქვა იმას, რასაც დღეს ჩვენ პოლიტოლოგიაში „სტრატეგიით“ გამოვხატავთ და რაც დავით აღმაშენებელმა ჭაბუკობიდან „განაზრახი“ დაინახა, „ძლევაი საკვირველი“ რომ მოგვიტანა **„ქაჯეთის ციხის“** აღების მსგავსი...

ეს „განაზრახი“ ქართველებს მზამზარეულად გვაქვს. იგი ილიამ და მისმა თანამოაზრეებმა დაგვიტოვეს. ჩვენი ვალიც ისაა, რომ იგი – „ეს **„მართალი სამართალი“** საქმედ იქცეს...

ჩვენ და მსოფლიო:
გაერო-მკვდრად შობილი ორგანიზაციაა?!...

მაგრამ მანამდე უნდა გავერკვეთ – ამ ახალი „ქაჯეთის ციხის“ აღებაში დღეს ვინაა ჩვენი მოყვარე და მტერი... სხვანაირად გამარჯვების იმედი არ უნდა გვქონდეს დიდგორის „ძლევაი საკვირველის“ მსგავსი. ამისთვის კი, ჩვენს დღევანდელ დროებას უნდა ჩავწვდეთ. ეს დროება კი ბევრ კითხვას ბადებს:

ჩვენს თვალწინ გაერო სულ უფრო და უფრო კარგავს სიცოცხლისუნარიანობას. ეს „მსოფლიო პარლამენტი“ მართლაც რომ დღეს

მთლიანად „სალაყბოდ“ გადაიქცა, სადაც ჩადიან და სიტყვებს „ფუჭად“ ისვრიან, თვითონაც რომ არ სწამთ მისი ძალა და მნიშვნელობა...

ამის უმთავრესი მიზეზი „უშიშროების საბჭო“ და აქ დამკვიდრებული ეს მართლაც რომ – **„მსოფლიოს საფრთხობელა – ვეტოს უფლებაა“...** გაერთიანებული ერების ორგანიზაცია „ერთა ლიგასავით“ „მკვდარშობილად“ რომ არ გადაიქცეს, ცხადზე ცხადია, მას რეფორმირება სჭირდება...

აქაც უპრიანია ისტორიის გაკვეთილი გავიხსენოთ, გამოგვადგება მომავლის ორიენტირად:

პირველი მსოფლიო ომი დამთავრდა და მართლაც რომ – **„ომი დამთავრდა და გეშინოდეთ მშვიდობის“:** 20 – 30-იანი წლებმა ახალი ომის სამზადისში ჩაიარა და პირველ სისხლისმღვრელ ომს, მალევე მოჰყვა მასზე უარესი...

მაშინდელმა „მსოფლიო მამებმა“ თითქოს იგრძნეს ეს და ვერსალის ზავის შემდეგ, შექმნეს **„ერთა ლიგა“,** მაგრამ იგი სრული ფიქცია აღმოჩნდა – წინ ვერ აღუდგა ომის საფრთხეს. თუ გვინდა, რომ მართლაც, – „ისტორია ჩვენი დიდი მასწავლებელი“ გახდეს, ახლანდელმა თაობებმა მარტო სიტყვით კი არა, საქმით უნდა გავხადოთ მსოფლიო **საყოველთაო მშვიდობის ერთიან დემოკრატიულ სივრცედ.** მხოლოდ ეს გადაგვარჩენს ახალი, კიდევ დიდი ტრაგედიებისგან...

საქართველოს შეუძლია სხვა ქვეყნებთან ერთად, გამოვიდეს გაეროს რეფორმირების ინიციატორად. ამის მორალური უფლებაც გვაქვს, რამეთუ მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი ქართველი კაცია – იოსებ ჯუღაშვილი (სტალინი). სწორედ ის იყო მაშინ ამ „ვეტოს“ უფლების შემოღების უპირველესი ინიციატორი, ესეც არ იკმარა და კომუნისტური ჩინეთიც აღჭურვა „ვეტოთი“. ამდენად მოვალენი ვართ ჩვენ გავხდეთ მისი გაუქმების ერთ-ერთი ინიციატორიც...

ჩვენი ინიციატივის არსი აქ შეიძლება ასე დავასაბუთოთ და განხილვისათვის წარმოვადგინოთ:

მსოფლიო სულ უფრო ერთიანი ხდება. გლობალიზმი ეჭვი არაა, კიდევ უფრო ინტენსიურს გახდის ამ პროცესს... ამიტომ არ შეიძლება გაეროს დიდზე დიდი უმრავლესობა თავისებურ „მეორეხარისხოვან“ სახელმწიფოებად დარჩნენ...

„ვეტოს“ უფლების მონოპოლია ანომალიაა...

მსოფლიო ისტორიას ბევრი ანომალია ახსოვს, ბოლოს ყველას დიდი ტრაგედია და სისხლისღვრა რომ მოჰყვა. მაგრამ რაც დღეს ჩვენს თვალწინ ხდება გაეროს უშიშროების საბჭოს „ვეტოს“ სახით, ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვს: ერთ სახელმწიფოს შეუძლია 200 სახელმწიფოს ნება ფეხქვეშ გათელოს. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია...

„ერი და კაცობრიობის“ XV თავში მიხეილ წერეთელი წერს: **„მრავალფეროვნება კანონია ბუნებისა და სოციალურ ორგანიზმთა ცხოვრებაც მას ემორჩილება... უზენაესი საერთაშორისო ზნეობა და სამართალი – აი, რა უნდა იყოს ჩვენი გზის მაჩვენებელი, რომელიც მოაწესრიგებს მომავალში თავისუფალ ერთა კავშირს“.**

„ვეტო“ სწორედ რომ ამ უზნეობის და უსამართლობის სიმბოლოა დღეს. იგი „უშიშროების“ საქმეს კი არ ემსახურება, არამედ პირიქით – საშიშროების სამსახურშია. ამდენად გაეროს „უშიშროების საბჭოს“, სწორედ ეს სახელი – **„საშიშროების საბჭო“** უნდა დაერქვას. ათასი მაგალითია ამისა და თუ ახლანდელი გნებავთ, ეს სირიის ტრაგედიაა: ამ ბოლო წლებში რუსეთმა თექვსმეტჯერ დაადო „ვეტო“, ვიმეორებთ – **თექვსმეტჯერ** აქ საომარი მოქმედების შეწყვეტას, შექმნა საზღვაო და სახმელეთო სამხედრო ბაზები სირიის ტერიტორიაზე და მისი ფაქტიური ოკუპაცია მოახდინა, მილიონობით მსხვერპლი რომ შეიწირა და იწირავს დღესაც, გამკითხველი კი არავინ ჩანს...

მსოფლიო არასოდეს არ დაწყნარდება და გაეროც ვერასოდეს გახდება **„გაერთიანებული ერების ორგანიზაცია“,** სანამ რუსეთი თავის ნება-სურვილზე ათამაშებს „ვეტოს“ ამ თავის კოზირს და მუდამ დაუსჯელი რჩება რა ბოროტებაც არ უნდა ჩაიდინოს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში...

მალე საუკუნე გავა „ერთა ლიგის“ სამარცხვინო დასასრულისა და II მსოფლიო ომის დაწყებიდან და გაეროს „ვეტოს“ უფლება სულ უფრო და უფრო ანომალია ხდება: „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია“ იმიტომ ჰქვია, რომ მსოფლიოს 200 ერი და სახელმწიფო არ შეიძლება მუდმივად 5 სახელმწიფოს დიქტატს ემორჩილებოდეს, მითუმეტეს, როცა მისი რიგი წევრები ბოროტად სარგებლობენ ამით...

აქ გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას აშშ – ევროპის კოალიციამ: რუსეთის წინააღმდეგ სანქციები ერთიანი უნდა იყოს – ეს გაცილებით ეფექტური იქნება და მას ვერ გაუძლებს ეკონომიკურად გაღატაკებული, მაგრამ დღეს ასე გათავხედებული და საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან გამოსული რუსეთი...

გავიხსენოთ აქაც ისტორია: გაერო შეიქმნა II მსოფლიო ომში ანტიჰიტლერული კოალიციის გამარჯვების შედეგად. უდავო ფაქტია – საბჭოთა კავშირი ვერ გაიმარჯვებდა აშშ – ინგლის-საფრანგეთის გარეშე: **„ლენდლიზმა“** და ევროპაში **„მეორე ფრონტმა“** გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ გამარჯვებაში...

დღეს „რაშა თუ დეი“, „ეხო კავკაზა“ და იმპერიის „ჰიბრიდული ომის“ სხვა მესვეურები მსმენელებს ყურებს უჭედავენ იმის მტკიცებით, რომ ვითომცდა, **„მხოლოდ რუსეთმა გადაარჩინა კაცობრიობა ფაშიზმისაგან“.** არადა, თვითონ სტალინმა განაცხადა 1951 წლის აგვისტოში ლიკანში ყოფნისას: – „ჩემი პოლიტიკით რომ არ შემექმნა დასავლეთთან ანტიჰიტლერული კოალიცია,

„დამარცხება გარდუვალი იყო“ – ის განსაკუთრებით გამოყოფდა ამ მხრივ 1943 წლის თეირანის კონფერენციას...

დიახ, ბატონო „ჰიბრიდული ომის“ მსახურებო, ისტორიულადაც ხომ რუსეთს ევროპის გარეშე წინსვლა-განვითარება არ უწერია, მთელი ეს 300 წელი ამის დასტურია. II მსოფლიო ომშიც ამან გადაგარჩინათ; რატომ არ აღიარებთ ამას?!...

დღესაც თქვენ რომ სწორი სტრატეგიული ხედვა და პოლიტიკა გქონდეთ, ევროპა-ამერიკას კი არ უნდა უპირისპირდებოდეთ და ებრძოდეთ, არამედ სწორედ რომ პირიქით – მათთან ერთად უნდა ქმნიდეთ **„ახალ მსოფლიო წესრიგს“,** მათ შორის გაეროს სტრუქტურების ფარგლებშიც...

ჩვენ „ვეტოს“ უფლების მიმართებაში გვაქვს რამდენიმე კონკრეტული შეთავაზება, რაც ვფიქრობთ გაეროს რეფორმირების ჩარჩოებში ხელს შეუწყობს დღევანდელი მწვავე საერთაშორისო ურთიერთობის გაჯანსაღებას:

1. „ერთა ლიგის“ ბედი რომ არ ეწიოს, გაეროს დამფუძნებელმა სახელმწიფოებმა, რომლებიც დღეს მსოფლიოს დემოკრატიული განვითარების ლიდერებიც არიან – აშშ, ინგლისმა და საფრანგეთმა უნდა გამოიჩინონ ინიციატივა და **გაეროს გენერალურ ასამბლეაზე განსახილველად გამოიტანონ „ვეტოს“ გაუქმების, ანდა, მასში ცვლილების შეტანის საკითხი.**

2. ორივე შემთხვევაში, **გაუქმებაც** და **ცვლილებაც** უნდა დაეფუძნოს დემოკრატიის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს – არ შეიძლება გაეროს უმაღლესი ორგანო, ისე როგორც მისი „უშიშროების საბჭოს“ არამუდმივი წევრები მთლიანად იგნორირებული იყვნენ „ვეტოს“ მიღების პროცედურებისგან და მარტო სტატისტის როლში გვევლინებოდნენ: **ეს დემოკრატიზმის პრინციპი კი არა, მისი დაცინვაა...**

3. **„შვიდეულის“,** აგრეთვე, **„ოცეულის“** სახელმწიფოებმა უნდა ერთობლივად შექმნან გარკვეული სამუშაო ჯგუფი, გაეროს ამ დემოკრატიული რეფორმირების მოსამზადებლად.

4. „ვეტოს“ უფლების გაუქმების, ანდა, მასში ცვლილებების შეტანის მიზნით უნდა მოხდეს „უშიშროების საბჭოს“ არაწევრების რიცხვის გაზრდა 45–50-ის ფარგლებში კონტინენტების გარკვეული კვოტების გათვალისწინებით და „შვიდეული“ – „ოცეულის“ რეკომენდაციებით.

5. ვფირობთ, რომ გაეროს და უშიშროების საბჭოს ამ რეფორმირების წარმატებისთვის კარგი იქნება, თუ აშშ, ინგლისი და საფრანგეთი ცალმხრივად იტყვიან უარს „ვეტოს“ უფლებაზე და ამისკენ მოუწოდებენ რუსეთსაც და ჩინეთსაც...

6. კარგი იქნება აგრეთვე, თუ „უშიშროების საბჭოს“ არამუდმივი წევრები ასევე ცალმხრივად დატოვებენ მას და ამ გზით შეაჩერებენ თავიანთ მონაწილეობას მის მუშაობაში, სანამ ეს რეფორმირება არ განხორციელდება...

7. „ვეტოს“ უფლების დატოვების შემთხვევაში კი, მისი დაძლევის ორი ალტერნატიული საშუალებაა, როგორც ეს „ვეტოს“ სხვა შემთხვევებში ხდება ცივილიზირებულ ქვეყნებში, ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისა და პრეზიდენტის ურთიერთობაში. ეს მნიშვნელოვანი წინაღობა გახდება „ვეტოს“ უფლების მონოპოლიის გზაზე:

   ა) „ვეტო“ შეიძლება დაძლეული იქნას გაეროს გენერალური ანსამბლეის მიერ ხმების ორი მესამედით, ან,

   ბ) „უშიშროების საბჭოს“ მთელი შემადგენლობის, ასევე ხმების ორი მესამედით. ამ გზით დაიძლევა რეფორმირების ყველა წინააღმდეგობა...

აი, მაშინ გამოჩნდება ვის აქვს კეთილი ზრახვები და ვის არა მსოფლიოს მომავალი დემოკრატიული და მშვიდობიანი განვითარებისადმი...

კარგი იქნება, თუ საქართველოში აშშ, ინგლისისა და საფრანგეთის საელჩოები ჩაერთვებიან ჩვენი ამ ინიციატივის განხილვასა და რეალიზაციაში...

ილია და „ფედერალისტები“:
სვლა ეროვნულიდან ზოგად-კაცობრიულისკენ...

ამერიკელი ფედერალისტების – „მამა-პოლიგრიმების“ მსგავსად, ილია და ქართველი ფედერალისტებიც ახალი საქართველოს და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის იდეოლოგები და ფუძემდებლები არიან. ამასთან, მათ ღირსეულად გააგრძელეს და განავითარეს „1832 წლის შეთქმულების“ მემკვიდრეობა და „აქტი გონიურის“ ტრადიციები...

სოლომონ დოდაშვილის „სიტყვა–მოწოდება“ და „ლოგიკა“ ემსახურებოდა ამ მიზანს და დანიშნულებას, რომ, როგორც თვითონ წერდა, – **„რათა ევროპამან სცნას ივერია წერილთა სარწმუნოთა“.** სწორედ ეს დაისახეს მიზნად ილიამ და „ფედერალისტებმა“. ტყუილად ხომ არ შეარქვეს „ივერიის“ რედაქციაში ილიას ეს ზეწოდება – **„ევროპელი კაცი“...**

ეროვნულიდან ზოგად-კაცობრიულისკენ, – ეს მათი პოლიტიკური სტრატეგია იყო. ამ სტრატეგიას აღდგენა და განახლება უნდა...

მიხეილ წერეთელიც, ქართული ფედერალიზმის და 1921 წლის ქართული ემიგრაციის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელი, მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი მონოგრაფიაში – „ერი და კაცობრიობა“.

განსაკუთრებით შრომის IX, X და XI თავებში (გვ. 126–175), სწორედ მცირე ერების უფლებების დაცვის აუცილებლობას უსვავს ხაზს. მონოგრაფიის დასკვნით თავში – „იდეალი და პრაქტიკა“ კი, წერს:

„...დიდი სახელმწიფოები ერთა უფლებას ფეხქვეშ თელავენ, უარყოფენ მათ ინდივიდუალობას და თვით მათ არსებობასაც. იდეალურმა საერთაშორისო სამართალმა უნდა მოსპოს ეს, **უნდა აღიაროს ერის უფლება და არა მჩაგვრელი სახელმწიფოსი“** (ხაზგასმა მ.წერეთელის, გვ. 238). იქვე იგი იმ იდეასაც ანვითარებს, რომ კაცობრიობისა და ცივილიზაციის სამომავლო ბედი დამოკიდებულია იმაზე, შესძლებენ, თუ არა ამ „იდეალური საერთაშორისო სამართლის“ შექმნას და დამკვიდრებას...

„სსფპ“ დიდი უმრავლესობა მერე ემიგრაციაში წავიდა და იქიდან ცდილობდნენ ამ „საერთაშორისო სამართლით“ საბჭოთა იმპერიასთან ბრძოლას, მაგრამ „ერთა ლიგამ“ მათი იმედები ვერ გაამართლა... ამასობაში საბჭოთა იმპერია კი დაინგრა, მაგრამ მისი სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაცია აგრძელებს „ბოროტების იმპერიის“ ბოროტ ტრადიციებს... თბილისის კარიბჭესთან მისი საოკუპაციო ჯარის ყოფნა დღეს ამის დასტურია...

იქნებ ახლა მაინც, მიხეილ წერეთელის „იდეალური საერთაშორისო სამართლის“ ამ ასწლოვანმა იდეამ პრაქტიკული განხორციელება ჰპოვოს?!...

მისი „მართალი სამართლის“ იდეა გლობალიზმის ეპოქის დევიზი შეიძლება გახდეს...

აშშ 1999 წლის კანონი – „აბრეშუმის გზის სტრატეგია“ და ევრაზიური ინტეგრაცია...

ევრაზიური სუბკონტინენტი რომ მსოფლიო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი არეალია, ამას დიდი მტკიცება არ უნდა. ეს ისტორიულადაც ასე იყო და მითუმეტეს კი, თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში. ამიტომ სრულიად გასაგებია აშშ 1999 წლის კანონის –„აბრეშუმის გზის სტატეგია“, მოტივიც და მიზნებიც. იგი ბევრწილად განსაზღვრავს XXI საუკუნის მსოფლიო ვითარებას...

ესეც ელემენტარულია, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა პირდაპირ გვკარნახობს, თუ რა უნდა იყოს ჩვენი ეროვნული პოლიტიკის სტრატეგია ამ ახალ საუკუნესა და მომდევნო საუკუნეებშიც. სწორედ ეს კანონი გვაძლევს საშუალებას მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა ევრ-აზიურ სივრცეში...

სადაო არ უნდა იყოს, რომ გლობალიზმი, თუ მისი არეალის მიხედვით შეხედავს კაცი, იგი მნიშვნელოვანწილად ევრ-აზიური სუბ-კონტინენტით არის

შემოფარგლული, რაც ძველ „აბრეშუმის დიდ გზას“ გვაგონებს წყნარი ოკეანიდან ატლანტიკამდე. აღნიშნულ კანონში სწორედ ეს მომენტია დაფიქსირებული და კარგია, რომ დღეს ჩვენც ახალი აბრეშუმის გზის ამ სტრატეგიაშიც ვართ აქტიურად ჩართულნი...

მაგრამ აქაც ერთი პარადოქსი კვლავ – „აბრეშუმის გზის სტრატეგია“ მართლაც რომ დიდი სამომავლო მნიშვნელობისაა ჩვენთვის, მაგრამ თვითონ აბრეშუმი და ეს ჩვენი ისტორიულად ტრადიციული დარგი – მეაბრეშუმეობა სად დაგვეკარგა?!... როგორც ჩანს, ალბათ ისიც ამ „გარდამავალ – გაუგებარმა“ პერიოდმა შეიწირა ზვარაკად...

ამასთან დაკავშირებით მახსენდება აშშ ყოფილი დიპლომატის, ომისშემდგომ ამერიკაში საკმაოდ ცნობილი ბიზნესმენის **ავერილ ჰარიმანის** სტუმრობა საქართველოში. მაშინ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირი არსებობდა და მოსკოვიდან მოვიდა მითითება, რომ კარგად მიეღოთ და გამასპინძლებოდნენ მას და მაშინდელმა საქართველოს მმართველმა მჟავანაძემ მართლაც ჩვენებური სტუმართმოყვარეობით მიიღო იგი. ჰარიმანს ადრეც ჰქონდა საქართველო ნახული და ეტყობა მაშინ ჩაესახა იდეა შეექმნა თავისებური ტურისტული ინდუსტრია აფხაზეთი – სვანეთი – სამეგრელო – სამურზაყანოს ლოკალში: – მეორე შვეიცარიას შევქმნი აქ და უფრო უკეთესს, შვეიცარიას ზღვა და პლიაჟები არა აქვს, აქ კი ესეც არის, თან რიწის ტბაც, სვანეთის ულამაზესი მთები, სამეგრელო – სამურზაყანოს გაშლილი ველები, – ნამდვილი ამქვეყნიური სამოთხეა ეს ყველაფერიო...

მჟავანაძეს თავის მხრივ შეუთავაზებია აღმოსავლეთ საქართველოშიც ბიზნესი, – არანაკლები ხელსაყრელი პირობებია წარმატებული ბიზნესისთვისო და რაკი თვითონაც უყვარდა ნადირობა, სამონადირეო ტურიზმისთვის აღმოსავლეთ საქართველოში საუკეთესო პირობებიაო...

ალაზნის ველს და ივრისპირეთს რომ ვერტმფრენით შემოუფრინეს აღტაცებული დარჩა – ასეთი სილამაზე და სიმდიდრე არ მინახავს, მსოფლიოში უნიკალური ადგილია, ჩვენი დენვერის ველი ამასთან ვერ მოვა და სამონადირეო ტურიზმი კი არა, აქ დიდი სამეურნეო ინდუსტრიაც შეიძლება განვითარდეს, მილიონების და მილიარდების მოგებას რომ მოგვცემსო...

როცა ივრისპირეთის ხილი და ბოსტნეული გასინჯა, ეს აზრი კიდევ უფრო განუმტკიცდა... განსაკუთრებით გაშლილ სუფრაზე ლოქო, „ჩახოხბილი“, ზაქის მწვადები და ხაშლამა რომ დააგემოვნა, აქ ყველა ფულიან ამერიკელს ჩამოვიყვან და ბიზნესიც ეჭვი არაა, ძალიან წარმატებული იქნებაო...

მაგრამ ყველა მისი გეგმები აფხაზეთშიც და კახეთშიც მოსკოვმა მაშინ ჩაშალა... ამერიკაში კი ჰარიმანს ეს იდეა არ ავიწყდებოდა და იქიდან ორი კარგი სპეციალისტი გამოგზავნა სამუშაო პროექტის შესადგენად როგორც აფხაზეთი – სვანეთი – სამეგრელო – სამურზაყანოს, ისე ალაზნის ველი – ივრისპირეთის

მიმართულებით. მაშინ მე თსუ დამთავრებული მქონდა და საშუალება მომეცა მეც მიმეღო მონაწილეობა ამ საქმეში. იმ დროს ჩაისახა კახეთის რკინიგზის შირაქის გავლით აზერბაიჯანის რკინიგზასთან შეერთების იდეაც...

აქვე გაჩნდა აზერბაიჯანთან ერთად ალაზნის ველის გარშემო **„სარკინიგზო ელიფსის“** ტურისტული მარშრუტის დიდი იდეაც, რაც ამერიკელი სპეციალისტების აზრით არანაკლებ შემოსავლიანი იქნება, ვიდრე სამონადირეო ტურიზმი. მათ იქვე სქემატურად დახაზეს ეს **„რკინიგზის ელიფსი“,** და რითაც საქართველო-აზერბაიჯანის გარდა, ისარგებლებს მილიონობით ტურისტი...

– ეს ხომ უნიკალური ველია, ჩვენ ორივე წარმოშობით დენვერის ველიდან ვართ და ალაზნის ველთან ის ვერ მოვა, ისე როგორც ნებისმიერი ველი: ასეთი ლამაზი ველი გაჩუქათ ღმერთმა და არ გამოიყენოთ, დიდი შეცდომა იქნება...

საბედნიეროდ, ეს მასალები მათგან დავაქსეროქსე და ისინი შემოვინახე თსუ სიღნაღის ფილიალში იმის იმედით, რომ ერთხელაც იქნება მათი განხორციელების დრო დადგებოდა...

„სისხლიანი XX საუკუნე“:
მისი ნაკვალევი მომდევნო საუკუნესაც გადმოჰყვა...

როცა ცენზურა მძვინვარებს, სიმართლე ხშირად მემუარული ლიტერატურით იკვლევს გზას. ასე იყო XIX საუკუნეშიც და უფრო მეტად კი – მომდევნოში, როცა საბჭოთა იმპერიაში მას **„თვითცენზურაც“** დაემატა...

გრიგოლ რობაქიძის „მოგონებათა ბარდული“ ორივესაგან თავისუფალი იყო და მკვლევარისთვის მეტად ფასეულია ამ მხრივაც დღეს... დიდი ნაწილი მისი მოგონებებიდან მიხაკო წერეთელს აქვს დათმობილი, რამდენადაც ბავშვობიდან ერთად მოდიოდნენ ქუთაისიდან მოყოლებული ემიგრაციის ჩათვლით...

„მიხაკოს ნიჭიერება მთელს ქუთაისში იყო ხმაგავარდნილი, შემდგომ იგი ქუთაისში აღარ მინახავს, ხოლო ჩემს ოცნებაში ცოცხალი დარჩა“. მერე იგი მისებური სტილით ასე აგრძელებს თხრობას გარდასულ წელთა:

„ოცნებაში ცოცხალი დარჩა“, ეს რომ „ნამდვილად“ გაიგოს მკითხველმა, საჭიროა ყურად იღოს ქვემორე“...

და ამ „ქვემორეში“ იმდენ რამეს გვიყვება ქუთაისურ-თბილისური პერიოდიდან, თუ მერე, ბერლინურ–ჟენევურიდან, სადაც ისინი ერთად ცხოვრობდნენ, რომ დაინტერესებული მკითხველი ზუსტად წარმოიდგენს მიხეილ წერეთელის, როგორც კაცის და ამასთან, დიდი მეცნიერის სახეს – ორივემ ხომ, ღრმა სიბერემდე მიაღწიეს ამ თანაცხოვრებით...

ჩვენთვის საინტერესოა მისი დაკვირვება და მოგონებები „ერი და კაცობრიობის“ ავტორის თვალსაზრისით, რამეთუ აქ მიხეილ წერეთელმა ორგანულად გადააბა – დააკავშირა და გააერთიანა ეროვნული კაცობრიულთან. ეს მისი „დიდი მეცნიერობაც“ ამაშია საძიებელი:

„ეხლა მიხეილი ბავარიაში იმყოფება, სადღაც ზის ალბათ ოთახში, ვითარ განდეგილი სენაკში...

სადღაა ის შეხვედრანი? სადღაა ის ხალისი? ზის განმარტოებული და დუმს... იღვენთება წარსულში, აგონდება საყვარელი ვაჟი, ერთადერთი შვილი, ომის ორომტრიალში უკვალოდ დაკარგული, ხმაური მოესმის – კარებისკენ მოაქცევს თვალს, გული ამოვარდნას აპირებს – ვინ იცის, ეგებ ძველებურად შემოანათოს ოთარმა – არავინაა, სულში ფართოვდება სიცარიელე: „ვაიმე შვილო!“ – აღმოხდება საცოდავ მამას, იწმენდს ცრემლებს...

შემდეგ მაგიდას მიმართავს, იქ ჟურნალი დევს ასიროლოგიისა. ფურცლავს მჭკნარი თითებით. კითხულობს. გადადის ნელ-ნელა ათასწლეებში. ალაგ-ალაგ სუმერული სიტყვა ამოყოფს თავს – სიტყვაში ციალობს ცინცხალი ფესვი ქართულისა...

გულდათუთქული იფესვება „ქართლის ცხოვრებაში“. შეუდგება ტექსტს „ჟამთაღმწერლისას“... მამულის ფესვებიდან ამოდის, ვითარ ახლადშობილი...

ქართველნი გულმავიწყნი ვართ... ვინაიდან მზიური ჯიშისა („გულმავიწყობა“ არც ისე დასაძრახია: ეს რომ არ გვქონოდა, შესაძლოა ვერც გადაგვეტანა ამდენი უბედობა, საუკუნეებში თავსდატეხილი!). „მავიწყია“ ქართველის გული... (ტყუილა კი არ მოეპოვებათ ქართველთ მათს გენიალურ სიტყვაში ეს უგენიალური სიტყვა – „გული“. როგორ ვადარო მას ლათინური, გერმანული, ან, რუსული სიტყვანი). ხოლო ამ გულს ერთი ნაპერწკალი თუ მოხვდა მეორე გულის ცეცხლიდან, – მაშინ არცერთ გულს ქვეყანაზე არ ძალუძს გადაეხსნას სხვა გულს გასახარად და გასახარებლად... სიტყვა შესაძლოა საჭიროც აღარ იქნეს – გული უმართლესი სიტყვაა თვითონ“.

მიხეილ წერეთელი და „ბედი ქართლისა“...

1957 წელი. პარიზი. ჟურნალი „ბედი ქართლისა“, მისი 24-ე და 25-ე ნომრები. მიხეილ წერეთელის სტატიები მიძღვნილი ილიას მკვლელობის 50 წლისთავისადმი. ანალიზი ამ განვლილი 50 წლისა და ამასთან, ომისშემდგომი მომავლისაც, **„ცივი ომით“** რომ შევიდა კაცობრიობის ისტორიაში...

„ილია დაეცა იმ ბრძოლაში, რომელიც წარმოებდა ეროვნულ იდეოლოგიასა და მარქსიზმს შორის... ამ ბრძოლამ იმსხვერპლა საქართველოს დიდი წინასწარმეტყველი“...

მთელი ეს ვრცელი სტატია კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგაა მიმართული. კაცობრიობის მომავალი ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იქნება დაძლეული ეს „სენი“ რომელიც **„ეროვნულობის ჩაკვლისაკენ არის მიმართული“**. აქ მას „საერთო ნიადაგის“ თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი მოჰყავს – ეროვნული, რეგიონალური და გლობალური ძალების გაერთიანება ამ „სენის“ დასაძლევად. ამით იგი კიდევ ერთხელ ხაზს უსვავს „საერთო ნიადაგის“ იდეა-თეორიის უნივერსალურ ხასიათს ომისშემდგომი ევროპის გაერთიანების ფონზე...

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ „ფედერალისტები“ აქტიურად ჩაერთვნენ ევროპისა და მსოფლიოს ინტეგრაციულ პროცესებში, რითაც თავისი წვლილი შეიტანეს „ევროკავშირისა“ და „ნატოს“ ფორმირებაში. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ გენერალი ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი გახდა ამ უკანასკნელის არა მარტო უბრალო მონაწილე, არამედ მისი გაერთიანებული სამხედრო შტაბის ხელმძღვანელიც. ქართველმა როგორც იტყვიან, „აქაც ამოყო თავი“...

ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორიის აქტუალობა და ცხოველმყოფელობა დღეს სწორედ იმითაც უნდა შეფასდეს, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში იგი კიდევ ერთხელ ხაზს უსვავს მის დიდ რეგიონალურ და გლობალურ მნიშვნელობას. ეს კიდევ უფრო მეტად გვავალებს ხელი მოვკიდოთ მის გამოყენებით – პოლიტოლოგიურ კვლევას. ეს ჩვენ საშუალებას მოგვცემს ჩვენი სიტყვა ვთქვათ არა მარტო ისტორიის, არამედ დღევანდელობისა და მომავლის თვალსაზრისითაც – ისტორია ხომ, ჩვენით არ მთავრდება...

და ესეც მისეული გააზრება რუსეთის იმპერიის მომავალი ბედისა, რომელიც ასე აქტუალურია დღესაც: რუსეთის ერთადერთი ხსნა მედასავლეთეობა – „ზაპადნიკობაა“...

ღმერთმა ქნას, რომ იმპერიის დღევანდელი იდეოლოგები ბოლოს და ბოლოს ჩასწვდნენ ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას...

კვლავ ლიკანი და „ხვლიკის თავი“...

ადრეც ითქვა: 1951 წლის აგვისტოს ლიკანში ბევრი რამ ითქვა, დღესაც რომ ფასეულია ჩვენთვის, მათ შორის სტალინის ამ რობაქიძისეული **„პრეისტორიული გაქვავებული ხვლიკის თავის“** გახსენება ურარტუს ისტორიასთან დაკავშირებით. ამის შესახებ საინტერესო მოგონება დაგვიტოვა ვალერიან დათუკიშვილმა და მასზე უფრო ადრე კი, აკაკი ვასაძემ. ეს უკანასკნელი წერს:

„პეტრე შარიამ სტალინს ურარტუს შესახებ შეკითხვა მისცა: ხომ არ იქნებოდა საჭირო, რომ აკადემიკოს ორბელის მიერ ზოგიერთ მცდარი მოსაზრების წინააღმდეგ ქართველმა მეცნიერებმა პასუხი გასცენ?

– რატომაც არა, კამათი მეცნიერების საქმეა და ღიმილით დასძინა: მიხაკო წერეთელს წააკითხეთ ლექციები და ორბელისთვის ყველაფერი ცხადი გახდება...

– ვისა ამხანაგო სტალინ?...

– მიხაკო წერეთელს, რა, არ გაგიგონიათ ვინ არის იგი...

– რომ გაგვიგონია, იმიტომ გაგვიკვირდა – ის ხომ ფაშისტია და აქ როგორ ჩამოვიყვანოთ?...

სტალინმა ხელი ჩაიქნია, – მაგის ფაშისტობის ვიღას ეშინია... ფაშისტო რომ არ ყოფილიყო, ვინ მიასუნინებდა გერმანიის უნივერსიტეტებსა და არქივებში“...

მიხეილ წერეთელის საქართველოში დაბრუნების საკითხი მართლაც დადგა, მაგრამ „ხვლიკის თავის“ სიკვდილმა ჩაშალა და ასე მიტოვებული მარტოსული გარდაიცვალა 1965 წელს მიუნხენში. აქ გვინდა გავიხსენოთ ერთი მომენტი მისი ცხოვრებიდან და მემკვიდრეობიდან:

„ერი და კაცობრიობა“ – წარსულიდან მომავლისკენ...

მონოგრაფიის წინასიტყვაობაში, რომელიც თავისებური გზამკვლევია მთელი ამ 300 გვერდიანი შრომისა, მიხაკო წერეთელი წერს:

„ქართველი, რომელიც ყოვლის მხრით შებოჭვილია და ეროვნული სიცოცხლით არ სცხოვრობს, რასაკვირველია სხვაგან ეძებს თავისი რწმენის დაკმაყოფილებას... მისი აღზრდა რუსულია, ე.ი. უცხოა, რომელიც არათუ აკავშირებს მას ეროვნულ წარსულთან და კულტურასთან, არამედ სრულიად უწყვეტს მასთან დამაკავშირებელ ძაფებს“...

და ამ საკმაოდ ვრცელი წინასიტყვაობის დასასრულს ავტორი ასეთ დაკვირვებასა და ანალიზს გვთავაზობს:

„კაი ხნის ანარქისტი ვიყავი, როცა პარიზში და ჟენევაში თვალ-ყურს ვადევნებდი სოციალ-დემოკრატიულ სოციალიზმს... მან ვერ მიმიზიდა, რადგან ჩემი იდეალი უფრო მაღალი იყო და ანარქიზმი უფრო მაკმაყოფილებდა. მახსოვს ერთხელ გაზეთისთვის ფრანგულად ერთი წერილი დავწერე ასეთი შინაარსისა: ანარქიზმი საყოველთაო თავისუფლებისა და თანასწორობის მოძღვრებაა, რომელიც უარჰყოფს ყოველგვარს მონობას, ყოველგვარს ავტორიტეტს და ერის უფლებაც უნდა აღიაროს – ეროვნული მოძრაობა სახელმწიფოთა წინააღმდეგია და ამით მაინც ეთანხმება ანარქიზმს – მეთქი, არ დაბეჭდეს...

იმ რედაქტორმა აბა, გამოსცადოს, რითაც მე ვიტანჯები... როდესაც ერი დამონებულია, პიროვნებაც ილახება, შეურაცხყოფილია მისი სულიერი არსება...

მხოლოდ ვარლამ ჩერქეზიშვილმა, ერთადერთმა ანარქისტმა და სოციალისტმა ამიხილა თვალი, ვისაც ვუძღვნი ამ შრომას, როგორც ძვირფას მასწავლებელს“.

„ერი და კაცობრიობა“ თავიდან ბოლომდე **„ეროვნული სოციალიზმის“** დასაბუთებაა, მაგრამ კონკრეტულად ეს იდეა – თეორია გადმოცემულია მეცხრე თავში – „სოციალიზმი, ერი და კაცობრიობა“, მისთვის ერთფეროვანი კაცობრიობა **„უდაბნოა“,** მრავალფეროვნება კი, ბუნებრივი მოვლენა და სიცოცხლე და განვითარება. ერის უკვდავება კი, მისი ბუნებრივად და ისტორიულად მომდინარე ფსიქო-გენეტიკური კოდია. მოჰყავს ათასი მაგალითები, ილიას „უცხო ბაძის“ მაშინდელ თუ დღევანდელ მიმდევრებს ამხელს როგორც ერის მოსპობისა და გადაშენების მოსურნეებს...

ყველა ერს თავისი მეობა აქვს, თავისი თვითმყოფადობა, თავისი სოციალიზმი – სოციალური წესრიგი. მარქსისტული ერთიანი სოციალისტური მსოფლიო ხალხის მოტყუება და ილუზიაა, „წამბაძველობის წაქეზებაა“...

„იაპონია პირველი მაჩვენებელია იმისა, თუ როგორ მოქმედებს ერზედ წამბაძველობა. არასდროს არ განუმტკიცებია თავისი ინდივიდუალობა ისე ძლიერად, განცდილ წამბაძველობის შემდეგ. მან მთელი ევროპული კულტურა შეითვისა წამბაძველობით, მაგრამ ძლიერ ერად გადაიქცა... და რუსეთიც კი დაამარცხა“.

– კოსმოპოლიტიზმს მომავალი არა აქვს – ეს მისი რწმენა და ამოსავალი დებულებაა...“ აგრეთვე ერთი ენის შექმნა უტოპიაა.., მრავალფეროვნება სიცოცხლეა და ერთფეროვნება სიკვდილი“. მაშინდელი დიდი იდეა **„ფონდი კაცობრიობისა“**, მისი და ანარქისტი – ფედერალისტების გააზრებით უნდა შეიქმნას მომავალი მრავალფეროვანი და მრავალეროვანი მსოფლიოს ასაშენებლად. აი, მეცნიერების ნამდვილი იდეალი მომავლის ორიენტირების კვლავა-ძიებისათვის გლობალიზმის ჟამს, რომელიც მან ჯერ კიდევ 1910 წელს თქვა...

„მეცნიერების გასარწმუნოება და სარწმუნოების გამეცნიერება“: კვლავ პეტრე იბერთან შეხმიანება...

ადრეც ითქვა – ქართველი ერის ისტორიული და ფსიქო-გენეტიკური ფესვები ათასწლეულების იქითაა საძიებელი. ამას მიღმური, ანუ, ალოგიკური აზროვნება სჭირდება და თუ ჰეგელს ვენდობით, მისი „აბსოლუტური სულის“, ანუ, ღმერთის შეცნობაში ქართველ ერს თავისი მისია აკისრია...

არ ვიცით საიდან გაუჩნდა მას ეს აზრი, მაგრამ პეტრე იბერის პიროვნებას როცა ვეხებით, ძალაუნებურად ჰეგელის ეს დედამიწაზე ადამიანის მიერ „აბსოლუტური სულის თვითშემეცნების“ იდეა გვახსენდება. ეს ამასთან, კაცობრიობის განვითარების და „საერთო ნიადაგის“ თეორიის მეთოდოლოგიაცაა, რომელიც ილიამ ასეთი ფორმულირებით დაგვიტოვა.

„დაპირისპირებული ძალების ბედნიერი მორიგება ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად“.

თავისი არსით ეს ეხმიანება აგრეთვე, თანამედროვეობის დიდი მეცნიერის, ნობელიანტი – ფიზიკოსის ნილს ბორის თეზა-შეგონებას, რომელიც მან სახსოვრად დაგვიტოვა ქართველობას 1961 წელს საქართველოში სტუმრობისას. ლათინურ ენაზე დაწერილი ეს ტექსტი დღესაც ინახება თსუ ფიზიკის დიდ აუდიტორიაში:

„დაპირისპირებულნი ურთიერთგამომრიცხავნი კი არა, ურთიერთ–შემავსებელნი არიან!“

დიახ, ჩვენს ირგვლივ არსებულ უკიდეგანო სამყაროთა უთვალავი დაპირისპირებაა მზის სისტემიდან დაწყებული, ათასი სხვა „მზის“ სისტემით დამთავრებული. თვითონ ჩვენი საზოგადოებაც, ბუნება, რაშიც ვცხოვრობთ და საკუთარი აზროვნება, რითაც ვაზროვნებთ და ვმოქმედებთ, ასეთი დაპირისპირებების ერთობაა და თუ ვერ შევძლებთ მათ „ბედნიერ მორიგებას“, გამანადგურებელი შედეგების მსხვერპლნი აღმოვჩნდებით ყველა...

ნილს ბორი დაბადებულიც არ იყო, როცა ეს ზოგად-ფილოსოფიური და სოციოლოგიური იდეა ილიამ ასე გადმოგვცა გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვაში:

„ქვეყანა ბატონებო, სავსეა ხილულითა და არახილულითა ადამიანის სულიერი და ხორციელი თვალისთვის. ბუნება ადამიანისა იმისთანაა, რომ სულთასწრაფვა ჩვენი ერთსაც ეტანება და მეორესაც საცნაურად...

ამ ორ სამფლობელოთა შორის შემაერთებელ ხიდსა სწნავს მარტო სიბრძნე, რომელიც ასე იშვიათია ამ წუთისოფელში... და რომელიც ჩემის ფიქრით, სხვა არა არის-რა, გარდა მეცნიერებისა და სარწმუნოების ერთმანეთში ბედნიერად მორიგებისა ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად“.

ილია ამ სიტყვაშიც და ბევრგან სხვაგანაც ანვითარებს იმ დიდ იდეასაც, რომელიც ვფიქრობთ, სამომავლო გზის სანათად გამოადგება კაცობრიობას, თუ მას უნდა კეთილი გზა ჰქონდეს ასე მომრავლებულ და მოძალებულ ბოროტებათა დასაძლევად, რაც ასე ორგანულად ეხმიანება პეტრე იბერის პალესტინურ მშვიდობისა და ერთობის ქადაგებებსაც:

„მეცნიერების გასარწმუნოება და სარწმუნოების გამეცნიერება“ – ასე ლაკონურად გამოხატა ილიამ მსოფლიო განვითარების სტრატეგიული ხედვა.

ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული დღემდე, მეცნიერებისა და სარწმუნოების ასეთი გამთლიანება ოცნებად დაჰყვა კაცობრიობას. ნეო-პლატონიზმის იდეებზე შექმნილ რუსთაველის პოემაშიც ხომ, ხშირად ვხვდებით ამას, ისე როგორც პლატონის „იდეების სამყაროს“ პეტრე იბერის ქადაგებებშიც...

გლობალიზმის ერთ-ერთი დიდი ამოცანაც მეცნიერების და სარწმუნოების ისეთი გამთლიანებაა, რაც კაცობრიობის მშვიდობიანი და სტაბილური განვითარების საფუძველთა საფუძველია. **ვფიქრობ, ღირს ილიას ამ სირძნე-შეგონებაზეც ფიქრი დღეს:**

„რომელმან შექმნა სამყარო“:
ფიქრები სამყაროსა და მის შემოქმედზე...

ვინ იცის, იქნებდა, ჭეშმარიტებას გვაზიაროს ამ ფიქრმა უზნეობა მოძალებულ ამ ჩვენს გლობალიზმის ეპოქაში, სოდომის ცოდვა რომ თანდათანობით საერთო – საკაცობრიო ცოდვად იქცა: ერთიანად გაშიშვლდა ადამიანი ფიზიკურადაც, სულიერად და ზნეობრივადაც... გაშიშვლებისაკენ მიდის დედამიწაც ფლორიანად და ფაუნიანად, სკნელიან–ქვესკნელიან–ზესკნელიანად... ადამის მოდგმას აქედანვე მართებს ამ ფიქრზე ფიქრი. ხვალ და ზეგ ეს შეიძლება აღარც დაგვჭირდეს სულიერ–ხორციელად განძარცულებს ...

ადამიანი – დედამიწის ეს მეტამორფოზა პოეტურად ასე გავიაზრე:

ცოდვებით დამძიმდა,
ცოდვათგან გაბრწყინდა
ეს ჩვენი დედამიწა...
სკნელი–ქვესკნელი – ზესკნელი
დედინაცვლად იქცა...
ცოდვათა მორევით,
განდგომით ღვთისგან,
დედამიწა ჩვენი
დედინაცვლად იქცა...

ადამიანი გადაეჩვია ღმერთზე ფიქრს. სულ პირველი ადამიანი კი, – მნიშვნელობა არა აქვს ზღვიდან, ან, ტყიდან გამოსული დარვინის ევოლუციის ნაშიერი იყო იგი, თუ სამყაროს რომელიღაც X პლანეტიდან ციდან მოსული, ღმერთზე ფიქრში ატარებდა თავის წუთისოფელს. მერე, რაკი ეტლზე წამოსკუპდა, ცხენით, ჯორით თუ აქლემით გაიჯირითა, მთლად გადაეჩვია ღმერთზე ფიქრს...

რენესანსმა ხომ ადამიანი მთლად გადარია, ლამის ღმერთად წარმოიდგინა თავი, სამყაროს შემომქმედად, რაკიღა ამ სამყაროს რაღაც **„კანონებს“** ჩასწვდა, გაამპარტავანდა, ყოვლისშემძლედ იგრძნო თავი დედა–ბუნების ამ უძღებმა შვილმა... ახალი საუკუნეების მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებმა ხომ,

მთლად მედიდური და ამპარტავანი გახადა. **„ქუდი გვერდზე მოგიგდია, ამპარტავანსა ჰგავხარო“**, ალბათ ამაზეც ითქმის...

ერთი სიტყვით, ჩვენი ეპოქის საყოველთაო კანონი და დევიზი გახდა: **მეცნიერება, ტექნიკა – ტექნოლოგიები და ყოფიერება წინ, ზნეობა და სულიერება უკან. გლობალიზმი მათ შორის დისტანციას კიდევ უფრო ზრდის. ამ მხრივ XXI საუკუნე ალბათ, ყველა წინა რეკორდებს მოხსნის. როგორც ჩანს, კაცისა და კაცობრიობის „პროგრესიც“ ესაა...**

ადრეც ვახსენეთ ილიას სტატია – **„მეცხრამეტე საუკუნე“**, ილიამ აქ „პროგრესის“ ამ ფენომენსაც გაუსვა ხაზი: 1899 წლის 31 დეკემბერს დაწერილ ამ სტატიაში იგი ჩამოთვლის **„საუკუნის სასწაულებს“**, მაგრამ ბოლოს კი, ასეთ რიტორიკულ კითხვას სვამს – **„მაგრამ დღეს უფრო ბედნიერი კაცი თუ არა?“** და იქვე მისებური ლაკონური პასუხიც – **„არა გვგონია!“...**

არ დაგვავიწყდეს, ეს ხომ, ის დროა, როცა ალბერტ აინშტაინს ჯერ კიდევ ახალი სასწაულები არ ჰქონდა აღმოჩენილი თავისი „ფარდობითობის თეორიით“, მთლიანად რომ გარდაქმნა კაცობრიობის ცხოვრება XX საუკუნეში. ამ თემაზე მეც მიფიქრია და ეს ნაფიქრ–ნაწერიც მინდა შემოგთავაზოთ აქ:

ალბერტ აინშტაინს...

„ჩვენ წარმავალნი ვართ,
და გეთანხმებით, –
დრო ჩვენთვის ფარდობითია,
მიუწვდომელიც...

მაგრამ ესეცაა, ბატონი ალბერტ, –
რატომ ვფიქრობთ და რატომ ვზომავთ
ყოველივეს ჩვენი საზომით?
რა პასუხი გაქვთ, რად ხდება ასე:

სადაც ჩვენ არ ვართ ჩვენი საზომით,
და აბსოლუტი ყოველივეს მბრძანებელია,
იქ ჩვენ გათვლებს ფასი არა აქვთ...
– **რად ხდება ასე?**
– **რაშია საქმე,**
ბატონო ალბერტ?!

დღეს მითუმეტეს – სად სცალია XXI საუკუნის ადამიანს ღმერთზე ფიქრისთვის: ცათამბჯენებში და ზღაპრულ ვილებში გამომწყვდეული ისე გაივლის თავის წილხვედრ წუთისოფელს, შეიძლება ერთხელაც არ ახედოს მაღლა ცას... მეტი საქმე არა აქვს, თავის პრობლემებზეც ეყოფა ფიქრი, როგორ მოიპოვოს თავისი ადგილი ცის ქვეშ, ძალაუფლება, გავლენა, სიმდიდრე, სხვებზე მეტი მილიონები, მილიარდები...

და გაუჩნდა ამბიცია, დიდი ამბიცია, ჯერ არნახული და არგაგონილი ამბიცია მესამე ათასწლეულის გარიჟრაჟის ადამიანს – დაეუფლოს ყველას და ყველაფერს არათუ თუ აქ, დედამიწაზე, მის სკნელზე, ქვესკნელზე და ზესკნელზე, არამედ ახლო–მახლო ცის კაბადონზე, სადაც კი ხელი მიუწვდება, მთვარეზე, მარსზე, იუპიტერზე...

ეს ახლა და ვინ იცის რა მოუვა თავში ხვალ და ზეგ... რა დროს შემომქმედზე ფიქრია ახლა. რისი ღმერთი, რისი რუსთაველური **„სამყაროს შემომქმედი“** – მე ვარ თვითონ ღმერთიც და შემომქმედიც...

ქართული აზრიც რა გამონაკლისია და ჩვენც აღარ გვახსოვს და აღარც ვფიქრობთ შემომქმედზე, ისე როგორც ამას თუნდაც ამ 1000 წლის წინ ვაკეთებდით ნაადრევი ქართული რენესანსის ჟამს. დავაკვირდეთ თუნდაც ქართულ მწერლობას: აგიოგრაფიული მწერლობისა და რუსთაველის შემდეგ, აქ ღმერთის ნაცვლად, **„ვარდ–ბულბულიანისა“ და „სადღეგრძელოს“** თემა გაბატონდა...

ამ შემთხვევაშიც ილია ჭავჭავაძე უნდა ჩაითვალოს ღმერთისაკენ ქართული აზრის შემობრუნების ნიშანსვეტად. ეს თემა დომინირებს მასთან ჭაბუკობიდან: ცნობიერების გაღვიძებისთანავე ხომ, მან თვალი და გული ზეცას მიაპყრო, იქ ეძიებდა თავისი სიცოცხლისა და ცხოვრების საზრისს:

„ციურნი ხმები–
ეგ საკვირველნი,
როს მომესმიან
მსწრაფლ მომითხრობენ
საიდან რბიან
და სად სცხოვრობენ,
მიგალობებენ...
მეც ქვეყნის ხმითა,
ხმით ცოდვილითა
მათ ვაძლევ ბანსა
და შევჭვრეტ ცასა...
ციურნო ხმებო,
ოჰ, საკვირველნო“...

დიახ, ამ „საკვირველნი ციური ხმების“ არდავიწყება, მუდმივი ხსოვნა იმისა, თუ **„საიდან რბიან“**, დღესაც გვევალება კაცთა მოდგმას, რამეთუ სხვანაირად სიკეთის გზა არ მოგვეცემა შემოქმედისაგან ბოროტებაზე გასამარჯვებლად. ილიას პოეტური აღქმის არსიც ესაა აქ...

ბოროტება კი, კვლავ ზეობს ირგვლივ – 300 წლოვანი „ბოროტების იმპერია“ ნათელი მაგალითია ამისა, **ბიბლიურ „ჩრდილოეთის გოგი–მაგოგის“** ბოროტ სულს რომ გვაგონებს დღეს...

ბოლოთქმა:

– რა დაგიშავეთ?!...

– რა დაგიშავეთ?!... ეს ილიას პათეტიკური შეძახილია, გაჟღერებული აკაკის მიერ მის ცხედართან გამომშვიდობებისას:

„დღეს უკუღმართად მოკლული წევს კუბოში ჩვენს წინ და თითქოს გვეკითხება: რა დაგიშავეთ, რომ ეს დღე დამაყენეთ?!“

სამწუხაროდ, ეს კითხვა ჩვენც გვეხება დღეს, რამეთუ ახლაც, **„ჩვენი თავის ჩვენად ყუდნებისას“,** ბევრისთვის ილია უსარგებლო და ზედმეტი ბარგია. გავიხსენოთ თუნდაც, რა **„დიდებულად“** აღნიშნეს 2007 წლის 7–8 ნოემბერს ე.წ. „ნაციონალებმა“ ილიას დაბადების 170 წლისთავის იუბილე! თვითმხილება მეტი რაღა გინდათ ამ ნეობოლშევიკი დემაგოგებისა, თვით სიტყვა – „ნაციონალი“ რომ შეგვაძულეს ქართველებს...

ამიტომაც არიან გასაყარნი ქართული პოლიტიკიდან თავიანთი ანომალია – სიგიჟეებით, **„მეხუთე კოლონად“** რომ ჩამოყალიბდნენ და აკაკისა არ იყოს, ესენიც დღეს **„საქართველოს სიკვდილის მოსურნენი“** გახდნენ...

ამიტომაც სიმბოლურად ჟღერს აკაკის შეგონება დღეს იმავე სიტყვიდან, ილიას რომ მიმართა მაშინ:

„თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ მასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინ უსწარ მის სიკვდილს“.

თუ ვის გულისხმობდა აკაკი მაშინ საქართველოს სიკვდილის მოსურნეებში, ცხადი და ნათელია: ქვეყნის გარეთ **„ბოროტების იმპერიას“** და შიგნით კი, მის **„მეხუთე კოლონას“** – მაშინდელ კოსმოპოლიტ – ინტერნაციონალისტ **„მარქსელებს, უცხო ბაძის მონებს“...**

საბედნიეროდ, მათზე ძლიერი ეროვნული ძალები აღმოჩნდნენ, ამიტომ თქვა ვაჟამ ხატოვნად – **„ვერ მოჰკლეს!“**: ერმა ქვეცნობიერად იგრძნო, რომ ის წიწამურული ტყვია თვითონ მას ესროლეს, მის წარსულს, აწმყოს და მომავალს – ილია ხომ, **„საქართველოს თანმდევი უკვდავი სულია“,** სხეული კი, სულის გარეშე მკვდარია...

ოდითგან ერის არსებობა-განვითარებას ორი ძალა წარმართავს – ინტელექტუალური და მწარმოებელი. ორივე ეს ძალა წიწამურთან დასამარდა და მათთან ერთად, ჩვენი **„კარგი ქვეყანაც“...**

აჭარიდან კახეთამდე, მთელი საქართველო მოაწყდა საგურამოს და თბილისს. ასეთი რამ არ ახსოვს არავის, ზღვა ხალხს ვერ იტევდა ეს სივრცე:

თითქოს ომში მიდიანო, მთელი ფშავ-ხევსურეთის ცხენოსნებით გაივსო არაგვისპირეთი ვაჟას მეთაურობით...

ერთბაშად იფეთქა ეროვნულმა გრძნობამ ამერ-იმერით, დიახ, ეს გრძნობა არ კვდება – ის უკვდავია... მასთან ერთად, ერთობის დიდმა იდეამ დაიპყრო ქვეყანა მაშინ, ისე როგორც მერეც მრავალჯერ XX საუკუნის **„მესამედასურ საქართველოში“:** 1918–21 წლებში, 9 მარტს, 14 აპრილს, 9 აპრილს, – საუკუნის ბოლოს, რაც სამწუხაროდ, დაგვეკარგა მის შემდეგ დღემდე...

და ძალაუნებურად გვახსენდება ღვთისმშობლისადმი აღვლენილი ილიას ლოცვა-ვედრება **„აჩრდილიდან“:**

„მოჰმადლე ქართველს ქართვლის ნდომა და სიყვარული
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!
ჰოი, სახიერო! ცისარტყელა განავლე ცასა,
რათა წარღვნისა მოლოდინი წარჰხოცო ხალხსა!“.

საუკუნე ნახევარი გავიდა აქედან და დღესაც აქტუალურია ეს ლოცვა-ვედრება, რამეთუ კვლავ საძებარია **„ქართვლის ნდომა და სიყვარული“**: **„მშვენიერი მამულის აღდგენის“** ნაცვლად, სხვა ფიქრი და წადილი ამოძრავებთ ფსევდო-ნაციონალებს დღეს: რისი „საერთო ნიადაგი“, ორად გახლეჩენ ერს და სულს მიჰყიდიან მტერს, ოღონდ კვლავ თავის სათარეშოდ აქციონ ქვეყანა, – ჩვენ თუ არ ვიქნებით, ქვა ქვაზედ ნუ ყოფილა, – ასეთია მათი პოლიტიკური ფილოსოფია, ცხოვრების არსი და მრწამსი...

მაგრამ გეკითხებით, – „მშვენიერი მამულის აღდგენა“, სად დაგეკარგათ „კარგი ქვეყანა“ ამხანაგო „ნაციონალებო“, მასთან ერთად, მისი დიდი მომავალიც?!...

მამულის აღდგენა მხოლოდ საერთო – ეროვნული საქმეების კეთებაზე გადის... მონოგრაფიის I ნაკვეთში აშშ კანონის – **„აბრეშუმის გზის სტრატეგიის“** მიმართებით ვისაუბრეთ **„ჰარიმანის გეგმის“** დიდ ეროვნულ მნიშვნელობაზე: მაშინ იმპერიამ ჩაშალა ეს, მაგრამ დღეს რა გვიშლის ხელს, რომ იგი საქმედ იქცეს 60 წლის შემდეგ?!...

მის გარდა სხვა ათასი დიდი ეროვნული საქმეებია გასაკეთებელი, ვთქვათ, იგივე **„აბრეშუმის გზის სტრატეგიასთან“** დაკავშირებით ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ჩართვა **ევრ-აზიური ინტეგრაციის გლობალურ პროცესებში:**

ანაკლია-ოდესის სარკინიგზო–საბორნო კავშირით ხომ, შესაძლებელია უმოკლესი გზით წყნარი ოკეანიდან შუა აზია – სამხრეთ კავკასია – ცენტრალური ევროპის გავლით ატლანტიკის ოკეანემდე გასვლა?! **„საუკუნის პროექტი“** – ასე შეიძლება შეფასდეს ეს. საუკუნე კი არა, მთელ ათასწლეულებს გასწვდება იგი...

ორმა მოკავშირე სახელმწიფომ – საქართველომ და უკრაინამ, აშშ და ევროპის ჩართულობით, არ უნდა გაუშვან ეს შანსი ხელიდან. ამასთან, ორივე **„სუამის“** წევრია და ეს დაგვეხმარება ორივეს გავხდეთ ევროკავშირისა და ნატოს წევრი – ქვეყნებიც...

უკვე დღეს პოლიტოლოგებმა XXI საუკუნე **„იდეების საუკუნედ“** მონათლეს და ილიას მემკვიდრეობა, მისი „საერთო ნიადაგის“ თეორია, ამ თეორიის ორ ათეულზე მეტი სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპები უამრავ სამომავლო იდეებს გვაძლევს ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობისთვის. უპირველეს ყოვლისა, ეს ძველი აღმაშენებლისეული **„ერთნებაობითა და თანადგომით ქვეყნის მართვაა“**, ილიას მემკვიდრეობის არსს რომ წარმოადგენს. მთავარია ეს მემკვიდრეობა პოსტ-იმპერიული საქართველოს გზამკვლევი გახდეს, ნატვრად და ოცნებად რომ გაჰყვა მას...

მაშინ დაკარგავს ძალას ეს უსიამოვნო და გულსაკლავი აკაკისეული პათეტიკური შეძახილიც – „რა დაგიშავეთ?!...